ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს
საინფორმ. [illegible]-განყოფილების
კომპლექტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: [illegible] 75 კ., განცხადებისათვის: ქალაქში 1 მ. ცალკე გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: [illegible] სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43. სტამბის ტელეფონი 13—80.

დღევანდელი გაზეთი შეიცავს 6 გვერდს

კვირა, 11 იანვარი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 9 (1164)

დღიური

— გადადგა მეორე ინტერნაციონალის მდივანი ფრიდრიხ ადლერი.

— ამხ. რიკოვი არჩეულია ბაქოს საბჭოს საპატიო წევრად.

— ევროპის პრესა აღნიშნავს, რომ მოკავშირეთა ფინანსთა მინისტრების თათბირზე ამერიკა ყველას უკარნახებს თავის სურვილსო.

— უნგრეთში მოელიან მუშათა საერთო გაფიცვას.

იბეჭდება და 13 იანვრის №-თან ერთად გაზეთ „კომუნისტის“ ყველა ხელისმომწერლებს უფასოდ დაურიგდება

ჩირაღდანი № 1 (24)

შინაარსი: რომელია ჯაშუში? — მოთხრობა ი. ბლიკსტონის; ა—კიმას ცრემლები—მოთხრობა ჯ. ლონდონის; მანქანებიდან რევოლიუციამდე—ლექსი ე. პოლუმორდვინოვის; გამოქცეული—ამბავი სამოქალაქო ომიდან ს. ერ—ლია; მჭედელს—ლექსი შალვა ნავთლუღელის; რევოლიუცია—ლექსი ს. მგელაძის; დღეობა—მოთხრობა გიგუცასი; მოგონება დედაზე—ლექსი ნა—შ. ს; ჩვენი კინო-მრეწველობა—შ. ბ., კინო; თეატრი; მეცნიერება და ტეხნიკა; ბიბლიოგრაფია—ი. ფიქრიანის; ხელოვნების ქრონიკა.

პარტიის რიგების განმტკიცებისათვის

ჩვენი პარტია ძლიერია პირველ ყოვლისა თავისი მჭიდრო და განუყრელი კავშირით მთელ უპარტიო მშრომელ მასსასთან.

ლენინის სიკვდილმა ამ მხრივ, როგორც ყველამ იცის, უდიდესი შედეგები მოგვცა. რევოლიუციის ბელადის დაკარგვამ გაუგონარი მასსიური ლტოლვა გამოიწვია ჩვენი პარტიისაკენ უპარტიო მასსებში. პარტიის რიგებს შეემატა მთელ საბჭოთა კავშირში ორას ათასზე მეტი ნამდვილი მუშა, სამრეწველო პროლეტარიატის მოწინავე ნაწილი. მთელი დანარჩენი უპარტიო მასსა უფრო მჭიდროდ შემოკრბა ლენინის პარტიის დროშის ქვეშ.

ამ ფაქტმა ენა მუცელში ჩაუგდო ჩვენს მტრებს, რომელნიც გაიძახოდნენ, თითქო კომუნისტური პარტია წარმოადგენდეს რაღაც კარჩაკეტილ სექტას, თითქო ის მოწყვეტილი იყოს მშრომელი მასებიდან და არ იყოს აღჭურვილი მათი ნდობით და სიმპატიებით.

უკვე ჩვენი პარტიის შემადგენლობა გააჯანსაღა მუშათა კლასის 200 ათასი საუკეთესო წარმომადგენლის მიღებამ.

პარტია გახდა სოციალური შემადგენლობით გაცილებით უფრო ერთფეროვანი; გაიმტკიცა მისი პროლეტარული ხერხემალი.

ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ყოველგვარ წვრილბურჟუაზიულ გადხრის ამოფხვრას პარტიაში და წმინდა პროლეტარული იდეოლოგია-პოლიტიკის სავსებით დაცვა-გატარებას.

ამავე დროს თავისი პროლეტარული შემადგენლობის გაფართოვებით პარტია ათასი ძაფებით გადაენასკვა მთელ უპარტიო მშრომელ მასსებს, შეიჭრა მათი სიღრმეში და გაიძლიერა, გაავრცელა თავისი გავლენა მათზე.

მაგრამ ადვილი საქმე არ იყო ამოდენა ახალი წევრის შეთვისება-შესისხლხორცება. მართალია, ახალ მიღებულნი მოწინავე, შეგნებული მუშები იყვნენ, მაგრამ მათ მაინც არ ჰქონდათ გავლილი ბოლშევიზმის თეორიული და პრაქტიკული სკოლა. საჭირო იყო მათი გადახარშვა, ნამდვილ ბოლშევიკებად გარდაქმნა.

აქეთკენ იყო მიმართული პარტიის მუშაობა ამ ერთი წლის განმავლობაში. თავის დროზე ლენინის წრეებით იყო მოფენილი პარტ-ორგანიზაციები, სადაც ახლად მიღებულნი გადიოდნენ პოლიტიკურ ანბანს, ეცნობოდენ ლენინის ცხოვრებას, მოღვაწეობას, მოძღვრებას.

ამასთან პარტიაში ახლად მიღებულნი ჩაბმული იქნენ პრაქტიკულ მუშაობაში, სხვადასხვა კომისიებში, პროფორგანიზაციებში, საწარმოო თათბირებში და სხ.

ამან ხელი შეუწყო როგორც მათი გაწვრთნა-მომზადებას, ფაბრიკა-ქარხნების მუშაობის, საერთოდ ეკონომიური ცხოვრების გაჯანსაღებას, პარტიის კონტროლის და გავლენის გაძლიერებას საწარმოო დაწესებულებებზე.

ეხლა ჩვენ გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პარტიაში ახლად მიღებულებმა საერთოდ სავსებით გაამართლეს მათზე დამყარებული იმედები.

ლენინის ხსოვნის აღსანიშნავ კვირეულში ჩატარდება მათი გადარიცხვა პარტიის წევრებად, აგრეთვე კომკავშირის წევრებისა და უპარტიოების კანდიდატებად მიღება.

ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი პარტიის და მუშათა კლასის ცხოვრებაში. ლენინის სიკვდილის წლის თავის აღსანიშნავ კვირეულში ერთხელ კიდევ მოხდება მშრომელ მასსების უფრო მჭიდროდ დაახლოვება პარტიასთან, ერთხელ კიდევ მოხდება მათი ერთობის მჭევრმეტყველური დემონსტრაცია, ხოლო მუშათა კლასის საუკეთესო ელემენტები უშუალოდ შევლენ ლენინის პარტიის რიგებში.

ეს უეჭველად მიზანშეწონილი ნაბიჯია. ბოლო დროს მეტად გაიზარდა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი აქტივობა მუშათა კლასში. ამ აქტივობას გასავალი უნდა მიეცეს მშრომელ მასსის უფრო შეგნებულ და მოწინავე პირების მიღებითაც პარტიაში.

კერძოდ ყურადღება უნდა მიექცეს მუშა ქალების მოზიდვას პარტიისკენ, რომლის შემადგენლობაში მათი რიცხვი შედარებით ძალიან მცირეა.

აგრეთვე დღის წესრიგში დგას მოწინავე გლეხებით შევსება ჩვენი ორგანიზაციებისა სოფლად.

პარტიის ამოცანები თანდათან ფართოვდება და რთულდება. ეწყობიან მრავალი სხვადასხვა მუშური საზოგადოებრივი ორგანიზაციები. იზრდება საბჭოთა საზოგადოებრიობა.

ქვეყნის მართვა-გამგეობის გაჯანსაღება, ქვეყნის ეკონომიური აღორძინება, სოფლად მუშაობის გაძლიერება, მშრომელ მასსის პოლიტიკურ-კულტურული გათვითცნობიერება — ახალ-ახალ ძალებს მოითხოვენ.

ყველგან უნდა სჩანდეს პარტიული ხელმძღვანელობა. ყველგან უნდა სწვდებოდეს პარტიის ხელი.

პარტიის წევრების აქტიური ჩაბმით მთელ ამ მუშაობაში და პარტიაში ახალი ჯანსაღი ელემენტების მიზიდვით მუშათა კლასისს რეზერვიდან შევძლებთ თავი გავართვათ ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანებს.

ლენინის სიკვდილის წლის თავს პარტია ხვდება განმტკიცებული, ერთიანი ნებისყოფით გამსჭვალული, მშრომელ მასსებთან დაკავშირებული. წლის თავმა უფრო უნდა განამტკიცოს ჩვენი რიგები და უპარტიო მასსებთან უფრო მჭიდროდ უნდა შეგვადუღოს.

კოოპერაციის მუშაობის შესახებ

მოსახლეობის და, უპირველეს ყოვლისა, გლეხობის ჩაბმა კოოპერაციის მუშაობაში და მისი განუყრელი ეკონომიური კავშირი სახელმწიფო მრეწველობასთან ჩვენი კოოპერაციის ისეთი ამოცანაა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოთ განხორციელებული.

ამ ამოცანის პრაქტიკულ განხორციელების დროს, საჭიროა მხედველობაში მიღებული იქნეს კერძო ვაჭრობის თავისებურებანი; კერძო ვაჭრობა კი, წინააღმდეგ ჩვენი კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობისა, არ სარგებლობს სახელმწიფოს, პარტიის და პროფკავშირების არავითარი შეღავათებით, მაგრამ მაინც წარმატებით განაგრძობს არსებობას.

კერძო ვაჭრობის პრაქტიკაში ოპერაციები ხდება ყოველგვარ ჩეკების გარეშე, აღრიცხვის საქმე კი კოოპერაციაზე უარესად არ არის დაყენებული ჩვენს კოოპერაციაში კი ყოველგვარი საქონლის ნელი ბრუნვის ერთერთი მიზეზი უნდა ვეძიოთ ჩეკების იმ რთულ სისტემაში, რომელიც ტარდება ვაჭრობის ყოველგვარ ოპერაციებში. კერძო ვაჭრობა ცდილობს საქონელი დაუახლოვოს მომხმარებელს. ამ მიზნით, ცენტრების მოწყობასთან ერთად, ის არ თაკილობს მოაწყოს პატარა მაღაზიებიც პროვინციებში, სოფლებში და განაპირა ქალაქებში. საქონლის ნელი ბრუნვის მეორე მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ ჩვენი კოოპერაცია ცდილობს გამაგრდეს მსხვილ ქალაქებში და ამასთანავე მოაწყოს მსხვილი, „ცენტრალური“ მაღაზიები. ცნობილია, რომ კოოპერაციის „პრინციპებისა“ და „მშვენიერი თვალებისათვის“ არავინ არ მიდის კოოპერატიულ დუქანში, მიდიან მხოლოდ საგრძნობ მატერიალურ სარგებლობის მისაღებათ. კერძო ვაჭრები, როგორც მსხვილი, ისე წვრილი ვაჭრები, თითქოს „გრძნობენ“ მოსახლეობის და, უმთავრესათ, მასიურ წვრილი მომხმარებლის მოთხოვნილებებს, და ამასთან შეფარდებით არჩევენ საქონელს. ჩვენი კოოპერაციის სუსტი ყურადღება კი წვრილ, მასიურ მომხმარებელისათვის განზრახულ საქონლის ასორტიმენტის შერჩევაში, სუსტი ოპერაციების მესამე მიზეზათ უნდა ჩაითვალოს. კერძო ვაჭრობის პრაქტიკაში სავაჭრო პუნქტების ერთმანეთთან ახლო მდებარეობა ყოველთვის იწვევდა კონკურენციას, მტრობას, უთანხმოებას, ხანდახან კი წვრილი მოვაჭრის განადგურებას მსხვილ და გამოცდილ ბითუმათ მოვაჭრე პირის მიერ. ამიტომ იყო, რომ ყველა ისინი ცდილობდენ შეჭრილიყვენ სულ ახალ და ახალ, შედარებით მჭიდროთ დასახლებულ ადგილებში, იმ იმედით, რომ მხოლოდ საქონლის ჩქარი ბრუნვით მიაღწევდენ დადებით შედეგებს. ჩვენი კოოპერატიული ორგანიზაციები ცდილობენ ერთმანეთს გაუსწრონ მუშაობაში და ხშირათ მათი მაღაზიები ერთმანეთის გვერდით არის მოთავსებული, რაც იწვევს დაუშვებელ კონკურენციას კოოპერატიულ გაერთიანებებს შორის და მომხმარებლების ჩამოშორებას ერთმანეთისაგან. ეს გარემოება კი მეოთხე მიზეზია იმისა, რომ მოსახლეობის დიდი რაოდენობა ვერ არის ჩაბმული კოოპერაციის მუშაობაში.

კერძო ვაჭრები როგორც წინეთ ისე მით უმეტეს ეხლა, ყოველთვის ცდილობდენ მოთავსებულიყვენ უკვე არსებულ შენობებში, ისინი ცუდ მაღაზიებსაც კი იყენებდენ ამისათვის. და ახალი შენობების ასაგებათ ისინი მაშინ ხარჯავდენ კაპიტალს, როდესაც პირობები მათთვის ხელსაყრელი იყო. კოოპერატივების მიერ მათი საშუალებებისათვის ანგარიშის არგაწევა და ახალი შენობების აგების დაწყება უნდა ჩაითვალოს მეხუთე მიზეზათ, რომელიც საშუალებას არ აძლევს კოოპერაციას გაერკვიოს თავის საშუალებებში და შესაძლებლობაში, რომ ფართოდ გაშალოს თავისი ოპერაციები; ეს გარემოება იწვევს აგრეთვე იმას, რომ კოოპერაცია თავის დროზე ვერ ისტუმრებს სახელმწიფო მრეწველობიდან მიღებულ კრედიტებს. შენობების მოცულობას და სილამაზეს მნიშვნელობა არ აქვს კოოპერატიული ოპერაციისათვის. არა ნაკლებ წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნეს არსებული შენობები და გაცილებით უფრო ხელსაყრელ პირობებში ნაშენაც კი, როდესაც ისინი აღებულია იჯარით ქალაქისაგან ანდა კერძო პირებისაგანაც კი. სააღმშენებლო გეგმები კი მაშინ შეიძლება გატარებული იქნეს ცხოვრებაში, როდესაც შესამჩნევად განმტკიცდება კოოპერაციის ფონდები. ვიღებ რა მხედველობაში ზემოაღნიშნულს, მე ჩვენი კოოპერაციის წარმატებისათვის საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი ღონისძიებები:

1. შემცირებულ იქნეს ჩეკების გამოყენება იმ გზით, რომ საქონელი ერთბაშათ, განსაზღვრული თანხის ღირებულების, მიეცეს მხოლოდ საკუთარ კოოპერატიულ მუშაკებს — ვაჭრებს საბითუმო ჩეკით; კოოპერატიულმა გამყიდველმა, როდესაც ის საქონელს აძლევს მომხმარებელს ყოველგვარ ჩეკის გარეშე, და მაშასადამე ჩქარა და რიგს გარეშე, მისგან უშუალოდ უნდა მიიღოს კუთვნილი თანხა და უნდა შეინახოს ის სპეციალურ ყუთში. საოპერაციო დღის ბოლოს კი მთელი ნავაჭრი თანხა უნდა შეიტანოს კოოპერაციის სალაროში ქვითარით ანდა ჩეკით.

2. საქონელი უნდა დაუახლოვდეს მომხმარებელს; ამისათვის საჭიროა მათი გადაგზავნა პროვინციების, სოფლების და განაპირა ქალაქების წვრილ დუქნებში.

3. შესწავლილი უნდა იქნეს რაიონების და ტერიტორიის თავისებურება იმ მხრივ, თუ რა საქონელია იქ საჭირო და ამისდამიხედვით შერჩეული იქნეს რეალიზაციისთვის ყველაზე უფრო საჭირო საქონელი.

4. გადაჭრით და საბოლოოდ უარყოფილი უნდა იქნეს კონკურენცია კოოპერატიულ გაერთიანებებს შორის და ის მაღაზიები, რომლებსაც არ ეტანება მყიდველები, გადატანილი უნდა იქნეს სხვა ადგილებში.

5. უარი უნდა ვსთქვათ ახალი შენობების აგებაზე და სავაჭრო ოპერაციებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს არსებული შენობები; ახალი შენობების აგებისათვის გადადებული თანხები უნდა მოხმარდეს სახელმწიფო მრეწველობიდან აღებულ ვალების გასტუმრებას.

ნ. ლეჟავა.

საბჭოების ხელახალი არჩევნებისათვის

საბჭოთა კავშირის ცაკთან საბჭოთა აღმშენებლობის მომწესრიგებელ სრულიად საკავშირო თათბირის მოწყობით სოფლის და ქალაქის საბჭოების საკითხი აღიარებულია საბჭოთა მთავრობის მთელი შინაური პოლიტიკის ქვა-კუთხედათ.

ეს სწორედ საქმის ის უმთავრესი მხარეა, რომელსაც ჩვენ დღემდე ძალიან ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით, რადგან გართული ვიყავით სამოქალაქო ომში, საგარეო პოლიტიკაში და სამეურნეო აღმშენებლობაში.

ბუნებრივია, რომ ასეთ მდგომარეობას შედეგად მოჰყვა საბჭოების დაშორება მშრომელ მასებისაგან და მათი „უსიცოცხლობა“, როგორც ეს აღნიშნა ამხ. კალინინმა მის მიერ ამ თათბირზე წაკითხულ მოხსენებაში.

ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება სოფლად. აქ ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა სასოფლო საბჭოები არსებითად არ წარმოადგენენ მართვა-გამგეობის ახალ ფორმას, ისინი წარმოადგენენ რევოლიუციამდე არსებულ ადმინისტრატიული ერთეულის ფორმას, რომელსაც მხოლოდ სახელწოდება აქვს შეცვლილი.

ამის გამო, ხშირად ადგილი აქვს გლეხობის პირველხარისხოვან ინტერესების უხეშად დარღვევას. მაგალითად, სასურსათო გადასახადების აკრეფის დროს ან მიწით სარგებლობის საკითხის გადაჭრის დროს.

ეს კი, თავის მხრივ, იწვევს გლეხობაში ერთგვარ იმედის გაცრუებას და ქმნის გულგრილობას საბჭოების არჩევნებისადმი.

საბჭოთა მთავრობამ დაიწყო ეხლა გადამწყვეტი ბრძოლა ასეთი მოვლენის წინააღმდეგ.

ამ დღეებში საბჭოთა კავშირის ცაკმა გააუქმა არჩევნები იმ რაიონებში, სადაც ისინი ჩატარდა მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობის გარეშე.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საბჭოთა კავშირის ცაკთან დაარსებულ თათბირის მუშაობის წყალობით ასეთი მოვლენები სამუდამოდ აღმოიფხვრებიან საბჭოთა სინამდვილიდან

სოფლის უმთავრეს ნაკლს, რომელიც უნდა გამოსწორდეს პირველ რიგში, წარმოადგენს კულტურულ ძალების უყოლობა. ამ მოთხოვნილების სავსებით დაკმაყოფილებას კიდევ მრავალი წელი დასჭირდება.

ამ მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნენ კომუნისტები, რომლებიც მუშაობენ როგორც პარტიულ, ისე სამეურნეო, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციებში თვით ჩვენი პირველი საფეხურის უჯრედებამდე და ქარხნებამდე, რომლებიც შეფობას უწევენ სოფელს.

პარტიულმა ორგანიზაციამ მთლიანად უნდა დაიწყოს გეგმიანი მუშაობა სოფლად სოფლის საზოგადოებრიობის და საბჭოთა საფუძვლების განსავითარებლად.

მუშაობა დაწყებული უნდა იქნეს სოფლის ძველი იარების შესწავლით, ყურადღება მიექცეს ყველაზე მიყრუებულ კუთხეებს, რომელთაც აქვთ სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა. მათი გაჯანსაღებისათვის საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებების დასახვა.

ცოცხალი ძალების წყაროს სოფლისათვის უნდა წარმოადგენდენ ყველა პარტიული ორგანიზაციები.

ამასთან შეფარდებით, სკოლების და წრეების პროგრამა გადახალისებული უნდა იქნეს იმ მხრივ, რომ მცირე პოლიტიკური ცოდნის მქონე ამხანაგებს შევასწავლოთ პრაქტიკულად სოფლად კოოპერაციის მუშაობა, პარტმუშაობა, საბჭოთა მუშაობა და სხვა.

აქ ლენინის სიკვდილის შემდეგ პარტიაში მიღებული ახალი წევრებიც უნდა გამოვიყენოთ პრაქტიკულად.

მუშა პარტიულებს შორის აღმოჩნდებიან მოხალისეები, რომლებიც დათანხმდებიან სოფლად მუშაობაზე.

ეს უდიდეს როლს ითამაშებს, ვინაიდან მუშა კომუნისტის პოლიტიკური განვითარების დონე თითქმის ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდრე გლეხთა წრეების.

მუშა, რომელსაც კავშირი ექნება ქალაქთან, თავისი უჯრედის და ფაბრიკის დახმარებით, შესძლებს განამტკიცოს კულტურული კერა სოფელში და გააღვიძოს მასში მისწრაფება სამეურნეო განვითარებისაკენ.

ამ გზით ჩვენ, უსათუოდ, გადავსჭრით ჩვენს ამოცანას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ყველა საბჭოთა ორგანიზაციები შევუფარდოთ გლეხთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ა. ბ.

ინგლისს-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

ამხ. რაკოვსკის და ჩემბერლენს ჰქონდათ ხანგრძლივი საუბარი

ორივე მხარემ საჭიროთ სცნეს დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცება.—ამხ. რაკოვსკი და ინგლისის ელჩი საბჭოთა კავშირში ხოჯსონი გამოემგზავრნენ მოსკოვში.—

ამხ. რაკოვსკის და ჩემბერლენის შეხვედრა

ლონდონი. 10 იანვარი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ ლონდონში გამოაქვეყნა გაზეთებში შემდეგი ცნობა:

რაკოვსკიმ 6 იანვარს ინახულა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩემბერლენი და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან. საუბარის დროს შეეხნენ საკითხს ინგლის-საბჭოთა დამოკიდებულების შესახებ ამ რამდენიმე ხნის წინათ მომხდარი ინციდენტის გამო.

ორივე მხარემ აღნიშნა, რომ საჭიროა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცება.

ბრიტანეთის რწმუნებულმა მოსკოვში ხოჯსონმა 8 იანვარს ინახულა რაკოვსკი. ხოჯსონი ახლო ხანში ბრუნდება მოსკოვში.

9 იანვარს რაკოვსკი მოსკოვს გაემგზავრა.

ფრიდრიხ ადლერის გადადგომა

პარიზი. 9 იანვარი. სოციალისტური გაზეთი „პეპლი“ სრულიად უკომენტარიოთ იტყობინება ცნობას იმის შესახებ, რომ გადადგა მეორე ინტერნაციონალის მდივანი ფრიდრიხ ადლერი.

იმპერატორის სასახლის აფეთქებისათვის

ტოკიო. 10 იანვარი. (იაპონიაში) კომუნისტი კორამ, რომელსაც ამ რამდენიმე ხნის წინათ სამუდამო ციხე მიუსაჯეს, შიმშილობა გამოაცხადა. კორრა პასუხისგებაში იყო მიცემული იმპერატორის სასახლის აფეთქების ცდისათვის. შიმშილობა მან 6 იანვარს გამოაცხადა. მისი მდგომარეობა უნუგეშოა.

„საშიშარი ლიტერატურა“

ლონდონი. 9 იანვარი. ნიუკესლში (ინგლისშია) სასამართლო არჩევს ჯიბსონის საქმეს. დიდი დრო მოანდომა სასამართლომ იმ კომუნისტური ლიტერატურის წაკითხვას, რომელიც პოლიციამ იპოვა ჯიბსონის ბინაზე. ეს ლიტერატურა შესდგება კომუნისტური გაზეთების „უორკერს უიკლის“ „პლებ“-ის ნომრებიდან და აგრეთვე ცალკე ბროშურებიდან, რომლის შეძენა შეიძლება ყველა წიგნის მაღაზიაში. სასამართლოს წარუდგინეს აგრეთვე ქ. რადეკის ბროშიურა „ვერსალის ხელშეკრულების შესახებ“. ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე კომუნისტების მიერ გერმანიაში გამოცემული პროგრამა ბოლშევიკებისა.

პოლიციის ინსპექტორმა დევიდსონმა განაცხადა სასამართლოში, რომ ის ჯიბსონის დაპატიმრების ღამეს სხვა პოლიციელებთან ერთად მივიდა იმ ბინაზე, სადაც ჯიბსონი ცხოვრობდა და იპოვა იქ აღნიშნული ლიტერატურა და აგრეთვე ბარათი, რომელიც ადასტურებს, რომ ჯიბსონი კომპარტიის წევრია.

საქმის გარჩევა გადაიდვა თუთხმეტ იანვრისათვის.

შეტაკება ფაშისტებთან

ბერლინი. 10 იანვარი. ამ დღეებში გერმანიის ფაშისტური ახალგაზრდობის ორდენსა და კომკავშირლებს შორის მოხდა შეტაკება, რომლის დროს ფაშისტურ ორგანიზაციას წაართვეს დროშა. პოლიციამ დააპატიმრა რამდენიმე კომკავშირელი.

მუსოლინი მოჰკლეს?

პარიზი. 10 იანვარი. 9 იანვარს დილით ხმა გავრცელდა თითქო მოჰკლეს მუსოლინი. ჰავასის სააგენტო უარყოფს ამ ხმებს და აცხადებს, რომ მუსოლინი 12 საათ. 30 წ. პირადათ ელაპარაკებოდა ტელეფონით იტალიის წარმომადგენელს მოკავშირეების ფინანსთა მინისტრების კონფერენციაზე.

გერმანია უმთავრობოთ

ბერლინი. 10 იანვარ. რეიხს-კანცლერმა მარქსმა საბოლოოთ უარი სთქვა მთავრობის შედგენაზე.

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

ბერლინი, 10 იანვარი. შვეიცარიის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ მიმართა ყველა თავის შემადგენელ ორგანიზაციებს და აგრეთვე ამსტერდამის გაერთიანების პრეზიდიუმს წერილით, რომელშიც ილაშქრებს მოსკოვთან შეთანხმების წინააღმდეგ. მიუხედავათ იმისა, რომ შვეიცარიის პროფმოძრაობის ყვითელი ბელადები ცდილობენ ხელი შეუშალონ პროფმოძრაობის გაერთიანებას, შვეიცარიის ცალკე პროფკავშირები, მაგ. ხის დამმუშავებლები და აღმშენებელნი მოითხოვენ პროფმოძრაობის გაერთიანებას და ესალმებიან პროფინტერნის წინადადებას მუშათა გაერთიანებული კონგრესის მოწვევის შესახებ.

ამერიკა იარაღდება

ნიუ-იორკი. 10 იანვ. შეერთებული შტატების მთავრობამ აცნობა კონგრესს, რომ მისი აზრით, თუმცა არტილერიის გაძლიერება სამხედრო გემებზე არ არღვევს შეთანხმებას საზღვაო შეიარაღების შემცირების შესახებ, მაგრამ ეს მაინც არ არის სასურველი, ვინაიდან საჭიროა სახელმწიფო ხარჯებში ეკონომიის დაცვა და აგრეთვე იმიტომ, რომ ის აიძულებს სხვა სახელმწიფოებს გააძლიერონ თავისი საზღვაო ფლოტი.

მიუხედავათ იმისა, რომ მთავრობა ასეთი აზრისაა, კონგრესის წევრთა ერთი ჯგუფი ეძებს ხელსაყრელ მომენტს, რომ მიაღებინოს კონგრესს წინადადება საზღვაო ძალების შესამჩნევად გადიდების შესახებ.

ფინანსთა მინისტრების თათბირი

ამერიკის უღელ ქვეშ.

პარიზი, 9 იან. პრესა დიდის გაცხოველებით მსჯელობს ანტანტის ფინანსთა მინისტრების თათბირის შესახებ და რამდენიმედ უიმედოთ უცქერის ამ კონფერენციის შედეგებს. საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი უმთავრესად დაინტერესებულია მოკავშირეთა ვალებით, რომლის შესახებ მსჯელობასაც ძალიან ეწინააღმდეგება შეერთებული შტატები.

პესიმისტური განწყობილება აშკარათ არის გამოხატული სააგენტო „კაპიტალის“ მიერ (სავაჭრო-სამრეწველო წრეების ორგანო). იგი ამბობს, რომ საფრანგეთს ჩქარა შეხვდება გერმანიის ბედიო და შემდეგ უმატებს: „ყოვლად დაუშვებელია, რომ იმ ქვეყანამ, რომელიც ოდნავაც არ დაზარალებულა ომიდან, [illegible] ის ქვეყნები, რომლებიც [illegible] იქნენ დარბეული ომით“.

კონფერენციამ საბოლოოთ გამოიმუშავა დღის წესრიგი, რომელშიც შეტანილია შემდეგი საკითხები: სარეპარაციო გადასახადებში ბელგიის ნაწილის განსაზღვრა. შემოსავალი საფრანგეთის მიერ დაპყრობილ რურიდან, ამერიკის ვალების საკითხი.

კომპარტიის ორგანო „იუმანიტე“ პროლეტარიატს მიუთითებს ამ კონფერენციის მნიშვნელობაზე, სადაც საერთაშორისო კაპიტალი საფრანგეთისა და ბელგიის პროლეტარიატს უმზადებს ნამდვილ მონობის უღელს.

უკანასკნელი ცნობები

ზემო-ავჭალის ელსადგურისათვის

მოსკოვი. 10 იანვარი. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განიხილა ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს შუამდგომლობა 2.100.000 მანეთის გადადების შესახებ ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სამშენებლო მუშაობის დასამთავრებლად. ეს თანხა არ შედის იმ თანხებში, რომლებიც დღევანდლამდის იყო გადადებული ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურისათვის.

საგეგმო კომიტეტმა გადასწყვიტა სადგურის ეკონომიური მდგომარეობის გამოსარკვევად ადგილობრივ გაგზავნოს კომისია, რომლის შემადგენლობაში შევლენ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, საგეგმო კომიტეტის გეოლოგიურ განყოფილების და ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები. კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს შრომის და თავდაცვის კომიტეტი.

ვინაიდან სადგურისათვის ეხლავე აუცილებელია თანხა—ფინანსთა სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა იანვრის განმავლობაში გასცეს სადგურის საჭიროებისათვის 150,000 მანეთი თებერვლის კრედიტის ანგარიშში.

მიწისძვრა საქართველოში

ბათომი

9 იანვარს ბათომში აღნიშნეს მიწისძვრა 5 ძალის სიძლიერის. მიმართულება სამხრეთ-დასავლეთით. მეთევზეებმა შენიშნეს, რომ მიწისძვრის დროს შეიცვალა ზღვის ფსკერის რელიეფი: იმ ადგილას, სადაც წყლის სიღრმე უდრიდა 30 საჟენს, მიწისძვრის წინ სიღრმე აღმოჩნდა 15 საჟენი. ნავსადგურის უფროსმა ექსპედიცია გაგზავნა ამ მოვლენის შესასწავლად. რამოდენიმე სახლის კედელი გაიბზარა. მსხვერპლი არ არის.

ახალ-სენაკი

9 იანვარს საღამოს 8 საათზე და 45 წუთზე ადგილი ჰქონდა დიდ მიწისძვრას, რომელსაც წინ უძღოდა ძლიერი ქარი და წვიმა. მიწისძვრა რამოდენიმეჯერ განმეორდა.

სოხუმი.

9 იანვარს საღამოს 8 საათზე და 54 წ. ნახევარი წუთის განმავლობაში ადგილი ჰქონდა სუსტ მიწისძვრას.

ბორჯომი

მიწისძვრას ადგილი ჰქონდა 9 იანვარს საღამოს 8 საათზე და 33 წ. მიწისძვრის დროს მოდიოდა დიდი თოვლი. შეშინებული მცხოვრებლები, მიუხედავად სიცივისა, ბავშვებით ქუჩაში გამოცვივდნენ.

ფოთი წყალდიდობის წინ

ფოთი. 10 იანვარი. რიონი თანდათან მატულობს. საღამოს 10 საათზე და 30 წუთზე ის აიწია 98 სანტიმეტრი. წყალს მოაქვს დიდძალი ყინვა. ქალაქში ადგილი ჰქონდა პანიკას; საშიშროება მოელის ხიდს.

სამტრედიიდან იტყობინებიან, რომ მდინარის ადიდება იქაც ქმნის წყალდიდობის საშიშროებას.

ზარალი ქარბუქისაგან

ასტრახანი. 10 იანვარი. უკანასკნელმა ქარბუქმა სათევზაო სამმართველოს მიაყენა 750 ათასი მან. ზარალი.

ძველი ვერცხლის ფულის შესახებ

მოსკოვი, 10 იანვარი. ძველი (მეფის დროის) ვერცხლის ფულის შესყიდვის უფლება მიეცა სამრეწველო და კომერციულ ბანკებს. დღევანდლამდის ამის უფლება მხოლოდ სახელმწიფო ბანკს ჰქონდა

ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად

მოსკოვი, 10 იანვარი. ლენინის გარდაცვალების წლის თავის ჩამტარებელმა ცენტრალურმა კომისიამ შეიმუშავა გეგმა წარმოებებში და დაწესებულებებში კედლის გაზეთების გამოშვების შესახებ. გეგმის მიხედვით, გაზეთები გამოვლენ გარდაცვალების წლის თავზე და როგორც შინაარსით ისე გარეგნობით გამოხატავენ სამგლოვიარო დღის სახეს. გაზეთებში აღნიშნული იქნება ჩვენი პარტ-ორგანიზაციების მიღწევანი და ეკონომიური აღორძინებანი.

საბჭოთა უკრაინის 5 წლის თავზე

პრაგა. 9 იანვარი. 8 იანვარს პრაგის აკადემიურ სახლში საბჭოთა კავშირის სათვისტომომ იზეიმა უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის 5 წლის თავი. ზეიმობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ჩეხიის სტუდენტების კომფრაქციამ და საერთაშორისო გაერთიანების წარმომადგენლებმა.

სახელმწიფო მონოპოლია სპირტზე

მოსკოვი. 10 იანვარი, რუსეთის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ აცნობა საგეგმო კომიტეტს, რომ ის თანახმაა დაწესებული იქნას მთელ საბჭოთა რესპუბლიკაში მონოპოლია სპირტზე. პროექტის მიხედვით, სპირტის მონოპოლიის ხელმძღვანელობა დაკისრებული ექნება სასპირტო მონოპოლიის საქმეთა სახელმწიფო სამმართველოს (გოსპირტს).

სახელმწიფო მონოპოლია არ ვრცელდება სპირტის გამოხდაზე.

საკავშირო აღწერა

მოსკოვი. 10 იანვარი. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან დაარსებულია სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს განიხილოს დიდი აღწერის გეგმა. აღწერა მოხდება 1925 წლის განმავლობაში; ყველაზე მეტი მუშაობა სჭირდება სასოფლო-სამეურნეო აღწერას.

იტალიანური გაფიცვა

ტომსკი. 10 იანვარი. ზირიკულის მაღაროებში, რომელიც იმყოფება კერძო მოიჯარადრეს ხელში—მუშებმა მოაწყვეს იტალიანური გაფიცვა, რომელმაც გასტანა 4 დღე. მუშებს დიდ დახმარებას უწევდნენ გლეხები. გაფიცვა მუშების გამარჯვებით დამთავრდა.

რა მიითვისა რუმინეთმა

მოსკოვი. 10 იანვარი. ბესარაბელების საზოგადოებამ „როსტას“ თანამშრომელს განუცხადა შემდეგი: რუმინეთმა ბესარაბიის დაპყრობის დროს მიითვისა რუსეთის არმიის მიერ დატოვებული უამრავი ქონება როგორც მაგალითად, რკინის გზის ლიანდაგი 993 ვერსტი, 443 ორთქმავალი და 7 ათასი ვაგონი, მითვისებულია აგრეთვე რამოდენიმე გემები და სამხედრო ხელ-საწყობი.

მუსოლინის საარჩევნო „რეფორმა“

რომი, 9 იანვარი. ფაშისტებისაგან შემდგარმა იტალიის პარლამენტის საარჩევნო კომისიამ მიიღო ახალი საარჩევნო დებულება, რომლის ძალით ერთი ხმის უფლება ეძლევა საერთოდ მოქალაქეთ, ორი ხმის—იმ პირებს, რომელთაც აქვთ ქონებრივი და განათლების ცენზი; სამი ხმის უფლება ეძლევათ მეფის გვარისნობის წარმომადგენელთ, უმაღლეს მოხელეთ და ომში დაჯილდოვებულთ.

ამნაირად წვრილ და მსხვილ ბურჟუაზიას სამჯერ მეტი ხმა ექნებათ, ვიდრე მშრომელთ.

საბჭოთა აღმშენებლობის გაძლიერებისათვის

ამხ. რიკოვის მოხსენება სრულიად საკავშირო თათბირზე საბჭოთა მშენებლობის შესახებ

განსაკუთრებული ყურადღება დაბალ საფეხურის საბჭოთა აპარატებს.—დაბალ საფეხურის საბჭოთა აპარატების მიხედვით მუშავდება მასების აზრი საბჭოების შესახებ.—ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ არა ბრძანებით, არა ძალდატანებით, არამედ დაჯერებით.—საბჭოები გლეხებისათვის უნდა გახდნენ ის, რაც პროფკავშირები—მუშებისათვის.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სოფელს

რატომ არის სუსტი დაბალი საფეხურის საბჭოთა აპარატი.

„ჩვენ ვაშენებთ მშრომელთა სახელმწიფოს ეკონომიურად და კულტურულად ძალიან ჩამორჩენილ ქვეყანაში. ოქტომბრის რევოლიუციის პირველი წლების განმავლობაში გვყოფნიდა კულტურული ძალები იმისათვის, რათა სახელმწიფოს ყოლოდა მეთაურები, მაგრამ არ შეიძლებოდა გვყოფნოდა ძალები იმისათვის, რათა ჩვენი კავშირის საბჭოთა დაბალ-საფეხურის აპარატი მოგვეწყო. მე არ ვლაპარაკობ, რომ ჩვენ ეხლა უკვე საკმაოდ გავიზარდეთ, რათა ასეთი შემადგენლობა მივსცეთ ამ დაბალ საფეხურის ორგანიზაციებს, რომელიც სავსებით შეეფერება ჩვენს წინაშე დასმულ ამოცანებს. ოქტომბრის რევოლიუციის დროს წამოყენებულ მნიშვნელოვან ამოცანების განხორციელება პირველ ყოვლისა დამოკიდებულია **დაბალ-საფეხურის საბჭოთა აპარატზე.** ერთი საქმეა კანონის დაწერა, ხოლო მეორეა მისი ცხოვრებაში გატარება. ხშირად შედეგები საწინააღმდეგოა. ამავე დროს **დაბალ-საფეხურის საბჭოთა აპარატის მიხედვით მუშავდება ხალხთა ფართო მასების აზრი საბჭოების შესახებ.**

კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის.

უკანასკნელ წლეებში საქონლის ტრიალის განვითარების გამო სოფელსა და ქალაქს შორის უმჭიდროესი კავშირი მყარდება. სოფლის წინაშე დღეს ისეთი ამოცანებია დასმული, რომელთა გადასაწყვეტად მას **საკუთარი ძალები არ ეყოფა და იგი ეძებს კავშირს ქალაქთან, მოითხოვს მისგან დახმარებას, ეს შეეხება მიწით სარგებლობას. მიწათმოწყობის, სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების, განათლების, პოლიტიკურ მუშაობას და სხ. საკითხებს.**

მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირის საკითხის გადაჭრა მჭიდროთაა დაკავშირებული მთელი აპარატის და უმთავრესად დაბალ საფეხურის აპარატის მუშაობასთან. ეს საკითხი დაკავშირებულია მთელ რიგ მეთოდების გადასინჯვასთან. მათ რიცხვს მე ვაკუთვნებ მაგალითად ლენინის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ უფრო მეტად **არა ბრძანებით, არა ძალდატანებით, არამედ დაჯერებით.** სამხედრო კომუნიზმის პერიოდის უმთავრეს დამახასიათებელ ნიშნად ითვლებოდა ის, რომ ჩვენ ბრძანებით ვმოქმედობდით.

სტიქიურობა გლეხთა მეურნეობაში.

ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას, რომელიც აფერხებს ჩვენს ეკონომიურ განვითარებას და ხელს უშლის გეგმაშეწონილ ხელმძღვანელობას წარმოადგენს **სტიქიურობა გლეხურ მეურნეობაში.** ჩვენ არ შეგვიძლია წინასწარ განვსაზღვროთ მოსავალი: იგი დამოკიდებულია მთელ რიგ მიზეზებზე, რომელთაც გლეხურ მეურნეობის თანამედროვე ორგანიზაციის დროს სრულიად სტიქიური ხასიათი აქვს. **თუ არ განვათავისუფლებთ გლეხობას სტიქიის ზეგავლენისაგან, არ შეიძლება ლაპარაკი მეურნეობის გეგმიანობაზე.** ამ ამოცანის გადაწყვეტა ადმინისტრატიული ღონისძიებებით არ შეიძლება. მისი გადაწყვეტა შეუძლებელია წერა-კითხვის ცოდნის, **გლეხობის შეგნების გაზრდის, მისი კულტურულ დონის აწევის გარეშე.** გლეხურ მეურნეობის ასაწევად საჭიროა გლეხთა თვითმოქმედების აწევა.

უნდა გავაძლიეროთ გლეხობის აქტივობა.

ჩემის აზრით გლეხთა აქტივობა საკმარისად არ გაძლიერებულა. საჭიროა მისი გაზრდა. ბევრ ადგილას ცნება „კულაკი" ესმით არა ისე, როგორც საჭიროა. მე შევხვედრივარ სოფელში ისეთ შემთხვევას, როდესაც გლეხები მიწის უკეთესად დამუშავების შემდეგ იღებდნენ მოუსავლიან ადგილებში 40 ფუთს დესეტინაზე, მაშინ, როდესაც მეზობელი მეურნეობა იღებდა მხოლოდ 2 ფუთს. მე საჭიროდ დავინახე ფულით დამესაჩუქრებია ერთი არტელი, რომელმაც ასეთ შედეგს მიაღწია და სახ. კომისართა საბჭოს სახელით მადლობას უცხადებ ამ გლეხებს, **როგორც რევოლიუციონერებს მიწით სარგებლობის და მიწის ექსპლოატაციის დარგში.**

ჩემის აზრით ეს არის საბჭოთა რევოლიუციონური მოქმედება. და ის გლეხები, რომლებიც შეძლებული ხდებიან **მიწათმოქმედების დარგში პროგრესის** წყალობით, ყოველგვარ **სტიქიურობასთან ბრძოლის და ყოველგვარ გაუმჯობესებათა შემოღების** წყალობით, წარმოადგენენ ჩვენს **საუკეთესო საბჭოთა თანაშემწეებს, და მათი კულაკების რიცხვში შეტანა ყოვლად შეუძლებელია.** კულაკებს უნდა მივაკუთვნოთ ისინი, ვინც ამა თუ იმ გზით აწარმოებს უფრო ჩამორჩენილ გლეხურ მეურნეობის ექსპლოატაციას. მაგრამ ის, ვინც კარგად უვლის მიწას, კულაკი კი არა—საბჭოთა მუშაკია. ამ ორ ცნებას ხშირად ერთმანეთში რევენ.

საბჭოები მასებთან ახლოს.

მე მსურს ხაზი გავუსვა შემდეგს: საბჭოების მოღვაწეობა განისაზღვრება ზევიდან მიღებულ კანონების, განკარგულებათა და დადგენილებათა ფარგლებით. მუშები დადიან პროფკავშირებში მცირე საჭიროებისათვისაც კი. საბჭოებში მე ეს არ მინახავს. პირიქით, მე შევამჩნიე **ფორმალური დამოკიდებულება გლეხობისადმი. ეს არ არის სწორი. საჭიროა საბჭოები გადაიქცენ ისეთივე ორგანიზაციად საშუალო შეძლების და ღარიბ გლეხებისათვის, როგორაც წარმოადგენს პროფკავშირები მუშებისათვის.** დეე, მათ იარონ იქ ყოველგვარ საჭიროებისათვის. ბევრ მათ საჭიროებას კიდევ ვერ დავაკმაყოფილებთ, მაგრამ ჩვენ ამ საჭიროებებს განვიხილავთ და მოველაპარაკებით მათ შესახებ გლეხებს.

გლეხობის ჩაბმა არჩევნებში.

საჭიროა საბჭოების არჩევნებში ჩავაბათ რაც შეიძლება მეტი გლეხობა, გავაძლიეროთ გლეხთა მასების აქტივობა არჩევნებში.

მე ვფიქრობ, რომ პარტიისა და საბჭოებისათვის ზოგჯერ უფრო ხელსაყრელია, თუ კომუნისტი თავის გარშემო დარაზმავს გლეხობის ღარიბ ნაწილს, არ შევა ოფიციალურ ხელისუფლების შემადგენლობაში მაგრამ ხელმძღვანელობას გაუწევს მის მუშაობას და დაეყრდნობა გლეხთა საზოგადოებრიობას და სოფლის ღარიბ გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტებზე. რა თქმა უნდა ამას ვერ მივიღებთ საერთო წესად.

როგორ უნდა ვებრძოლოთ „კულაკს".

ეხლა შესაძლებელი ხდება სოფლის დაქირავებულ მუშათა რიცხვის ზრდა სოფლის ფენებათ დაყოფის გამო. ჩვენი პარტია და საბჭოები დაეყრდნობიან ამ დაქირავებულ მუშებზე. უპარტიოები, როგორც საბჭოების თავმჯდომარეები, საშიშროებას არ წარმოადგენენ. უფრო საშიშია დაურაზმავად დატოვება **ღარიბ გლეხთა და დაქირავებულ მუშებისა სოფლად, სადაც კულაკი ირაზმება.** რათა კულაკურმა ელემენტმა ხელში არ ჩაიგდოს ძალა-უფლება, სოფელში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის ცხოვრების **საზოგადოებრივ მხარეს, ღარიბ გლეხთა, ქალთა და დაქირავებულ მუშათა დარაზმვას.** შესაძლებელია, რომ მიუხედავათ ჩვენ მიერ მიღებულ ღონისძიებათა სოფლის ფენებათ დაყოფა გაგრძელდეს სოფლის მეურნეობის განვითარების მიხედვით, აუცილებელია გლეხობის სხვა და სხვა ფენების ბრძოლა. პარტია და საბჭოები მხოლოდ იმ შემთხვევაში განახორციელებენ სოციალიზმზე გადასვლის ამოცანას, თუ ექნებათ **მტკიცე ბაზა მცხოვრებთა საშუალო შეძლების და ღარიბ ფენებს შორის".**

თათბირი გლეხებს შორის მუშაობის შესახებ

მორიგი ამოცანები

მოსკოვი, 10 იანვარი. რ. კ. პ. ცეკას მიერ მოწვეულია თათბირი გლეხთა შორის მუშაობის შესახებ. 8 იანვრის სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. **მაიოროვას** მოხსენება გლეხ-ქალთა შორის მუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ.

„პარტიულმა ორგანიზაციებმა ადგილებზე—სთქვა მან შეიგნეს გლეხ-ქალთა შორის მუშაობის მნიშვნელობა და მას ეხლა გაცილებით უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე წინეთ იყო. მაგრამ მთელ რიგ ადგილებში ჩვენ ვხედავთ გლეხ-ქალების ლტოლვას პარტიისაკენ, რასაც დაუშვებელ წინააღმდეგობას უწევენ ქვედა საფეხურის უჯრედები.

ჩვენ უახლოეს დროში პარტიაში უნდა მივიღოთ გლეხის ქალები-კანდიდატები. რომლებმაც პრაქტიკულ მუშაობაში დაამტკიცეს თავისი ერთგულება პარტიისადმი.

გლეხ-ქალთა სადელეგატო კრებები მოწყობილი უნდა იქნეს მხოლოდ პარტიული ორგანიზაციების გარშემო. უკანასკნელი წლის განმავლობაში შემჩნეულია გლეხ-ქალების საზოგადოებრივი აქტივობის ზრდა, ამ აქტივობის გასაძლიერებლათ საჭიროა დავდგეთ გლეხ-ქალების უფლების დაცვის ნიადაგზე. საჭიროა უფრო მჭიდრო კავშირი მუშა-ქალებსა და გლეხ-ქალებს შორის.

მუშაობა მოჯამაგირე ქალთა შორის

შემდეგ სიტყვით გამოვიდა **ანციფეროვიჩი**, რომელმაც თავის მოხსენებაში გააშუქა მიწატყის მუშაკთა სრულიად რუსეთის კავშირის მუშაობა მოჯამაგირე ქალთა შორის. მოჯამაგირეთა საერთო რიცხვი საბჭოთა კავშირში უდრის მილიონ ნახევარ კაცს, გარდა დღიური მუშებისა; მოჯამაგირე ქალთა რიცხვი უდრის 250.000. მოჯამაგირე ქალთა შრომის ხელფასი საშუალოთ შეადგენს 10 მანეთს, იმ დროს, როდესაც სასოფლო-სამეურნეო მუშების შრომის ხელფასი უდრის 16 მანეთს თვეში. მოჯამაგირე ქალთა შორის 50 პროც. წერა-კითხვის უცოდინარია.

მუშაობა ახალგაზრდა გლეხ-ქალთა შორის.

ამის შემდეგ ახალგაზრდა გლეხ-ქალთა შორის მუშაობის წარმოების შესახებ მოხსენება გააკეთა **ტოლმაჩევამ**, რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა მასიური კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის გაძლიერება ახალგაზრდა გლეხ-ქალთა შორის; ამასთანავე საჭიროა, რომ ქოხ-სამკითხველოებში მოწყობილი იქნეს წრეები და საუბარი იმ საკითხების შესახებ, რომლებიც აინტერესებთ ახალგაზრდა ქალებს.

როგორ ახორციელებს მემკვიდრე ებერტი მარქსის ლოზუნგს

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით"
მარქსი

„მაგრამ მხოლოდ სამარეში"
ებერტი



„Proletarier aller Länder vereinigt Euch!" K. Marx
Aber nur im Grabe, Ebert
SPD

„როტე ფანე"-დან

ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად

მოსკოვი, 10 იანვ. საბჭოთა კავშირის ცაკმა დაამტკიცა დებულება ლენინის ხსოვნის უკვდავსაყოფად ღონისძიებათა გატარების შესახებ. ცენტრალურ კომისიის დავალებათა სისრულეში მოსაყვანად სრულიად უკრაინის ცაკთან, ამიერკავკასიის საბჭ. სოც. ფედ. რესპუბლიკის ცაკთან, ლენინგრადის აღმასკომთან, და ტაშკენტში და ნოვონიკოლაევსკში არსდება კომისიები.

ცენტრალურ კომისიის გადაწყვეტილება სავალდებულოა და არ შეიძლება გაუქმებულ იქნას ადგილობრივ კომისიების მიერ. უკანასკნელნი თავიანთ მუშაობის შესახებ ანგარიშებს აბარებენ ცენტრალურ კომისიას.

ერრიოს ჯანმრთელობა

პარიზი. 10 იანვარი. ჰავასის სააგენტოს ცნობით ერრიოს ჯანმრთელობა იმდენათ გაუმჯობესდა, რომ ის დაესწრება დეპუტატთა პალატის გახსნას 13 იანვარს.

რეიხსტაგში

ობსტრუქცია.

ბერლინი. 9 იანვ. პრუსიის ლანდტაგის 9 იანვრის სხდომაზე მინისტრ-პრემიერი სოციალ-დემოკრატი ბრაუნი უნდა გამოსულიყო გადამდგარ კაბინეტის სახელით, რომ პროტესტი განეცხადებინა კელნის რაიონის ოკუპაციის წინააღმდეგ. ამის შესახებ უმაღლესთა საბჭოში დაიწყო მწვავე კამათი, რადგან ტევტონელ-ნაციონალისტებმა და სახალხო პარტიამ უარი სთქვეს დღევანდელი და უმთავრებელი კაბინეტის ცნობაზე. მიუხედავათ ამისა, როცა ბრაუნი გამოვიდა თავისი განცხადებით, მაშინ ტევტონელებმა, ნაციონალისტებმა და სახალხო პარტიის უმრავლესობამ სხდომის დარბაზი მიატოვეს.

კომფრაქციამ წაიკითხა თავისი საპროტესტო დეკლარაცია კელნის რაიონის ოკუპაციის გაგრძელების წინააღმდეგ. დეკლარაციაში, სხვათა შორის, ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ბურჟუაზიულ მთავრობებს არ შეუძლიათ დაპყრობილ ოლქების განთავისუფლება. ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ საერთაშორისო პროლეტარიატის გაერთიანებული ძალ-ღონით. ამავე დროს კომფრაქციამ უნდობლობა გამოუცხადა ბრაუნის კაბინეტს.

ლანდტაგის სხდომა გადადებულია ოთხშაბათამდის.

მუშკი-კრიზი.

ბერლინი. 9 იან. ამნისტიის საკითხის გარჩევის შემდეგ რეიხსტაგში მოხდა სერიოზული შეჯახება ფრაქციების თავმჯდომარეთა შორის. დაარსდა პარლამენტარული კომისია ბარმატისა და კუტისკერის საქმის გამოსაძიებლათ. ამის შემდეგ რეიხსტაგის სხდომა დაიხურა ოთხშაბათამდის მიუხედავათ კომუნისტებისა და მემარცხენეთა სასტიკი პროტესტისა. შემდეგი სხდომის დღის წესრიგში წამოყენებულია მთავრობის დეკლარაცია.

მდგომარეობა პოლონეთში

კონფლიქტი პოლონეთსა და დანციგს შორის

ვარშავა. 8 იანვარი. პოლონეთის მთავრობის განკარგულებით, თავისუფალ ქალაქ დანციგში მოწყობილ იქნა პოლონეთის საფოსტო სამმართველო. ამ სამმართველომ გააკეთა ქალაქში რამოდენიმე საფოსტო ყუთი. ვიღაც უცნობმა პირებმა ეს ყუთები შეღებეს შავ-თეთრ-წითელ ფერებით. ამის გამო პოლონეთის წარმომადგენელმა დანციგში, ბრალი დასდო დანციგს პოლონეთის ღირსების შეურაცხყოფაში. დანციგის სენატმა პოლონეთის წარმომადგენელს უპასუხა, რომ პოლონეთის საფოსტო ყუთებზე თავდასხმა სენატს არ მიაჩნია პოლონეთის სახელმწიფო ღირსების შეურაცხყოფად, მით უფრო, რომ პოლონეთის ფოსტის დაარსება დანციგში ეწინააღმდეგება არსებულ ხელშეკრულებებს. ამაზე საპასუხოდ პოლონეთის წარმომადგენელმა სტრასბურგერმა მეორე ნოტა გაუგზავნა დანციგს, რომელშიაც მკაცრი კილოთი აღნიშნავს, რომ საფოსტო ყუთების შეღებვა მოაწყვეს დანციგის ფოსტის მოსამსახურეებმა. სტრასბურგერი მოითხოვს სენატისაგან ოფიციალურად ბოდიშის მოხდას და დამნაშავეების სასტიკად დასჯას.



ამხ. ლანცუცკი

პოლონეთის სეიმის დეპუტატი—კომუნისტი, რომელიც დააპატიმრა პოლიციამ თვით სეიმის დასტურით.

პოლონეთის პრესამ დაიწყო კამპანია დანციგის წინააღმდეგ და მოითხოვს გადამჭრელ ზომებს მთავრობისაგან.

მასწავლებელთა ყრილობისათვის

მშრომელთა დღესასწაული

ამხ. ზინოვიევის წერილი

მოსკოვი. 10 იანვარი. სრულიად საკავშირო მასწავლებელთა ყრილობის გამო ამხ. ზინოვიევი სწერს:

„დგება დრო, როდესაც განაღდებული უნდა იქნეს ოქტომბრის რევოლიუციის პროგრამა. დგება დრო როდესაც უკვე არა სიტყვით, არამედ საქმით შესძლებს ქვეყანას შეუდგეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას და სოფლის და ქალაქის მცხოვრებთა ფართო მასების კულტურული დონეს აწევას.

ჩვენი პარტიის დაახლოება მთელი კავშირის მასწავლებლობასთან არ არის შემთხვევითი გარდამავალი ეპიზოდი. არა, ეს დაახლოვება აუცილებლად გაფართოვდება და განმტკიცდება უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, პროლეტარიატის მთავარი ინტერესები სავსებით ეთანხმება მცხოვრებთა ისეთ მნიშვნელოვან ჯგუფის ინტერესებს, როგორიცაა მასწავლებლობა. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ პროლეტარიატის პარტიამ შესძლო ასეთი წარმატებით წამოეყენებია მორიგ ამოცანად რუსეთის კომპარტიის დაახლოვება მასწავლებლობასთან.

მოვალი ყრილობა პირველია, მაგრამ, რათქმა უნდა არა უკანასკნელი ასეთ ყრილობათა შორის.

ამ ყრილობაზე ადგილი ექნება დიდ მუშაობას, მაგრამ ამავე დროს იგი იქნება ნამდვილი დღესასწაული მთელ მოწინავე მასწავლებლობისა და ქალაქის და სოფლის ყველა მშრომელთა მასებისათვის.

მასწავლებელი, რომელიც მზადაა თავისი სიცოცხლე შესწიროს ლენინის მიერ ნანდერძევ მუშაობას, ეხლა უკვე ერთეულებს არ შეადგენს, აღარ შეადგენს გამონაკლისს საერთო წესიდან. ეხლა ეს არის მასწავლებლობის მთავარი მასა, ხვალ კი ასეთი იქნება მასწავლებლობის მთელი მასა.

მასწავლებელი დაიკავებს მის კუთვნილ ადგილს ლენინის ჯარის რიგებში.

რას მოველით ყრილობისაგან

ამხ. რიკოვი. „მასწავლებლობის წარმომადგენლები თავს მოიყრიან მოსკოვში—მშრომელთა იმ სახელმწიფოს დედა-ქალაქში, სადაც განათლება და კულტურა შეადგენს მთელი ხალხის კუთვნილებას და არა მდიდრების პრივილეგიას. ვუსურვებ მომავალ ყრილობას სრულ წარმატებას მის მუშაობაში.

ამხ. კამენევი. მშრომელთა რესპუბლიკაში მასწავლებელი უნდა იყოს ჯარის-კაცი გაუნათლებლობასთან, უკულტურობასთან ბრძოლაში და ახალ წესწყობილების და კომუნიზმის დამყარებაში. დღეს, უფრო მეტად, ვიდრე არასოდეს საჭიროა მასწავლებლობის, სახელმწიფოს და კომპარტიის კავშირი ახალ პოზიციების ჩქარა დასაპყრობად, ყრილობას განსაკუთრებით ეპყრობა არა მარტო სახელმწიფო და პარტია, არამედ მშრომელთა მასსა.

ამხ. სტალინი. გზა, რომლითაც მიდის მუშა სოციალიზმისაკენ, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ძლევამოსილი, თუ მრავალმილიონიანი გლეხობის მშრომელი მასები ხელიხელ ჩაკიდებული გაჰყვებიან მუშათა კლასს. გლეხთა მასებსა და მუშათა კლასს შორის დამაკავშირებელ რგოლად გახდომა—აი სოფლის მასწავლებლის მთავარი ამოცანა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ინგლისის კომპარტიის წევრი საბჭოთა ასტრახანის შესახებ.

ასტრახანი. 9 იან. ასტრახანში ჩამოვიდა ინგლისის კომპარტიის წევრი პარრი ტუგუტი „როსტას" თანამშრომელთან საუბრის დროს მან განაცხადა შემდეგი:

მე ძალიან ხშირად მიხდებოდა ასტრახანის პასუხისმგებელ ამხანაგების კაბინეტებში ყოფნა და გაოცებაში მოვდიოდი იმ საკითხების სიმრავლით, რომელთა გადაწყვეტაც მათ უხდებოდათ. სკოლებში მე გამაკვირვა ბავშვების დამოუკიდებლობამ. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება კი ჩემზე მოახდინა ახალგაზრდა პიონერების ორგანიზაციამ. მე ვინახულე იძულებითი მუშაობის სახლი და გაოცებაში დავრჩი იმით, თუ რა საუცხოვო პირობებში იმყოფებიან პატიმრები. მე რომ ინგლისში დაბრუნებისას შემთხვევით ციხეში ჩამსვან, იქ სახარბიელოთ მომეჩვენებოდა ასტრახანის პატიმართა ბედი.

ავსტრალიის კომპარტიის ცეკა ტროცკიზმის წინააღმდეგ.

მოსკოვი. 9 იანვარი. ავსტრალიის კომპარტიის ცეკამ ხანგრძლივი თათბირის შემდეგ რეზოლიუცია გამოიტანა ტროცკიზმის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის ძირითადი კაპიტალი.

მოსკოვი. 10 იანვარი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს მიერ შეტანილი პროექტი, რომლის მიხედვით საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის ძირითადი კაპიტალი 1924 წლის 1 ოქტომბრისათვის განისაზღვრება 10 მილიონი ჩერვონეცით.

სახაზინო ვალუტის გამოშვება.

მოსკოვი. 10 იან. ფინანსკომის სავალუტო სამმართველოს საკომისიო ბიულეტენის თანახმად, 1925 წლის პირველ იანვრისათვის ყველა სახის სახაზინო ვალიუტა გამოშვებულია 331.316.717 მანეთის რაოდენობით. აქედან სახაზინო ბილეთები 223,—14.148.400 მილ. მანეთის, სახაზინო ბონები — 22.797.863, ვერცხლის—75,550,523 მან. სპილენძი—319,930 მან.

ემისიის შემცირება განსაკუთრებით საგრძნობი გახდა უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში: ოქტომბერში გამოშვებულ იქნა ხმარებაში — 29,043,474 მანეთი ნოემბერ — 16,436,077 მან. დეკემბერში კი — მხოლოდ დაახლოვებით 10 მილიონი მანეთი.

ამხ. რიკოვი—ბაქოს საბჭოს საპატიო წევრი.

მოსკოვი. 10 იანვარი. რიკოვის სახელზე მიღებულია დეპეშა ბიბი-ეიბატის რაიონის მუშებისაგან; დეპეშაში ნათქვამია, რომ მუშების კრება, რომელსაც დაესწრო 2000 კაცი, ერთხმად ირჩევს ამხ. რიკოვს ბაქოს საბჭოს საპატიო წევრად.

იაფი რადიო-მიმღები

მოსკოვი. 10 იანვარი. ხელსაწყობების სახელმწიფო სახელოსნოები უშვებენ ინჟინერ ბოგოსლოვსკის კონსტრუქციის იაფ რადიო-მიმღებებს ისინი ეღირება დაახლოვებით 3 მანეთი, ყურსასმენი მილის გარეშე.

უკრაინა

ტყე გლეხების სასარგებლოდ.

ხარკოვი, 9 იანვ. უკრაინის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა დაადგინა, 200,00 დესიატინა ტყე გადასცეს გლეხობას უშუალო სარგებლობისთვის.

მადლობა დახმარებისათვის.

მოსკოვი. 9 იანვ. ამხ. რიკოვის სახელზე კაბარდინ-ბალკარის ცაკიდან მიღებულია სამადლობელი წერილი იმ დახმარებისთვის, რომელიც მიიღო ამ რაიონმა მოუსავლიანობის დროს.

მარქსიზმი და პროლეტარიატის და გლეხკაცობის კავშირის საკითხი

II*)

პირველ წერილში ჩვენ განზრახ შევჩერდით მარქსის და ენგელსის მიერ გამოთქმულ აზრებზე პროლეტარიატის და გლეხკაცობის დამოკიდებულების შესახებ ეს საჭირო იყო იმიტომ, რომ დაგვემტკიცებია: ლენინის მოძღვრება გლეხკაცობის როლის შესახებ სრულებით არ ეწინააღმდეგება მარქსიზმს, პირიქით, იქიდან გამომდინარეობს. ამის შემდეგ ძნელი არ იქნება ლენინის მოძღვრების გაგება, რადგან მისი საფუძვლები მოცემული იყო ჯერ-კიდევ მარქსის და ენგელსის მიერ. ამ წერილში ჩვენ გვინდა შევეხოთ ლენინის მიერ გამოთქმულ აზრებს გლეხკაცობის როლის შესახებ რევოლიუციაში და მის დამოკიდებულებას პროლეტარიატთან.

სანამ პირდაპირ კითხვაზე გადავიდოდეთ, შევჩერდეთ რუსეთის მცხოვრებთა სოციალურ შემადგენლობაზე გასული საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში. როგორ იზრდებოდა პროლეტართა რიცხვი? ამას გვიჩვენებენ შემდეგი ციფრები: რუსეთში სულ იყო:

1887 წელს — 1,317.000 მუშა
1890 „ — 1,424,000 „
1893 „ — 1,582,000 „
1896 „ — 1,818,000 „
1897 „ — 2,096,000 „

ამ რიგათ ათი წლის განმავლობაში მუშათა რიცხვი თითქმის ორჯერ გაიზარდა. მათი საერთო რაოდენობა ორ მილიონს ზევით ასცილდა. მეოცე საუკუნის პირველ ათეულ წლებში მუშათა რიცხვი დაახლოვებით იმავე ციფრის გარშემო ქანაობდა. პროცენტულათ მუშათა რაოდენობა 1897 წ. ყველა მცხოვრებლებთან შედარებით შეადგენდა 17,9 პროც. სოფლის მეურნეობის და მეთევზეობას მისდევდა მცხოვრებთა 58,3 პროც., აღებ-მიცემობის და ტრანსპორტის დარგში მუშაობდა 7,1 პროც., დანარჩენნი მისდევდენ სხვა პროფესიებს. ჩვენ გვაინტერესებს ორი რიცხვი: 17,9 პროც. და 58,3 პროც., რომლებიც გამოხატავენ მომუშავეთა რაოდენობას მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგში. როგორც სჩანს, მუშები წარმოადგენდენ დიდ უმცირესობას, გლეხობა კი უმრავლესობას. ასეთი შეფარდებაა დაახლოვებით ეხლაც.

ჩვენ ვიცით, რომ გლეხკაცობა, რომელიც მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენდა, დაჩაგრული იყო მეფის და მემამულეების მიერ. ვინ არ იცის, თუ როგორი ძლიერი გლეხთა მოძრაობა იყო რუსეთში როგორც გასულ, ისე მიმდინარე საუკუნეში. ეს მოძრაობა მიმართული იყო ყველა მჩაგვრელების წინააღმდეგ, და უპირველეს ყოვლისა, მემამულეთა წინააღმდეგ. ამავე დროს ქალაქში პროლეტარიატი სასტიკათ ებრძოდა ბურჟუაზიის და მეფის რეჟიმს. როგორი უნდა ყოფილიყო ამ ორი მებრძოლი კლასების დამოკიდებულება? უნდა შეკავშირებულიყვნენ თუ არა ისინი საერთო მტრის მოსასპობათ? და ბოლოს, ვინ უნდა ყოფილიყო ხელმძღვანელი ამ ბრძოლაში? ლენინმა ამ კითხვაზე გარკვეული პასუხი მისცა. მივმართოთ სათანადო წყაროებს. 1905 წ. ლენინი სწერდა შემდეგს:

„... რამდენიმეთ მტკიცე (რასაკვირველია, არა სიტყვის სრული აზრით (безусловно), არამედ შედარებით) შეიძლება დარჩეს მხოლოდ რევოლიუციონური დიქტატურა, რომელიც ეყრდნობა ხალხის დიდ უმრავლესობას. **რუსეთის პროლეტარიატი კი ახლა შეადგენს რუსეთის მოსახლეობის მცირე ნაწილს.** დიდ, უდიდეს უმრავლესობათ გახდომას შესძლებს ის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუკავშირდება ნახევრათ-პროლეტარების, ნახევრათ-მესაკუთრეების (полухозяйчиков) მასას, ე. ი. წვრილ-ბურჟუაზიულ, ქალაქისა და სოფლის ღატაკების მასას. *) (ხაზი ჩვენია ქ. ო.)

როდესაც ამ ამონაწერს ვკითხულობთ, გვაგონდება ენგელსის ზემოთ მოყვანილი სიტყვები. ლენინი იმავეს ამბობს 1905 წ. რუსეთზე, რასაც ენგელსი ამბობდა 1870 წლის გერმანიაზე. პროლეტარიატი იქაც და აქაც დიდ უმცირესობაში იყო ამ წლებში. აქედან—აუცილებლობა მისი შეკავშირებისა გლეხობასთან, მის ღარიბ ნაწილთან. მეორე ადგილას ლენინი გადაჭრით ამტკიცებს, რომ მეფის რეჟიმის დამარცხება შეუძლებელია ამ კავშირის გარეშე. აი ეს ადგილი: „მართლაც, განა ნათელი არ არის, რომ ბრძოლა რესპუბლიკისათვის შეუძლებელია, თუ პროლეტარიატი არ დაუკავშირდა ხალხის წვრილბურჟუაზიულ მასას? განა ნათელი არ არის, რომ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლიუციონური კავშირის გარეშე საეჭვოა. რომ ეს ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდესი?" **) ფუჭია იმედი რევოლიუციის გამარჯვებისა, თუ პროლეტარიატი და გლეხკაცობა ერთად არ გამოვიდა ძველი წყობილების წინააღმდეგ. ასეთია ლენინის დასკვნა.

რატომ შეიქნა საჭირო მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან? არის ეს მარქსიზმის ღალატი თუ არა? მენშევიკებს ეს მიაჩნდათ მარქსიზმის ღალატათ. დღეს ეს ბევრს კიდევაც გაუკვირდება, მაგრამ თავის დროზე მენშევიკები ფიქრობდენ, რომ ბოლშევიზმის ლოზუნგი წვრილბურჟუაზიული ლოზუნგია და ამიტომ ჩვენ უნდა დავიცვათ წმინდა პროლეტარული პოზიციაო. მათ ვერ გაიგეს, რომ რუსეთის თავისებური პირობებიდან ლენინს გამოჰყავდა თავისებური ტაქტიკა სოციალისტური პროლეტარიატისა, ვერ გაიგეს, რომ მუშათა და გლეხთა კავშირში ხელმძღვანელ როლს თამაშობს მუშათა კლასი, რომელიც არის გამტარებელი ამ ტაქტიკის. აქ სრულებით არ იყო გადახვევა მარჯვნივ,—წვრილი ბურჟუაზიისაკენ, პირიქით, აქ იყო ამ უკანასკნელის გადახრა მარცხნივ, პროლეტარიატისაკენ, ცნობა მისი ჰეგემონიისა რევოლიუციონურ მოძრაობაში. მკვდარ დოგმებმა და კატეგორიებმა, აბრალ ისტორიულ ანალოგიებმა რუსეთის რევოლიუციისა წარსულ ევროპის რევოლიუციებთან მენშევიკები მიიყვანა იქამდის, რომ მათ სავსებით დაკარგეს ნიადაგი რუსეთის მუშათა კლასში და ნაცვლად პროლეტარიატის ჰეგემონიისა, იცნეს ბურჟუაზიის ჰეგემონია პროლეტარიატზე.

რუსეთის რევოლიუცია ხდებოდა სულ თავისებურ ისტორიულ პირობებში, როდესაც ბურჟუაზიამ დაკარგა წარსული რევოლიუციონერობა და კალთაში ჩაუვარდა მეფეს და მის დამქაშებს. რევოლიუცია ბურჟუაზიული იყო. ამას ამბობდენ მენშევიკებიც. მაგრამ აქედან მათ ყალბი დასკვნა გამოჰყავდათ: რაკი რევოლიუცია ბურჟუაზიულია, მაშ ძალა-უფლების სათავეში ბურჟუაზია უნდა მოექცესო. ბოლშევიკებმა კი სულ სხვა დასკვნა გამოიყვანეს იმავე დებულებიდან, მაგრამ **სწორედ იმიტომ, ლათი აზრით, რუსეთის რევოლიუცია არ იყო, ასე ვთქვათ, ძველი ბურჟუაზიული რევოლიუცია, რომ ეს ბურჟუაზიული რევოლიუცია არ ჩამოგავდა ყოველმხრივ სხვა რევოლიუციებს.**

რუსეთის ბურჟუაზია მხოლოდ რევოლიუციონური ფერ-სალებავით განირჩევა მეფის რეჟიმისაგან. სინამდვილეში ეს ბურჟუაზია არ არის რევოლიუციონური, მას არ შეუძლია ბოლომდის მიიყვანოს ეს რევოლიუცია. მაშასადამე, რევოლიუცია არის ბურჟუაზიული, მაგრამ ბურჟუაზია არ არის რევოლიუციონური. აქედან ბოლშევიზმის დასკვნა: ძალა-უფლების სათავეში უნდა მოექცეს მუშათა კლასი და გლეხკაცობა, რომელთაც შეუძლიათ სრულ გამარჯვებამდის მიიყვანონ რევოლიუცია. მუშათა კლასმა უნდა გაიყოლიოს გლეხკაცობა, გამოგლიჯოს ის ბურჟუაზიის ზეგავლენისაგან. მოვიყვანოთ თვით ლენინის ციტატები. აი რას ამბობს ის 1907 წელს:

„კადეტები—ეს არის ლიბერალური ბურჟუაზიის პარტია. ეკონომიური მდგომარეობის გამო ამ კლასს აშინებს გლეხობის გამარჯვება და მუშების შეკავშირება. აქედან აუცილებელია, და არა შემთხვევითი, კადეტების ტენდენცია გადაუხვიონ მარჯვნივ, შეუთანხმდნენ რეაქციას მით უფრო სწრაფად, რაც უფრო სწრაფად ხდება ხალხის მასების მარცხნივ გადახრა... აქედან ბოლშევიკებს გამოჰყავთ სოციალისტური პროლეტარიატის **ძირითადი** ტაქტიკა ბურჟუაზიული რევოლიუციის დროს: გაიყოლიოს დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზია, განსაკუთრებით გლეხური, ჩამოაშოროს ის ლიბერალებს, ბოლო მოუღოს ლიბერალური ბურჟუაზიის რყევას, გააძლიეროს მასების ბრძოლა ბატონყმური ნაშთების, მათ რიცხვში მემამულეთა მიწათმფლობელობის სრულიად მოსასპობად" *). (ხაზი ავტორისაა).

როგორც აქედან სჩანს, ლენინი 1907 წ. იდგა იმავე პოზიციაზე, როგორც 1905 წ.; დემოკრატიული ელემენტების კავშირი პროლეტარიატთან აუცილებელია, ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით. მაგრამ შეიძლება ლენინმა გამოიცვალა თავისი აზრი ამ სტრიქონების დაწერის შემდეგ? შეიძლება მოვიყვანოთ მრავალი ამონაწერები, რომლებიც ამ კითხვაზე უარყოფით პასუხს მისცემენ. მაგრამ ეს საჭირო არ არის. ვფიქრობთ, საკმარისი იქნება მოვიყვანოთ ისეთი ამონაწერები, რომლებიც 1917 წ. შეეხებიან.

თავის წერილში, რომელიც დაწერილია 1917 წ. შვეიცარიაში, ლენინი ასახელებს პროლეტარიატის ორ მოკავშირეს. ეს მოკავშირეებია: პირველ ყოვლისა ვთქვათ, მრავალათეულ მილიონებისგან შემდგარი, ხალხის დიდი უმრავლესობის შემადგენელი რუსეთის ნახევრათ პროლეტარული და ნაწილობრივ წვრილგლეხური მასა. ამ მასას **ესაჭიროება** ზავი, პური, თავისუფლება, მიწა...

მეორე, რუსეთის პროლეტარიატის მოკავშირეს წარმოადგენს ყველა მებრძოლი ქვეყნების და საერთოდ **ყველა** ქვეყნების პროლეტარიატი *). (ხაზი ავტორისაა).

ჩვენ არ გვაინტერესებს ამჟამათ საკითხი მეორე მოკავშირის შესახებ ის ცალკე განხილვას მოითხოვს. პირველი მოკავშირე პროლეტარიატისა კი 1917 წ. იგივეა, რაც 1905 და 1907 წ.წ. უამისოთ გამარჯვება რუსეთის რევოლიუციისა შეუძლებელია. რომ უფრო ცხადვყოთ ეს, მოვიყვანოთ კიდევ ერთი ადგილი ლენინიდან. იმავე 1917 წ. ის ამბობს: „რუსეთი წვრილბურჟუაზიული ქვეყანაა. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ეკუთვნის ამ კლასს. მისი რყევა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის აუცილებელია. **მშვიდობიანობის, თავისუფლების, მშრომელთა მიერ მიწის მიღების საქმის გამარჯვება მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, თუ ეს კლასი შეუერთდება პროლეტარიატს**" *) (ხაზი ჩვენია. ქ. ო.)

ასეთია ლენინის შეხედულება გლეხკაცობასთან კავშირზე, მის როლზე რევოლიუციაში 1917 წლის ბოლომდის. ოქტომბრის რევოლიუცია განსახიერება იყო მუშათა და გლეხთა ასეთი შეკავშირებული მოქმედების. ბურჟუა-მემამულეების ხელისუფლება დაიმსხვრა საბოლოოთ. ყველა ზემონათქვამიდან ჩვენ შემდეგი დასკვნა გამოგვყავს:

1) ლენინის შეხედულებები გლეხკაცობის როლზე რევოლიუციაში. მასთან კავშირზე, სრულებით ეთანხმება მარქსის და ენგელსის მიერ გამოთქმულ აზრებს. განსხვავება აქ იმაშია, რომ ლენინმა რუსეთის კონკრეტულ პირობებში ამ ლოზუნგს პრაქტიკული სული ჩაბერა და იქიდან შესაფერი ტაქტიკური დასკვნები გააკეთა;

2) რადგან პროლეტარიატი დიდ უმცირესობას წარმოადგენს რუსეთში, მისი კავშირი წვრილ, ღარიბ გლეხკაცობასთან აუცილებელია. რევოლიუციაში ჰეგემონის როლი ეკუთვნის პროლეტარიატს;

3) რევოლიუციონური ბურჟუაზიის არ ყოლა რუსეთში პროლეტარიატის და გლეხკაცობის კავშირის ლოზუნგს განსაკუთრებულ პრაქტიკულ მნიშვნელობას აძლევს. ბურჟუაზიის ბლოკს მემამულეებთან უნდა დაუპირდაპირდეს პროლეტარიატის და გლეხკაცობის ბლოკი.

4) ეს მთავარი იდეა წითელი ძაფივით გადის ლენინის ყველა ნაწერებში მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან 1923 წლამდის. ოქტომბრის რევოლიუციამდის ეს კავშირი საჭირო იყო ბურჟუა-მემამულეების **ძალა-უფლების დასამხობათ.** ძველი წყობილების დამსხვრევის შემდეგ კი საჭირო შეიქნა ახალი, **საბჭოთა წყობილების გამაგრება.** მაგრამ ეს საკითხი მოითხოვს ცალკე განხილვას. ამავე დროს საჭიროა გავარკვიოთ საკითხი გლეხკაცობის გზის შესახებ სოციალიზმისაკენ, პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. ამაზე შემდეგ.

ქ. ორაგველიძე.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 8.

*) იხ. ლენინის „Тактика большевизма" გვ. 17.

**) იქვე, გვ. 21.

*) იხ. ლენინის „Собр. сочинений", том 8, გვ. 233, 234, 235.

*) იხ. მისივე „Собр. соч." том 14, ч. 1 გვ. 12.

*) იხ. ლენინის „Тактика большевизма" გვ. 339.

ს. ს. ს. რ. ხალ. კომისართა საბჭო
სახელმწიფო ცენტრ. ...
კომპლექტი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ორშაბათს, 1925 წლის 12 იანვარს, საღამოს 6 საათზე
წითელ თეატრში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელ. სახ. სახლში)
დანიშნულია

თბილისის საბჭოს მორიგი სხდომა

დღის წესრიგი:

1. თბილისის საბჭოს 1924—1925 საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის დამტკიცება. 2) მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა საბჭოს წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

614 2—2 პრეზიდიუმი.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

სომხეთში.

შაქრის ქარხნის მოწყობა ლენინაკანში

ერევანი, 9 იანვ. ახლო მომავალში დამთავრდება მუშაობა შირაქის არხის გასაყვანად. ადგილობრივმა პრესამ აღძრა საკითხი შირაქის ველების მიზანშეწონილად გამოყენების შესახებ. კამათი სწარმოებს უმთავრესად ლენინაკანში შაქრის ქარხნის მოწყობის შესახებ, რომლის პროექტი წარმოადგინა ინჟინერმა იუზბაშიანმა. ამის შესახებ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის წევრმა, აკადემიკოსმა ტამანიანმა სომხეთის სატელეგრაფო სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ შირაქის ველების სწორად და სასარგებლო გამოყენება იქნება შაქრის ქარხნის გაშენება, მით უფრო, რომ კლიმატიური პირობები და ნიადაგი სავსებით ხელს უწყობენ ჭარხლის კულტურას. ინჟინერ იუზბაშიანის პროექტის მიხედვით გამოანგარიშებული 300,000 ფუთი შაქრის დამზადების შესაძლებლობა აკადემიკოს ტამანიანს არ მიაჩნია საკმარისად. მისი აზრით თავისუფლად შეიძლება 500.000 ფუთის დამზადება.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორმა, მეცნიერმა ტამანიანმა განაცხადა, რომ სომხეთში შაქრის ჭარხლის გაშენების ცდამ საუკეთესო შედეგები მოიტანა. ტუმანიანი, ისევე როგორც ტამანიანი, ფიქრობს, რომ ლენინაკანში კლიმატიური პირობები და ნიადაგი ხელს უწყობენ შაქრის ჭარხლის გაშენებას.

ჯიშიანი ჯოგები

ერევანი. 9 იანვარი. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცხენების მოშენებელ ქარხანაში არსდება განყოფილება ჯიშიან ჯოგების მოსაშენებლად. ამ მიზნით სპარსეთიდან გამოწერილია ჯიშიანი ვირები.

საბჭოთა კავშირის და ოსმალეთის სანაპირო კომისიაში

ამას წინად შესდგა საბჭოთა კავშირის და ოსმალეთის შერეულ სანაპირო კომისიის მეორე პლენარული სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა კომისიის მუშაობის წესრიგი; მიღებულ იქნა მთელი რიგი გადაწყვეტილებებისა წესრიგის და მუშაობის დაწყების შესახებ.

ამ დღეებში საბჭოთა კავშირის დელეგაციამ, რომელშიაც შედიოდნენ საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში ამხ. **კარკლინი** ამხ. **ვაშაძე** და **შარსკოვი** და მეორე მხრით ოსმალეთის დელეგაციამ გალიბ ბეის და **მამედ-რეუფ-ქიამილ-ოღლის** მონაწილეობით ხელი მოაწერეს იმ გადაწყვეტილებებს და ოქმებს, რომლებიც მიიღო შერეულმა სანაპირო კომისიამ.

ვინაიდან საერთო წინასწარი წესრიგი მუშაობის დაწყების შესახებ უკვე დამთავრდა, — ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარე გალიბ-ბეი გაემგზავრა თბილისიდან ანგორაში.

ამ დღეებში მუშაობის დამთავრების გამო, ოსმალეთში მიემგზავრება აგრეთვე ოსმალეთის დელეგაციის მესამე წევრი მამედ-ქიამილ-ოღლი.

ფულის გადაგზავნა საზღვარგარეთ

საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა ინსტრუქცია ვალიუტის გატანისა და გადაგზავნის შესახებ საზღვარგარეთ.

ასეთი ოპერაციები უნდა აწარმოონ სახელმწიფო ბანკმა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებმა. ვალიუტის გადაგზავნა საზღვარგარეთ არა უმეტეს 200 მანეთისა შესაძლებელია განსაკუთრებულ ნებართვის გარეშე.

ეს უფლება შეიძლება გამოიყენოს თვითეულმა გადამგზავნმა მხოლოდ ერთხელ თვეში.

ვალიუტის გადაგზავნა საზღვარგარეთ ამ ნორმაზე ზევით შეუძლიათ განსაკუთრებული ნებართვის გარეშე სახელმწიფო ბანკს, ფინანსთა სახალხო კომისარიატს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოებს და საგარეო ვაჭრობის ბანკს თანხების განუსაზღვრელათ. სააქციონერო საზოგადოებებს, და აგრეთვე სახელმწიფო კოოპერატიულ დაწესებულებებს და წარმოებებს, რომელთაც უფლება აქვთ დამოუკიდებლივ გავიდნენ საგარეო ბაზარზე, ვალიუტის გადაგზავნა საზღვარგარეთ, აღნიშნული ნორმის ზევით, შეუძლიათ იმ ლიმიტის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია მათთვის სავალიუტო თათბირის მიერ ამა თუ იმ ორგანიზაციის საექსპორტო-საიმპორტო გეგმასთან შეფარდებით.

ყველა დანარჩენ შემთხვევებში ვალიუტის გადასაგზავნათ საჭიროა სავალიუტო თათბირის განსაკუთრებული ნებართვა.

ამ ჯგუფის პლატინა და ლითონები, ყოველგვარი სახით, შეიძლება გადაგზავნილი იქნეს მხოლოდ სპეციალური ნებართვის მიღების შემდეგ.

თვითეულ პირს უფლება აქვს საზღვარ-გარეთ გაიტანოს განსაკუთრებული ნებართვის გარეშე უცხოეთის ვალიუტა, დოკუმენტები, კეთილშობილი ლითონები და ქვები სულ 300 მან. ღირებულების და ოჯახის თვითეულ წევრზე არა უმეტეს 150 მანეთისა. დიდი თანხის გატანა საზღვარგარეთ შეიძლება მხოლოდ სავალიუტო სამმართველოს განსაკუთრებული ნებართვით.

საბჭოთა კავშირში დროებით საცხოვრებლათ ჩამოსულ პირებს უფლება ეძლევათ გაიტანონ ძვირფასი ნივთები და ვალიუტა იმავე რაოდენობით, როგორი რაოდენობითაც შემოიტანეს ის, როდესაც საბჭოთა კავშირში მოდიოდნენ.

თბილისის აღმასკომის პლენუმზე

აღმასკომის პლენუმის 8 იანვრის სხდომაზე გაკეთებულ იქნა მოხსენება სათემო სისტემის შემოღების შესახებ თბილისის მაზრაში.

სათემო სისტემა თბილისის მაზრაში

(მოხსენებელი ამხ. კორძაძია)

გლეხური მასასთან დაახლოებისა და მისი საბჭოთა მშენებლობაში ჩაბმის მიზნით გადაწყვეტილ იქნა მაზრის რაიონებად დაყოფა შეიცვალოს ახალი სისტემით — მაზრის თემებათ დაყოფით, რომელიც მოსახლეობას უფრო მეტად დაუახლოებს ხელისუფლებას; 7 სარაიონო აღმასკომის ნაცვლად მაზრაში იქნება თემის 17 აღმასკომი, რომელიც გააერთიანებს 53 სასოფლო საბჭოს. სასოფლო საბჭოების გამრავლება ნაკარნახევია სოფლების ტერიტორიალური მდებარეობით. ერთი მეორისგან დაშორებულ სოფლებში ეწყობა ცალკე სასოფლო საბჭოები.

გარდა ამისა სასოფლო საბჭოები იქმნება ისეთ სოფლებში, რომელიც სხვებიდან განსხვავდება თავისი ეროვნული შემადგენლობით და ყოფაცხოვრების პირობებით. (მაგ. გერმანული და მოლოკანთა სოფლები).

განსაკუთრებით ხელსაყრელია ახალი თემური სისტემისათვის ის გარემოება, რომ თემის აღმასკომები ეწყობიან სწორედ იქ, სადაც სოფლის ეკონომიური ცენტრია, რაიონული აღმასკომები კი ხშირად დაშორებული იყვნენ ასეთ ცენტრებს.

ახალი სისტემის მეორე ღირსება არის კიდევ ის, რომ სოფლის საბჭოს წევრები ამავე დროს თემის საბჭოს წევრებიც არიან.

როგორც მოხსენებული იყო, 7 სარაიონო აღმასკომის ნაცვლად იქმნება შემდეგი სათემო აღმასკომები.

წალკის რაიონი გადაქცეულ იქნება ორ თემად: ზემო-წალკის თემი, სადაც შევა 4 სასოფლო საბჭო, და ქვემო წალკის თემი 6 სასოფლო საბჭოთი.

ალბულაღის რაიონს ერქმევა თემი, რომელიც გააერთიანებს 5 სასოფლო საბჭოს.

ასურეთის რაიონსაც დაერქმევა თემი, მასში შევა 4 სასოფლო საბჭო.

ერწოს რაიონი შეადგენს მხოლოდ ერთს თემს, რომელიც გააერთიანებს 5 სასოფლო საბჭოს.

გარე-კახეთის რაიონი იყოფა შემდეგ თემებად: გომბორის თემად — 2 სასოფლო საბჭოთი, სართაჭალის თემად — 4 სასოფლო-საბჭოთი, საგარეჯოს თემად — 2 სასოფლო საბჭოთი და მარტყოფის თემად — 4 სასოფლო საბჭოთი.

ყარაიაზის რაიონი შეადგენს ერთს თემს სამი სასოფლო საბჭოთი.

ქალაქს ახლო მდებარე რაიონი შესდგა შემდეგი 4 თემისაგან: კოჯორის თემისაგან — 3 საბჭოთი, თელეთის თემისაგან — 2 სასოფლო საბჭოთი, ავჭალის თემისგან — 2 სასოფლო საბჭოთი და დიღმის თემისგან — 2 სასოფლო საბჭოთი. მცხეთის რაიონი შეადგენს მხოლოდ ერთ თემს.

ამგვარად ახალი სათემო აღმასკომები გააერთიანებენ 53 სასოფლო საბჭოს 310 სოფლითურთ, სადაც 26.733 კომლი გლეხი სცხოვრობს.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ აღმასკომის პლენუმი მაზრის თემებად დაყოფის პროექტს იწონებს და ავალებს პრეზიდიუმს შეამუშაოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის უფლება-მოვალეობის შესახებ დებულება და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად სათანადო ორგანოებს.

მიწისძვრა საქართველოში

(საუბარი გეოლოგ ყიფიანთან).

9 იანვარს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მომხდარ მიწისძვრის გამო, გეოლოგმა **ყიფიანმა** ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ კავკასია და, კერძოდ, ამიერ-კავკასია დიდიხანია ინტენსიურ სეისმიურ მოძრაობათა ცენტრად ითვლება.

საქართველოს მთავარ ფიზიკურ ობსერვატორიის ცნობებით, უკანასკნელი მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობს 200 ვერსტის მანძილზე თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ამ მიწისძვრის დამახასიათებელი თვისება — განმეორებითი რყევა და რაც მთავარია — პუნქტები, რომელშიაც აღნიშნული იყო მიწისძვრა 9 იანვარს, ლაპარაკობენ მიწისძვრის შედარებითი ინტენსიურობისა და საერთოდ ამიერ-კავკასიის სეისმიურობის შესახებ.

ეხლა სეისმიურ მოვლენათა ასპარეზი მდებარეობს, ალბათ, ახალციხის, ბათომის და არდაგანის შორის სწორეთ ამ რაიონში უნდა ვეძიოთ ეპიცენტრი.

შემდეგ გეოლოგმა ყიფიანმა განაცხადა, რომ ამიერ-კავკასიაში მომხდარ მიწისძვრას არავითარ შემთხვევაში უშუალო კავშირი არ აქვს ვულკანიურ მოვლენებთან, რამდენათაც ამიერ-კავკასიამ არ იცის ისტორიულად მოქმედი ვულკანები, როგორც ამას ადგილი აქვს იაპონიაში და, განსაკუთრებით, იტალიაში.

ამიერ-კავკასიაში მომხდარ მიწისძვრის ერთ-ერთი მიზეზი აგრეთვე ის გარემოება, რომ მრავალი ჩვენი რაიონები გეოლოგიურად ჯერ კიდევ აგალკაზრდა ფეხის წარმოადგენს. კავკასიის ქედი ისევე, როგორც მიღული კრისტალიური მთები (მოროპსია ძაზრაში) წარმოადგენს ძველი გეოლოგიური პერიოდების ზღვაში კუნძულს...

გეოლოგია გვეხმარება ჩვენ გამოვარკვიოთ, ფელიქის ხანგრძლივობის შესწავლის ნიადაგზე, თუ რომელ რაიონებში შეიძლება მოხდეს საერთოდ სეისმიური მოვლენები, როგორც ჩვენ ამას ვხედავთ მტკვარის და რიონის განაპირა ველების მაგალითზე; ეს ველები ჯერ კიდევ მრავალი ათასი წლების განმავლობაში იქნებიან ინტენსიური მიწისძვრის ასპარეზი.

ბარბალე კალანდაძის ხსოვნას

1924 წლის 11 დეკემბერს ხიდისთავის რაიონში გარდაიცვალა ძველი რევოლიუციონერი და რევოლიუციონერ შვილების აღმზრდელი ბარბალე კალანდაძე.

ბარბალე იყო ღარიბი ოჯახის პატრონი, მაგრამ გულით და უნარიანობით მდიდარი. მიუხედავად იმისა რომ ის ცხოვრობდა კერძო მესაკუთრე გლეხებს შორის ბევრ სხვა მესაკუთრე გლეხებსავით კერძო ბედნიერებისათვის არ იბრძოდა; მთელი მისი გრძნობა და ენერგია მშრომელ ხალხის გამათავისუფლებელ მოძრაობისკენ იყო მიპყრობილი. რევოლიუციონერი, რომელსაც 1900 ვიდრე 1917 წლამდე (არალეგალურათ) უმუშავნია გურიაში და ყოფილა ხიდისთავის რაიონში, უსათუოდ გაეცნობოდა ბარბალეს, მის სიტყვას, მის ნაყოფიერ საქმეს. ბარბალე შემეცნებით კომუნისტკა და ბუნებით რევოლიუციონერი იყო. ვერავითარი რეაქცია და მეფის დამჭამები კრილოვ-ალიხანოვ-ავარსკის სახით მას ვერ აშინებდნენ. პირადათ მე ამ სტრიქონების დამწერს, არასოდეს არ დამავიწყდება ერთი მომენტი. გამხეცებული კრილოვის ცეცხლით და მახვილით გურიაში შემოსევის დროს, ხიდისთავში დიდ მიტინგზე მომართა ბარბალე კალანდაძემ, თუ რევოლიუციონერი ხარ ნურაფრის ნუ გეშინია შეგუბებული წყალი დღეს ანუ ხვალ გაიშლება, შვილო, გენიოსი რუსთაველი ამბობს, განსაცდელის დროს უნდა გამაგრებაო, ხომ იცი. ჩემი შვილების მდგომარეობა — როდის გაქრობა ბნელი რეაქცია არ ვიცი, მაგრამ მაინც იმედით შევყურებ მომავალსო.

ამის შემდეგ ვინ იცის რამდენჯერ ციმბირი და კატორღა გამოვიარე — ბარბალეს სიტყვები ხშირათ მომაგონდებოდა და იმ დროს მეტ ძალას და ენერგიას ვგრძნობდი ჩემში. ასეთი იყო ბარბალე თავის რევოლიუციონური წარსულით, ამიტომ ჩვენ ვინც მას ვიცნობდით არასოდეს არ დავივიწყებთ ბარბალე კალანდაძეს და სამუდამოთ ვატარებთ მის ხსოვნას ჩვენს გულში.

ფარნა ცკვიტინიძე.

დედას

შენ არ გავდი სხვა დედებს, შენებრ წრეში და პირობებში გამოზრდილებს. შენ ისე განსხვავდებოდი სხვა სოფლის უსწავლელ ქალებისაგან, როგორც ბელადი პარტიის მასიურ წევრებისაგან. თუ სიზოგადოთ შესაძლებელია სოფლის გენია, ასეთის განხორციელება შენ იყავი მხოლოდ. მე ვიცი დედის იდეალური ტიპები — გმირები, მხატვრულ-პოეტურ შემოქმედების ნაყოფნი, მაგრამ ის, რაც შენ იყავი სინამდვილეში, ზღაპარშიაც არ გამიგონია მე. შენ იყავი სტიქიონის რაღაც საოცარი ნატეხი, გურიაში მეტეორივით გადმოტყორცნილი.

მხოლოდ უბრალო წერა-კითხვა იცოდი შენ, უფრო კი კითხვა და ერთხელ წაკითხულის ან განაგონის ზედმიწევნით შეთვისება-შესისხლხორცება და საუკუნოთ დამახსოვრება შეგეძლო შენ, მაგრამ რაოდენ სიღრმე-სისწორით გესმოდა შენ სოფლის მაჯისცემა, მისი გაჭირვება-დალხინება, მისი სამართალი და უსამართლობა; სოფლის მშრომელი ხალხის ცხოვრება და სულისკვეთება! რა რიგ იყო შენში განვითარებული ტანჯულ ხალხისადმი სიყვარული და თანაგრძნობა, მზათ ყოფნა მისი დახმარება-შველისათვის!

წერა არ გიყვარდა, არ გეხერხებოდა წერა, შენ ჩვენდამი შვილებისადმი, მომართულ წერილებზე აწერდი მხოლოდ ორ სიტყვას: „**დედა ბარბალე**", მაგრამ როგორ გეადვილებოდა შენ ლაპარაკი, მუსაიფი, გამოთქმა და კარნახი. შენი საუბარი სავსე იყო სოფლური, ხალხური სიბრძნე-გამოცდილებით, საამო იყო სასმენათ. შენ იყავი დარბაისელი, დინჯი მოსაუბრე ყველასთან: ნასწავლთან, უსწავლელთან, დიდ კაცთან და პატარასთან, უცხოსთან და შინაურთან.

შენ იყავი სოფლის დაულალავი მქადაგებელი, უსაზღვრო სიყვარულით აღგზნებული. შენ იყავი სოფლის მალამო არა მხოლოდ ტკბილი სიტყვა-დარიგებით, არამედ საქმითაც.

შენი კარნახით შედგენილი წერილები, რომლებსაც ჩვენ ვღებულობდით ნიკოლოზის და მენშევიკების საპყრობილეებში, გადასახლებასა და ემიგრაციაში, იყო ჩვენთვის დიდი ნუგეში და ხელიხელ საგოგმანებელი სიბრძნის მარგალიტები. „**შინ ხა შიგან გამაგრეთ ისე უნდა, ვით ქვითკირსა**". **ხიმართლე გამარჯვებს**, ჩემზე არ „იჯავროთ", — ეს იყო შენი წერილების შინაარსი, მოქარგულ ენაში ჩაქსოვილი. „ჩემი ჯავრი ნუ გაქ, შვილებო", — ამას გვწერდი შენ იმ დროს, როცა თვითონ უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდი, სიცივეს, შიმშილს, სიტიტვლეს და სულიერ ტანჯვას!

განა მარტო ჩვენთვის, შვილებისათვის? მთელი სოფლისათვის იყავი შენ იმედი და ნუგეში. რამდენ დედას, ქვრივს და ობოლს გულზე მალამოთ დაედებოდი შენ სასოწარკვეთილების ჟამს!

ერთ დროს „ღვთის მოსავი" და საეკლესიის სოლარი გულის ყურით მსმენელი, რევოლუციონურ მოძრაობის გაღვივებასთან ერთად შენ თანდათან დაკარგე რწმენა ღმერთის, ხუცის, ეკლესიის და გაზდი ურწმუნო, ღმერთო და ათეისტი და შეურიგებელი მებრძოლი „**ხალხის მატყუარა პაპფორიაშების**" წინააღმდეგ.

ხალხთან და შენ შვილებთან ერთად შენ თავგანწირვით იბრძოდი „ნიკოლოზის" და მდიდრების, „მუთა ილების" წინააღმდეგ. სამაიოს დემონსტრაციების დროს შენ წინა რიგებში იდექი ყოველთვის და სასიკვდილოთ დაჭრილ ამხანაგებს საგმირო სიტყვებით ამხნევ-ანუგეშებდი, როცა გარშემორტყმული მეფის ჯალათები სიკვდილით გემუქრებოდნენ.

შენ უშიშარი და „ქერპი" იყავი ბრძოლაში, მეტადრე მაშინ, როცა ხედავდი ან გრძნობდი, რომ აჯანყებულ ხალხთან ერთად შენი შვილებიც ვიბრძოდით თავგამეტებით.

რამდენჯერ დაიჭირეს შენი ოჯახი „ნიკოლოზის" ჟანდარმებმა „სტრაჟნიკებმა" და კაზაკებმა, მენშევიკურ მაუზერისტებმა და თეთრგვარდიელებმა!

ექვსი ვაჟი და სამი ქალი აღუზარდე შენ, ყველა რევოლიუციონერები. ზოგნი დაიღუპნენ რევოლიუცია-რეაქციაში, ზოგნი კიდევ ვცოცხლობთ, მაგრამ შენი „ქვეატი" გული ერთხელაც არ შემკრთალა და ცოცხლათ გვიანდერძე: **იარეთ ნაძებულ შვილების — ძმების გზით.**

შენ გიყვარდა ხალხი და ხალხსაც უყვარდი შენ. **ხიდისთავი, — გურია,** საქართველოს მშრომელი ხალხი გიცნობდა შენ, როგორც „**რევოლიუციის ბებიას**" თებერვლის რევოლიუციის დროს ხიდისთაველმა ხალხმა შენ დაგიმშვენა მხარ-ბეჭი წითელ არშიით და ზედ დააწერა: „**ღირსა ბარბალეს თავისუფლება**".

მხოლოთ მაშინ გეღირსა შენ სიხარული ცოტა ხნით. მაშინ გწამდა შენ ხალხის საბოლოო გამარჯვება და ბედნიერება, მაგრამ მენშევიკების გაბატონებამ მალე მოგიწამლა სიცოცხლე, როცა ბოლშევიკებს შენ შვილებთან ერთად დევნა-დატუსაღება დაუწყეს. მაშინაც შენ ქველებურათ ჩვენთან იყავი, გვაიმედებდი და გვამხნევებდი — მენშევიკურ „ტყვეობაში" მყოფთ. შენ დაინახე, რომ სიმართლე ჩვენ მხარეზეა, რომ მდიდრების და მუქთახორების მოსპობა მხოლოდ ბოლშევიკებს შეუძლიათ.

ბოლოს შენც მოესწარი ჩვენს გამარჯვებას და გწამდა, რომ ამიერიდან კომუნისტებს ვერავითარი ძალა ვეღარ დაამარცხებს. მაგრამ გულს გიღონებდა მენშევიკების „ჯიუტობა და ურჩობა". და რომ სისხლის ღვრა თავიდან აგვეცილებინა, შენ მენშევიკებს ვლაკინდებურათ უქადაგებდი: აუ გაქვთ იმედი, უმეცარნო, კომუნისტების დამარცხების, უმჯობესია თქვენ მათ შეუერთდეთო.

შენ განვლე ცხოვრების გრძელი გზა სიღარიბის, დაუსვენებელ შრომის, ტანჯვა-წვალების და შეუპოვარი ბრძოლის. საკვირველი და სამაგალითო იყო შენი ცხოვრება, საშინელი იყო შენი უკანასკნელი ორი წელიწადი, როცა შენ გასაოცარი სიმამაცით ებრძოდი სიკვდილს, კიდევ და კიდევ გწყუროდა სიცოცხლე.

შვიდობით, დედა, შვიდობით ნენა! ჩვენ მუდამ ერთად ვიყავით, ვართ და ვიქნებით.

შენი შვილი.

პარტიული ცხოვრება

ახალქალაქის რაიონის ზოგიერთ სოფლების შეფობის შესახებ

როგორც ვიცით, შეფობა ემსახურება იმას, რომ ქალაქის მუშები უფრო მჭიდროთ დაუახლოვდნენ სოფლის გლეხკაცობას. ამ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ მუშებს აღებული ჰყავთ საშეფოთ ესა თუ ის ჩამორჩენილი სოფელი და აფხიზლებენ საუკუნოებრივ სილათას ძილში მყოფ ჩვენ მოძმე გლეხობას. მაგრამ ყველგან როდია სასურველად დაყენებული საქმე. ზოგიერთ საშეფო კომისიებს საშეფო მუშაობა სრულიად მარტივად აქვთ წარმოდგენილი: მივალთ ავტომობილით, დაურიგებთ გაზეთებს, პლაკატებს, დავბრუნდებით უკან, მორჩა და გათავდა, — ასე მსჯელობენ საშეფო კომისიების მუშაობაში ჩაბმული ზოგიერთი ამხანაგები. ეს უთუოდ არანორმალური მოვლენაა.

მაგალითად ახალქალაქის რაიონში სოფ. ხოვლე შეფათ ჰყავს აყვანილი ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატს. ამ კომისარიატის საშეფო კომისია ჩასულა თავის სოფელში, ყველაფერს შეპირებია და დაბრუნებულა უკან. ახლა შემდეგ უყურებს გლეხობა და ამბობს სად არის ის ოქროს სიტყვები, რომლითაც ისინი მრავალს გვპირდებოდნენ. იგივე ითქმის მეორე შეფის შესახებაც ამავე რაიონის სოფელ ერთაწმინდაზედ.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მარტო არც ის კმარა, რომ ხაფხულობით გავისეირნოთ ავტომობილით ამა თუ იმ სოფელში და მხოლოდ პლაკატები და გაზეთები დავარიგოთ. საჭიროა მატერიალური დახმარებაც. უნდა გაუწიოთ დახმარება სოფლის გლეხკაცობას კოოპერატივების გახსნის საქმეში, ქალაქის ნაწარმოების იაფ ფასებში მიყიდებით, გლეხის ნაწარმოებისათვის კარგი ბაზრის მონახვით, წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლებისათვის სასწავლო ნივთის დახმარებით, გლეხობისათვის სხვადასხვა გაუგებარ საკითხების ფართო ახსნა-განმარტების მიცემით და სხვა.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ კარგი შეფი ხშირათ დადის თავის სოფელში ზამთრობითაც და არა მარტო ზაფხულობით, აწარმოებს იქ ვართე აგიტაციას ამა თუ იმ საკითხზე, ირკვევს, თუ როგორ დამოკიდებულებაშია ადგილობრივი ხელისუფლება, აღმასკომი, მილიცია ადგილობრივ მცხოვრებ გლეხობასთან, ამასთანავე გებულობს, თუ რაოდენი ავტორიტეტით სარგებლობს პარტ-ორგანიზაცია და რაიკომი. ყოველივე ამას აკეთებს თავისი დანიშნულების სიმაღლეზე მდგომი შეფი.

მოუწოდებდი სოფ. ხოვლეს და ერთაწმინდის შეფებს, რათა არ დავივიწყებოდათ თავიანთი სოფლები და პირნათლად შეესრულებიათ ის დიდი ანდერძი, რომელიც დაგვიტოვა ჩვენმა ძვირფასმა მასწავლებელმა ამხ. ლენინმა.

ეპ. სიამაშვილი.

მოწაფეთა შორის მუშაობისათვის

დიდი ხანი არაა, რაც მოსწავლე ახალგაზრდობაში მოხდა უდიდესი გარდატეხა და მათმა საუკეთესო ნაწილმა დაიწყო კომკავშირის ორგანიზაციებისკენ მასიური ლტოლვა.

ამ გარემოებამ კომკავშირის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით წამოაყენა საკითხი მოწინავე მოსწავლე ახალგაზრდობის უფრო მეტათ დაახლოების შესახებ. თავისთავათ ცხადია, რომ ყველა ამ ახალგაზრდობის ერთბაშათ კავშირში მიღება არ შეიძლებოდა. ამისათვის საჭირო იყო გამოცდის ჩატარება და ღირსეულ კომკავშირელობის საქმით დამტკიცება, ხოლო ამ მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია ამ გამოფხიზლებულ ახალგაზრდათა გვარდიის პოლიტწრეებში, სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში აქტიურად ჩაბმა და კავშირის უჯრედების ღია სხდომებზე მათი მიზიდვა.

ამასთანავე ამ საქმის მოსაწესრიგებლად სასწავლებლებში უნდა დაარსებულიყო ა. კ. კ. უჯრედები, რომლებიც თავის გარშემო შემოიკრებდა საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ მოსწავლე ახალგაზრდობას. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე ხნის წინათ სასწავლებლებში ყველგან კომკავშირის უჯრედები არ არსებობდა. ამჟამად კი დიდი ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით. საჭირო ადგილებში, თითქმის ყველგანა, დაარსებულია უჯრედები და უპარტიო მოსწავლე ახალგაზრდობის შემომკრები წრეები.

მაგრამ მიუხედავათ ასეთი ორგანიზაციული მუშაობისა, მოწაფეთა შორის მუშაობა არც ახლა ჩაითვლება სავსებით დამაკმაყოფილებლათ უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ა. კ. კ. ადგილობრივი სასწავლებლების იაჩეიკები ჯერ-კიდევ ვერ ჩამოყალიბებულან სათანადოთ და სავსებით ვერ აუღიათ ხელში მოწაფეთა ხელმძღვანელობა. ამით აიხსნება მრავალ ადგილას თითქმის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მოწაფეთა წრეების არსებობა, რომლებიც მოკლებულნი არიან კომკავშირის ერთიან ხელმძღვანელობას. აუცილებელია ზედმეტი წრეების წინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო საჭირო წრეების კომკავშირის ირგვლივ შემოკრება. კომკავშირი უნდა შეიჭრას აგრეთვე მოწაფეთა კედლის გაზეთების რედკოლეგიაში და ამ რიგათ გახდეს მოწაფეთა კოლექტიური საქმიანობის ნამდვილი ხელმძღვანელი.

რაც შეეხება საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ მოსწავლე ახალგაზრდობას, მათ უნდა მიეცეს თანამშრომლობის ფართო ასპარეზი. ისინი ყოველ მიზეზს გარეშე უნდა იქნენ ჩაბმული კავშირის პრაქტიკულ მუშაობაში.

ასე რომ მოწაფეთა შორის მუშაობას უნდა მიექცეს განსაკუთრებითი ყურადღება, როგორც ეს კომკავშირის თბილის. მე-12 კონფერენციამაც აღიარა.

არკო.

ამხ. ლენინის სახელობის თამბაქოს მესამე ქარხნის კომუჯრედში

26 დეკემბერს ზემოხსენებულ კომუჯრედში შესდგა მორიგი ღია სხდომა, რომელსაც დაესწრნენ უპარტიო ამხანაგებიც.

ამხ. რახმანმა გააკეთა მოხსენება „მენშევიზმის ახალი ტაქტიკის და კომპარტიის ამოცანების" შესახებ. მომხსენებელი ვრცლად შეეხო არალეგალური მენშევიზმის დაბლის და აჯანყების ისტორიას, პარიტეტულ კომიტეტის მეთაურის ანდრონიკაშვილის და კაბაანის ცდას მენშევიკური პარტიის ლეგალიზაციისას, აგრეთ დეკლარაციის ორპირულ პოზიციას, რომელიც წარმოადგენს მენშევიზმის ერთ-ერთ სახეს და დასასრულს გაშუქებული იქნა პარტიის ამოცანები, რომლებიც სავსებით უნდა იყნან გატარებული საქართველოს მუშათა კლასის და მშრომელი ხალხის უშუალო დახმარებით.

მოხსენების დამთავრებისას ერთხმად მიღებული იქნა სათანადო რეზოლიუცია.

შემდეგ თამბაქოს ქარხნის დირექტორმა გააკეთა საინფორმაციო მოხსენება წარმოების მდგომარეობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ზემოხსენებულ ქარხანაში ამ უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში მუშების ენერგიული და მეკაითი მუშაობით წარმოებამ და შრომის ნაყოფიერებამ საგრძნობლად აიწია, რითაც პარტიული, ისე უპარტიო ამხანაგები დიდათ კმაყოფილი დარჩნენ.

პარტკორი **ვარსიმაშვილი.**

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმში

წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოების თბილისის განყოფილების შესახებ.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა გამოყო ერთი პასუხისმგებელი ამხანაგი, რომელიც უნდა შევიდეს წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოების ბიუროში, და აგრეთვე წინადადება მისცა ლენინის და ორჯონიკიძის რაიკომებს ჩაატარონ კამპანია საზოგადოების შესახებ, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნეს მორიგი კრებები წარმოებებში და დაწესებულებებში.

თბილისის კომიტეტმა მიიღო აგრეთვე გადაწყვეტილება ცირკულიარული წერილით მიმართოს კომპარტიის უჯრედებს, რომელშიაც აღნიშნული იქნება საზოგადოების მნიშვნელობა და მისთვის დროებითი დახმარების გაწევის აუცილებლობა.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა გაზეთ „რაბოჩაია პრავდა"-ს და „მუშას"-ს გააშუქონ გაზეთის ფურცლებზე საზოგადოების მიზნები, ამოცანები, მნიშვნელობა და მიმდინარე მუშაობა.

დამტკიცებული იქნა აგრეთვე დროებითი ბიურო 8 წევრის შემადგენლობით.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ს. პ. კ. ს. და კავშირების კომფრაქციებს მორიგ საკითხათ დასვან საზოგადოების მოწყობა და მისთვის დახმარების გაწევა.

კავშირების ც. გ. კომფრაქციების მდივანთა თათბირი.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა და კავშირების ც. გ. კომფრაქციების მდივანთა თათბირმა ს. კ. პ. ტ. ო. რაიკომების მდივნებთან და საორგანიზაციო განყ. გამგეებთან ერთად აუცილებლათ სცნეს პროფკავშირების მიერ ეკონომიური და საწარმოო თათბირების მუშაობის გაძლიერება და გაცხოველება, ამასთანავე წინადადება მისცეს ს. პ. კ. ს. სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებას გააძლიეროს თავისი ხელმძღვანელობა ცალკე პროფკავშირების მუშაობისათვის.

ამასთან ერთად პროფკავშირებს წინადადება მიეცა მუშებსა და მოსამსახურეებს შორის ჩაატარონ კამპანია საწარმოო და ეკონომიური თათბირების როლისა და მნიშვნელობის შესახებ. აგრეთვე აუცილებლათ იქნა ცნობილი მიღებული იქნეს ზომები იმისთვის, რომ გაძლიერდეს პარტორგანოების მიერ ხელმძღვანელობის გაწევა საწარმოო თათბირების მუშაობისათვის, თბილისის კომიტეტის ცირკულიარის საფუძველზე, ე. ი. ორგანიზაციული ხელმძღვანელობა უნდა დარჩეს პროფკავშირებს.

მიღებულია აგრეთვე გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ კავშირების ორგანოებმა მჭიდრო კავშირი უნდა დაამყარონ პარტიულ ორგანიზაციებთან საწარმოო და ეკონომიური თათბირების მოწყობის საქმეში.

მთავარ საწყობის კომუჯრედში

მთავარ საწყობის კომუჯრედს მთავარ სახელოსნოს 1-ლი კომუჯრედს ოფიციალურად გამოეყო სექტემბრის ბოლო რიცხვებში, რის შემდეგ მან ადგილკომთან ერთად დაიჭირა მჭიდრო კავშირი 21 სკოლის მე-3 ასეულის სამხედრო კურსანტებთან.

ხსენებულ კომუჯრედს აღებული აქვს შეფობა ახალქალაქის რაიონში სოფ. ჩოჩეთზე, რომელიც კულტურულად ძლიან ჩამორჩენილ კუთხეს წარმოადგენს. ამ სოფელში მუშაობის გაცხოველების მიზნით, მთავარ საწყობის კომუჯრედის ხელმძღვანელობით ამავე საწყობში მოხდა კვირეული მუშაობა და მიღებულ თანხით სოფელ ჩოჩეთისათვის შეიძინეს სკოლის გახსნისათვის საჭირო ქაღალდები, ბავშვებისათვის წიგნები, რვეულები, ფანქრები, კალმის ტარები, მელანი, დაფა, ფერი, სხვადასხვა პლაკატები, აგრეთვე რუსეთის და საქართველოს ბელადების სურათები, რის შემდეგ 1924 წ. 7 დეკემბერს საშეფო კომისია გაემგზავრა თავის საშეფო სოფელში, სადაც ადგილობრივი გლეხობის საშუალებით მოწვეული იყო მიტინგი. მიტინგზე ვრცლად გაშუქებული იქნა სოფლის გლეხობის და ქალაქის მუშების შეფობის მნიშვნელობა და სხვა, რითაც დამსწრენი დიდათ კმაყოფილი დარჩნენ.

დაბოლოს საშეფო კომისიამ გახსნა სამკითხველო, ქოხ-სამკითხველო და სკოლა, რომლისთვისაც კომუჯრედმა თავის ხარჯზე დაიქირავა მასწავლებელი.

ამას გარდა მთავარ საწყობის კომუჯრედზე მიმაგრებულია მესამე კოლექტივის პიონერები. მათ ამ უკანასკნელ ხანებში აღმოუჩინეთ ბინა ანდრეევის ქუჩაზე № 110, სადაც მოეწყო ლენინის კუთხე.

ამავე კომუჯრედმა 1924 წ. 27 დეკემ. მოაწყო 21 სკოლის მესამე ასეულის კლუბში კომუნისტური ნათლობა, მოინათლა ოთხი ბავშვი, რამაც დამსწრეებზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

დონ--ჯანი.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის მეთორმეტე საქალაქო და საოლქო კონფერენციის შედეგები

ამ რამდენიმე დღის წინად დამთავრდა თბილისის ორგანიზაციის კონფერენცია, რომელმაც ჯამი გაუკეთა თითქმის ერთი წლის ნამუშევარს და განსაზღვრა მომავალი მუშაობის ამოცანები.

ამ ამოცანებიდან ერთი მთავართაგანია: მშრომელი ახალგაზრდობის მთლიანათ კავშირში ჩაბმა. აქ გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ 100 პროცენტი მუშა-ახალგაზრდობის კიდეც ჩაბმულია ჩვენ კავშირში მხოლოდ ამჟამად საკითხი დგას იმის შესახებ, რომ ამ რიცხვობრივ ზრდასთან მოჰყვეს კომკავშირის წევრთა პოლიტიკური, ლენინური აღზრდა. ამ მხრივ საჭირო არის პარტიულ უჯრედების ხელმძღვანელობა და საერთოდ პარტიის გავლენა. კონფერენციამ ამის გამო კიდეც დაადგინა, რათა პარტიულ ამხანაგების რიცხვი თბილისის ორგანიზაციაში აყვანილ იქნას 9 პროცენტიდან 25 პროცენტამდე.

ანტი-საბჭოთა პარტიების და მათი პოლიტიკის სრული გაკოტრების მეოხებით ჩვენ მივიღეთ ის, რომ ინტელიგენციამ პირი იბრუნა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ. ასეთივე პროცესს ჩვენ ვამჩნევთ ახალგაზრდა ინტელიგენციის, მოწაფეობის რიგებში. თუ ჩვენთვის ამ ორი წლის წინეთ მეტად ძნელი და თითქმის შეუძლებელიც იყო საშუალო სასწავლებლებში შესვლა და იქ კულტურულ-პოლიტიკურ მუშაობის წარმოება, ეხლა ჩვენ სულ სხვას ვხედავთ. ამ ჟამად ჩვენ ათეული სამოსწავლო უჯრედები გვაქვს და მათი საშუალებით ვაწარმოებთ განსაკუთრებულ მუშაობას. თბილისის ორგ. კონფერენციამ ამ მხრივ მუშაობის ახალი პერსპექტივები დასახა და სათანადო დირექტივაც მისცა თბილისის კომიტეტს, რათა ეს მუშაობა უფრო გაღრმავოს, მას უფრო სისტემატიური და ორგანიზაციული ხასიათი მისცეს.

რაც შეეხება ჩვენი კავშირის ხელმძღვანელ ორგანოების მუშათა ელემენტებით შევსებას, აქაც თბილისის ორგანიზაციას დიდი მიღწევები ჰქონია 27 თბილისის აქტიურ მომუშავეთა რიცხვიდან 20 ამხანაგი დაზგასთან მომუშავენი იყვნენ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, კონფერენციამ წინადადება მისცა ხელმძღვანელ ორგანოებს, რათა მუშური აქტივი კიდევ უფრო გაზრდილი ყოფილიყო მომავლისათვის. ამასთანავე კონფერენციამ ყურადღება მიაქცია ამ აქტივის ბოლშევიკურად, ლენინურად აღზრდას. ეს არის პირველი და დამკვრელი ამოცანა, თუ ჩვენ მივაღწევთ ისეთ მდგომარეობას, რომ ხელმძღვანელ აპარატში ლენინურათ აღზრდილი მუშური აქტივი გვეყოლება, მაშინ ორგანიზაცია გიგანტიური ნაბიჯებით წავა წინ სულ ახალ და ახალ გამარჯვებებისაკენ.

კონფერენცია შეეხო აგრეთვე ახალგაზრდა ქალთა შორის მუშაობის საკითხზედაც. საჭირო და აუცილებელია ქალიშვილთა საკავშირო მუშაობაში აქტიურად ჩაბმა.

ეკონომიურ მუშაობის დარგში კონფერენციამ მიუთითა იმ საშინელ უმუშევრობას, რომელსაც ადგილი აქვს თბილისში მშრომელ ახალგაზრდობაში. ამ საკითხს, სწორი გადაჭრისათვის, კონფერენციამ საჭიროდ სცნო მიექცეს ყურადღება პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ დაწესებულებებისა.

რაც შეეხება სოფლად მუშაობას, აქ კონფერენციამ ხაზი გაუსვა უმთავრესად მოჯამაგირეთა შორის მუშაობას, მათი კულტურულ-პოლიტიკური განვითარების დონის ამაღლების საჭიროებას. ამასთანავე კონფერენციამ გადმოისროლა ლოზუნგი „არც ერთი კომკავშირელი მთლიან პოლიტგანათლების სისტემის გარეშე".

ბავშვთა მოძრაობის შესახებ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სრულიად რუსეთის კომკავშირის მე 6 ყრილობის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი — „თითო კომკავშირელზე ერთი პიონერი" — ჩვენმა თბილისის ორგანიზაციამ ორმაგათ შეასრულა; ეხლა კი დღის წესრიგში დგას ლოზუნგი „ერთ კომკავშირელზე სამი პიონერი"-ს ასრულებისა.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ყველა იმ საკითხებზე, რომლებიც ცხოვრებამ წამოაყენა კომკავშირის წინაშე, კონფერენციამ სწორი და ნათელი პასუხი გასცა, რის დამამტკიცებელიც იქნება კავშირის მომავალი ნაყოფიერი მუშაობა.

გ. მ—ნი.

სოფ. ცემის კომკავშირი

სოფ. ცემში კომკავშირის უჯრედი დაარსდა 1921 წ. უჯრედში დღეს ირიცხება 12 წევრი, რომელთა ენერგიული მუშაობით კავშირში ჩაბმული იქნა 10 ქალი. ამათ შორის ერთი ერთი ამავე სოფ. სკოლის მასწავლებელია, რომელიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობს კავშირის პრაქტიკულ მუშაობაში და კერძოთ დაკისრებული აქვს პოლიტიკური წრის ხელმძღვანელობა.

უჯრედს შეფათ აქვს აღებული ამავე სოფლის სავარაუდო ბაღი, სადაც ადგილობრივი გლეხების დაუღალავი შრომით აშენებულია **ორჯონიკიძის** სახელობის სკოლა. ამას გარდა უჯრედის წევრებს მიზნათ აქვთ დასახული ამ ბაღში კლუბის შენობის აგება. რაც შეეხება კრებებს, ის სისტემატიურად იმართება, არსებობს ქოხ-სამკითხველო, უჯრედთან დაარსებულია დრამწრე, სადაც იდგმება ხშირათ წარმოდგენები.

საჭირო და აუცილებელი არის, რომ დანარჩენი სოფლების უჯრედებმა მიბაძონ ზემოხსენებულ უჯრედს მუშაობას და ამ მუშაობაში ჩააბან აგრეთვე ქალებიც.

კომკავშირელი **მ. ტაბატაძე.**

ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის ცხოვრებიდან

ამხ. გეგეჭკორის სახელობის ბავშვთა ორგანიზაციის კოლექტივში

თითქმის ერთი წელია მას შემდეგ, რაც ეს კოლექტივი დაარსებულია ამხ. გიგაურის ინიციატივით. პირველად კოლექტივს არ ჰქონდა ბინა, მაგრამ ადგილკომის უშუალო დახმარებით ბროსეს ქუჩაზედ „ცესუს" შენობაში დაცლილი იქნა ერთი ოთახი, სადაც მოთავსდა ეს კოლექტივი. ამასთანავე პირველ ხანებში ეს კოლექტივი ძალიან ჩამორჩენილი იყო სხვა კოლექტივებთან შედარებით. მაგრამ შემდეგ თანდათანობით მდგომარეობა გამოსწორდა. ამ ჟამად კი კოლექტივში მოწყობილია ლენინის კუთხე, სამხატვრო კუთხე და სხვა, დაარსებულია დრამატიული და მოპედრალი წრეებიც. კოლექტივი უშვებს ყოველკვირეულ კედლის გაზეთსაც. ერთი სიტყვით, მუშაობა მიმდინარეობს ნორმალურად.

მაგრამ სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ამ კოლექტივს არავითარ ყურადღებას არ აქცევს არც ადგილობრივი კომ-უჯრედი და არც ახკომ-კავშირის უჯრედი. ახკომუჯრედს წარმომადგენელიც კი არ ჰყავს ამ კოლექტივში. აგრეთვე ბევრი დაპირებები გაისმის ადგილკომიდან და საერთოდ უჯრედებიდანაც, მაგრამ დაპირება დაპირებათ რჩება და ასრულება კი არავითარი არ არის.

ამით ბავშვები ძალიან აღელვებული არიან და ისინი სამართლიანადაც იძახიან: „რათ არის, რომ ყველა კოლექტივებს აქცევენ ყურადღებას და ჩვენ ყურს არ გვიგდებენ"-ო.

ამ ჟამად ამ კოლექტივში ირიცხება 150 ბავშვი. საჭიროა ბავშვთა ორგანიზაციის ამ კოლექტივს მიექცეს სათანადო ყურადღება ადგილობრივ კომუჯრედის, ახკომკავშირის და ადგილკომის მიერ.

გ.—ია.

თბილისის ალმასკომის სექციების მუშაობა
(1924 წლის განმავლობაში)

თბილისის საბჭოს პლენუმი დაყოფილია შემდეგ სექციებად: კომუნალურ, საფინანსო, განათლების, ჯანმრთელობის, საადგილ მამულო და ზაჰესკომის. საბჭოს 713 წევრიდან სექციებში სამუშაოდ ჩაწერილი იყო სულ 500 წევრი. ამ რიცხვიდან კომუნალურ სექციაში მონაწილეობდა 180 წევრი, საფინანსო სექციაში 55, ჯანმრთელობის 24, განათლების 101, საადგილ მამულო 51, ზაჰესკომის 69

სექციები მუშაობას შეუდგენ 1924 წლის მარტიდან. სექციების მიერ განხილულ იქნა სხვადასხვა ხასიათის კითხვები (საორგანიზაციო ხასიათის 40, ინფორმაციულ 16, პრაქტიკული 47) ცალკე სექციების მუშაობა იძლევა ასეთს სურათს.

კომუნალური სექცია

კომუნალური განყოფილების სექცია, მოსკოვის ალმასკომის სექციების მიხედვით, დაყოფილი იქნა ქვესექციებად.

საორგანიზაციო კითხვების გადაწყვეტის შემდეგ, განხილულ და მიღებულ იქნა კომუნალური განყოფილების 1924 წლის ბიუჯეტის პროექტი. რამდენიმე სხდომა მოუნდა საბინაო საკითხის ახალ პროექტს, რომელიც მიღებულ იქნა.

სექციამ დიდი ყურადღება მიაქცია უბნებში კანალიზაციის მოწყობას, ქუჩების მოკირწყვლას და ამ საჭიროებისათვის კრედიტის გადადებას, ბინის ქირის გადასინჯვას და თბილისის განტვირთვას არა მშრომელ ელემენტებისაგან.

დიდი ყურადღება აქვს აგრედვე მიქცეული ქალაქში სხვადასხვა საქონელზედ ნიხრის გატარებას და დანიხრულ ფასებზე საქონლის გაყიდვას, რისთვისაც არჩეულ იქნა მთელს თბილისში 4 კომისია, 3—5 კაცის შემადგენლობით, მთავრობის განკარგულებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

განხილულია დებულება საბინაო სამშენებლო კოოპერაციისა. სექციამ მიიღო შემდეგი დებულებანი:

1. შემოღებულ იქნას გადასახადი არა მშრომელ ელემენტთა ბინებზედ.
2. შემოღებულ იქნას ზედმეტ საცხოვრებელ ბინის ნორმაზედ გადასახადი.
3. ქალაქის უძრავ ქონებიდან შემოსავლის 5 პროც. გადიდება.
4. აღძრულ იქნას შუამდგომლობა, რათა გახსნილ იქნას სახელმწიფო სატყეო-საამშენებლო კრედიტი.

სექციის მიერ შემუშავებულ და განხილულია პროექტი, ქუჩების გაფართოების და ახალი ქუჩების გაყვანის შესახებ, რაიც დამტკიცებული იქნა.

სექცია იხილავს პროექტს შეძლებულ კლასზედ ბინის ქირის მომატების შესახებ, დიდ ყურადღებას იქცევს გარეუბნებში მდებარე დარაბების საცხოვრებელ ბინებად გადაკეთებას.

საფინანსო სექცია.

უპირველესად ყოვლისა, საფინანსო სექციამ მთავარი ყურადღება მიაქცია თბილისის ალმასკომის 1924 წლ. ბიუჯეტს, რომელიც განხილვის შემდეგ იქნა დასამტკიცებლად გადატანილი საბჭოს პლენუმზედ, რაც შეეხება პრაქტიკულ საშუალებებს საფინანსო პოლიტიკის ჩასატარებლად სექციას გამოაქვს შემდეგი დადგენილება:

1. სავსებით განხორციელებულ იქნას ყველა ის საშუალებანი გადასახადთა სფეროში, რაც ალმასკომს აქვს მინიჭებული სათანადო დეკრეტით და დებულებით.
2. რაც შეიძლება შემცირდეს სხვადასხვა დაწესებულებების კანონით გათვალისწინებულ გადასახადებისაგან განთავისუფლება.
3. მიღებულ იქნას ზომები სახელმწიფოდან დოტაციის მისაღებად.
4. ცნობილ იქნეს აუცილებელ საჭიროდ საობლიგაციო სესხის აღება.

სექციის მიერ მიექცა დიდი ყურადღება იმ გარემოებას, რომ ადგილობრივ ფინანსების დებულებით ალმასკომს დაეკისრა მრავალი ახალი ხარჯები, როდესაც შემოსავალი წყაროები, შედარებით დაკისრებულ ხარჯებთან მცირეა. ეს გარემოება რასაკვირველია დეფიციტიან ბიუჯეტს მისცემს ალმასკომს. გარდა ამისა ახალი დებულება ჰყოფს სარაიონო ბიუჯეტს ცალცალკე და რაიონები გადაჰყავს საკუთარ ხარჯზე, უკანასკნელი შეღავათს აძლევს ცენტრს, რომელსაც თანახმად ძველი დებულებისა, უშემოსავლოდ მთელი რაიონის ხარჯები მას აწვებოდა და აუმჯობესებს კი რაიონის მდგომარეობას, ვინაიდან იწვევს ინიციატივას სამშენებლო დარგში.

შეღავათები შინამრეწველობას

როგორც ამხ. ა. პრიგრადოვ-კუდრინი სწერს გაზეთ „იზვესტია"-ში, ჩვენი შინამრეწველობა წინეთ დასავლეთ ევროპაში დიდ ყურადღებას იპყრობდა. უკანასკნელ ხანებში კი ის თანდათანობითი მოსპობის მოლოდინში იმყოფებოდა. რადგანაც შეგირდების აყვანა დაქირავებული შრომით სარგებლობას ნიშნავდა, ამიტომ შინამრეწველები გაურბოდენ შეგირდების მიღებას. ეს გარემოება აფერხებდა უმუშევრობის მოსპობას მუშა-ახალგაზრდობის შორის და იმავე დროს მომავალში შინამრეწველობას და ხელოსნობას მოსპობას უქადდა.

ასეთ მდგომარეობას მიაქცია ყურადღება საბჭოთა ხელისუფლებამ და 5 სექტემბერს საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცა დადგენილება ხელოსნებისათვის და სამრეწველო დაწესებულებებისათვის, რომლებსაც ჰყავთ შეგირდები შეღავათების შესახებ სარეწაო გადასახადში. ამ დადგენილებით ხელოსნებს და შინა-მრეწველებს, რომლებსაც მხოლოდ ორი შეგირდი ჰყავთ, უნდა აილონ პირველი ხარისხის პატენტი, დიდ დაწესებულებებში ორი შეგირდი ერთ მუშათ ითვლება.

საბჭოთა კავშირის შრომის დაცვის განყოფილებამ მიიღო ზომები ამ ცირკულიარის ცხოვრებაში გასატარებლათ. სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომაც ცირკულიარით მიმართა თავის საგუბერნიო საბჭოებს ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლათ, შინა მრეწველობის განვითარების მიზნით შეგირდობის შემოღების ხელის შესაწყობათ.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოც საჭიროთ სცნობს ცალკე მომუშავე შინა-მრეწველებისთვის, ხელოსნებისთვის და მათ გაერთიანებისათვის, რომლებიც სარგებლობენ შეგირდების შრომით ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებთან შეთანხმებით, დაწესებულ იქნას შეღავათები ადგილობრივ და კომუნალურ გადასახადებში, საბინაო ქირაში და სხვა.

საერთოდ მთელ საბჭოთა კავშირში დიდი კამპანია სწარმოებს შინამრეწველობის და ხელოსნობის აღსადგენათ. შეგირდების რიცხვის გადიდებას მეურნეობის ამ დარგში ხელი უნდა შეუწყონ კომკავშირის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც განსაკუთრებული ცირკულიარით მიმართა რ. ლ. ფ. ქ. კ. ცენტრალურმა კომიტეტმა.

კოოპერაცია
ჩხარის რა-ი „ეპო"-ს რწმუნებულთა წლიური ყრილობა

დეკემბრის 21-ს შესდგა ჩხარის რაიონის „ეპო"-ს რწმუნებულთა წლიური ყრილობა, რომელზედაც დაესწრო რწმუნებულთა უმრავლესობა.

ყრილობის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: კ. ზარნაძე, თამარა რობაქიძისა, ა. ქოჩიაშვილი, კ. მეჯირი და გ. ზარნაძე.

სამდივნოში: ალ. ჩიქვილაძე და ევ. კორტი. საპატიო თავმჯდომარეებათ არჩეულ იქნენ: ამხ. ამხ. ლენინი, მახარაძე, ცხაკაია, ერქომაიშვილი და ტოროშელიძე.

ყრილობას ხსნის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. სარქის ყურულოვი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება გამგეობისა წარსული 1924 წლის მუშაობის შესახებ, 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა მაზედვე, 3) 1925 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, 4) საპაიო თანხის შესახებ, 5) 1924 წლის მოგების განაწილება, 6) ცეკავშირის ყრილობისათვის დელეგატების არჩევნები, 7) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები, 8) საბჭოს არჩევნები და 9) მიმდინარე საკითხები.

1-ლი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. სარქის ყურულაშვილმა და გამგეობის წევრმა ივანე ლუტიძემ. აგრეთვე სარევიზიო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ალ. ფანჩულიძემ.

შესახებ ამა საკითხებისა გარშემო ყრილობამ გამოიტანა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია:

„რწმუნებულთა ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა დამაკმაყოფილებლად სცნობს მათ მუშაობას და ავალებს ახალ გამგეობას მეტი ყურადღება მიაქციოს რაიონში დამზადების საკითხს, როგორიცაა მაგ. ღვინის, ლობიოს, ბამბის, ღორის ჯაგარისა და სხვ.".

მესამე და მეოთხე საკითხებზე მოხსენებას აკეთებს ივ. ლუტიძე. ყრილობა იღებს ცნობად და სახელმძღვანელოდ, აგრეთვე გამგეობის მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა 1925 წლისა უცვლელად იქნა დამტკიცებული ყრილობის მიერ.

1924 წლის მოგება 778—95 კაპ.
წინა წლების მოგება 458—44 კაპ.
სულ—1.237—39 კაპ.

შესახებ ამა მოგების განაწილებისა ყრილობამ დაადგინა შემდეგი: ამა თანხიდან—60 პროც. დარჩეს ძირითად თანხათ, 20 პროც. გადაეცეს დ. ჩხარის ბაღის სააღმშენებლო კომისიას ბაღის შესაკეთებლად, ხოლო 20 პროც. კი მოახმარდეს კულტურულ დაწესებულებებს.

ცეკავშირის ყრილობისათვის არჩეულ იქნა ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმით და ერთიც სათათბირო ხმით. გამგეობაში არჩეულ იქნენ: ამა. ამხ. სარქის ყურულაშვილი, დავით კაჭკაჭოვი, ალ. ფანჩულიძე, ივ. ლუტიძე და პასიურ წევრად სერგო ცხადაძე. სარევიზიო კომისიაში არჩეული იქნა ხუთი კაცი და საბჭოში 7 კაცი.

მიმდინარე საკითხებში წინადადება შემოაქვს სოფელ გოგნის გლეხობის მიერ თავიანთ მხრივ არჩეულ დელეგატებს ყრილობაზე დასასწრებლად, რომ სოფ. გოგნში გაეხსნათ კოოპერატივის განყოფილება, რაც გლეხობის მიერ მოთხოვნილება ყრილობამ დაადასტურა. დაბოლოს ცეკავშირის გამგეობას ყრილობის სახელით გაეგზავნა მისასალმებელი დეპეშა შემდეგი შინაარსისა: „ჩხარის მთლიანი მომხმარებელი საზოგადოების რწმუნებულთა ყრილობა, ესალმება ცეკავშირის გამგეობას და უსურვებს მას ბრწყინვალე შედეგებს, კოოპერაციის განვითარების საქმეში".

ყრილობის დახურვის დროს მუსიკამ შეასრულა ინტერნაციონალი.

ვუსურვებთ ახალ გამგეობას გამარჯვებას თავიანთ საქმიანობაში.

ვ ხხივი.

რკინის გზებზე

შეღავათები ბაქოს ბაზარზე გასაგზავნ საქონელზე

ტვირთის გადამგზავნ ცენტრალურმა კომიტეტმა შეღავათები დააწესა იმ ტვირთების გადატანისათვის, რომლებიც ბაქოს ბაზრობაზე იგზავნებიან. ამ დღეებში გამოიცემა განსაკუთრებული განკარგულება რკინისგზების მიმართ, რომ მტკიცედ იქნეს დაცული დაწესებული შეღავათები და ყურადღება მიექცეს საქონლის დროზე გატანას ბაქოს ბაზრობაზე.

ანბანის შესასწავლი წიგნების უფასოდ გაგზავნა.

სატარიფო კომიტეტმა დააწესა ანბანის წიგნების უფასოდ გადაგზავნა იმ შემთხვევაში, თუ ისინი გაგზავნილი იქნებიან წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კომისიის მიერ მისივე მოწმობების თანდართვით.

მატარებლის მიღება დაკავებულ გზაზე

9 იანვარს სადგურ ალაბაშლში ვაგონები დაკავებულ ხაზზე მიღებულ იქნა, მატარებელი № 3. სიგნალების საშუალებით მატარებელი ადრე იქნა შეჩერებული, და არავითარი მარცხი არ მომხდარა.

მატარებლის გაწყდომა.

9 იანვარს გაწყდა საბარგო მატარებელი № 8 კარაბურლუ-ალაგეზის ხაზზე. მემანქანემ, რომელმაც ვერ შენიშნა კონდუქტორებისაგან მიღებული სიგნალი მატარებლის წინსვლა განაგრძო, ხოლო მატარებლის მოწყვეტილი ნაწილი მიტოვებულ იქნა ბაქან ბოგატლუსთან. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

ამინდი ა/კ. რკინის გზებზე.

ყინვამ ა/კ. რკინისგზებზე გაიარა. ყველა სადგურები და ხაზები სავსებით გაწმენდილია თოვლისაგან. მატარებლების მოძრაობა სწარმოებს დაუბრკოლებლად. ამინდი ყველა ხაზებზე უქარო და მზიანია.

მუშათა მატარებლის ლიანდაგიდან აცდენა.

9 იანვარს სად. ბალაჯარაზე მოძრავი მატარებლის ქვეშ ისრის გაწევის გამო, ლიანდაგს გადაცდა მთელ შემადგენლობით მუშათა მატარებელი, ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

სასწრაფო ტვირთების გადაზიდვის ვადა.

1925 წლის 10 იანვრიდან იმ ტვირთებზე გადატანისთვის, რომელნიც მალე ფუჭდებიან და სასწრაფო გადაზიდვას მოითხოვენ, დაწესებულია ერთი დღე-ღამის ვადა ყოველ 300 ვერსზე.

— **კანდიდატების რიცხვის გადიდება.** თბ. საუბ. პროფკავშირმა დაადგინა სადგურის მოხელეთა კურსებზე გაადიდოს მისაღებ კანდიდატთა რიცხვი.

— **სიმთვრალისათვის.** თბ. საუბნო პროფკავშირმა სიმთვრალისათვის სად. თელავიდან ავჭალაში გადაიყვანა არტელის უფროსი ტერტერაშვილი.

— **ადგილკომების საშუალებით.** თბ. საუბნო პროფკავშირმა დაადგინა, რათა გაზეთების გავრცელება მუშებში ხდებოდეს ადგილკომების საშუალებით.

— **ვაგონები საცხოვრებლად.** თბ. საუბ. პროფკავშირმა უბინო რკინისგზელებს მისცა სად. თბილისის თავისუფალ ჩიხებზე მდგომი ვაგონები

მუშათა ცხოვრება

მუშა სახელოსნოში

1

მუშა დიდი მოთმინებით
უდგას ქურას,
და ლითონი უხეში და შეუდრეკი
სურს ოქროსფრად გაახუროს,
გადაადნოს.
ცეცხლის ალი, ნაპერწკლები
მას ეცემა ხელში, თვალში;
მაგრამ იცის,
შვებას ჰპოვებს ცეცხლის ალში
და ამიტომ მოთმინებით,
მტკიცე რწმენით, ნებისყოფით...
უხეშ ლითონს კიდევ ადნობს
და ცეცხლოვან გადანადნობს
იქვე გრდემლზე დაჰკრავს უროს,
სჭედავს ფოლადს..
და ამ ბრძოლით ემატება მას იმედი
გამარჯვების,—განახლების;
მას იტაცებს მტკიცე ბრძოლა,
აღმა-აღმა წინსვლა—ლტოლვა.
ავიწყდება მას ოჯახი და ცოლშვილი;
ხედავს მხოლოდ ქურას,—ურის,
ხელებს ალით გახამურავს
და ისევ სცემს ის გრდემლს უროს,
მტკიცე რწმენით, გაქანებით
და შუბლიდან მას სდის ოფლი,
ოფლი შვების, განახლების.
ჰკოცნის ბოლი ბნელ ქარხნების
და მანქანებს თავს ევლება...
დაზგებს თავზე დასტრიალებს...
ჟანგმოდებულ რკინას ხეხავს,
ძველი ზნე და ჩვეულებებს
ანგრევს ტეხავს,
სჭრის იარაღებს,
და ცეცხლოვან ჟინით, რწმენით,
აღებს აღთქმის ქვეყნის კარებს...

2

ასეთია მის სურვილი
არვის არგებს აწ დუმილი,
უქმად ხტომა...
ამოუდგეთ მუშას გვერდში,
ავაყვავოთ მისი შრომა...

ჩაგუნი.

ყოველი შეგნებული მუშა გახდება „რემედასი"-ს წევრად

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გაისმა დიდებული ძახილი: „მუშის განთავისუფლება მოხდება მუშისავე ხელითა"-ო. ამ სიტყვის განსახორციელებლად მილიონობით მსხვერპლი შესწირა რუსეთის პროლეტარიატმა. ჩვენ უკვე გავიარეთ ეს ხანი. ჯერი ევროპის მუშებზეა. ისინი იბრძვიან ამ განთავისუფლებისათვის, მაგრამ ევროპის ბურჟუაზია ჯერ კიდევ მძლავრია და მთელ რიგ სახელმწიფოების ბატონ-მბრძანებელია. ის ულმობლად ეპყრობა მუშებს და ყოველგვარ განთავისუფლებელ მოძრაობას. იგი ააცრემლებს და ხვრეტს მუშებს. მათი ცოლშვილებს ქუჩაში ისტუმრებს, როგორც უვარგისს ჩვარს. აი დღეს ჩვენი თანამოაზრე ამხანაგები ბორკილებში შებოჭილნი და მათი დამშეულნი ცოლშვილნი დახმარებას მოითხოვენ ჩვენგან. ჩვენ კი თითქოს გავჩუმებულვართ და ეს იმ დროს, როდესაც ჩვენ ჩვენივე ზურგზედ გამოგვიცდია ყველა ეს დამცირება ტანჯვა-წვალება. მაშ, რად გვავიწყდება ის ჩვენი მებრძოლი ამხანაგები? ჩვენ, დეპოს მუშებმა ერთხმად გადავსწყვიტეთ ა. წ. 1-ლ იანვრიდან ყველანი ჩავეწეროთ „რემედას"-ის წევრად. დღეს საქართველოში „რემედასი"-ს მხოლოდ 40000 წევრია, რაც ძალიან მცირედ უნდა ჩაითვალოს. საჭიროა ყოველი შეგნებული მუშა და გლეხი გახდეს „რემედას"-ის წევრად.

ამიტომ მოუწოდებთ ყველა მუშებს და გლეხებს ამოგვიდგენ გვერდში და ჩვენთან ერთად ძმური ხელი გაუწოდონ სხვა ქვეყნების მუშებს.

გაუმარჯოს მთელ მსოფლიოს პროლეტარულ მუშათა ძალას!

გაუმარჯოს მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკას!

მუშა არმენაკა შაჰხოფუდელი.

მიეცით სპეც-ტანისამოსი
([illegible] სახკომის საყურადღებოდ)

სენაკის გამსახლის მუშა-მოსამსახურეები მეტად ცუდ პირობებში არიან ჩავარდნილი. ვინ არ იცის მნიშვნელობა გამსახლის და რაც ყველაზე უმთავრესია მოვალეობა გამსახლის მუშა-მოსამსახურეების.

ფხიზელი ყოფნა, ღამის თევა და ერთგული სამსახური—ეს აუცილებელი მოვალეობაა ყველა გამსახლის მუშა-მოსამსახურეებისათვის.

უკვე ცივი ზამთარი დაგვიდგა რო არ ველოდით, ისეთი ცივი დღეებია. ამავე დროს გამსახლის მუშა-მოსამსახურეებს არა აქვთ მიღებული სპეც ტანისამოსი. საჭიროა მივაქციოთ, ყურადღება სენაკის გამსახლის მუშა-მოსამსახურეებს დავაკმაყოფილოთ ისინი სპეც-ტანისამოსით,

ამას უცდიან ისინი!..

მუშკორი მეთვალყურე.

მოსპეთ წერა-კითხვის უცოდინარობა ქურთებში
(პროფსაბჭოს საყურადღებოდ)

წერა-კითხვის უცოდინარობას უნდა მოეღოს ბოლო, ასეთია მუშათა ხელისუფლების მიზანი—და ამ დარგში სწარმოებს ენერგიული მუშაობა. მე ამ წერილში მინდა გავახსენო ზემოაღნიშნულ განყოფილებას, მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება „ჩულიან" მუშებს განურჩევლად ეროვნებისა, განსაკუთრებით კი ქურთებს. შეიძლებოდა ერთი სკოლა გახსნილიყო საგანგებოდ ასეთი—მუშებისთვის, სადაც აქ ქურთებს მიეცემოდათ საშუალება ესწავლათ წერა-კითხვა რითაც მათ ცოტათი მაინც შეუმსუბუქდებოდათ თავიანთი გაჭირვებული ცხოვრება.

იმედი მაქვს, ჩემს მუშურს წერილს მიაქცევენ ჯეროვანს ყურადღებას.

მუშკორი ილარ. კაციტაძე.

მოაგვარეთ ეს საქმე
(პროფსაბჭოს საყურადღებოდ)

3 იანვარს გაზეთ „კომუნისტ"-ში იყო მოთავსებული წერილი სათაურით „ეს მუშათა სასადილო ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე". ჩვენ, მუშები, ვწერდით იმის შესახებ, „შამპანში" საღამოს 6 საათზე რომ მოვიკითხოთ მარტო მეორე კერძი, გახდევინებენ 50 კაპ. და სხვა. ამიტომ ჩვენ ვთხოვდით გემოკვების კავშირს, რომ ყურადღება მიექცია სასადილო შამპანისათვის, ვინაიდან ავლაბრის წითელი სასადილო ახდევინებს მუშებს მარტო მეორე კერძში პურით 37 კ. შამპანკა რატომ არ უნდა წაბაძოს მას.

ჩვენ წერილს არც გემოკვების კავშირმა მიაქცია ყურადღება და ადგილობრივი გამგეობაც ამის გამო ყურებს არ იბერტყავს.

პროფსაბჭოვ, შენ რას იტყვი?

მუშკორი ო. ჯ.

ფაბრიკა-ქარხნებში
ცეკავშირის კერამიკული ქარხანა

ერთი წელიწადია, რაც ქარხანა მუშაობს. 1 თებერვლიდან 1922 წლისა 16 მარტამდე 1923 წლ. იგი განსახკომის განკარგულებაში იყო, ამის შემდეგ კი გადადის ცეკავშირის „მზრუნველობაში".

წყალი არ აქვთ.

ქარხნისთვის აუცილებელ საჭიროებას წყალი შეადგენს, რომელიც ეზოში არ არის გამოყვანილი და ბოჭკებით უხდებათ მისი ზიდვა. ეს გარემოება აფერხებს როგორც წარმოებას, ისე თვით მუშებს უჭირვებს საქმეს.

მუშა-ხელი.

ქარხანაში ირიცხება 13 მუშა-მოსამსახურე, აქედან 9 მუშაა და 3 მოსამსახურე. მათი საშუალო ხელფასი უდრის 20—32 მ. და 50 კაპეიკამდე.

მუშების მდგომარეობა ცუდია.

ჯამაგირებს არ აძლევენ წესიერად არასოდეს, არ ეძლევათ სპეც-საპონი, როდესაც ფული არ არის ხოლმე, აძლევენ პურჩეკს, რომელიც დაფასებულია 40 კ. და ბაზარზე კი იყიდება აბაზად.

კულტ-მუშაობა მოიკოჭლებს.

წ.-კ. უცოდინარი მუშებში მხოლოდ ერთია. დანარჩენმა ყველამ იცის წ.-კითხვა, ამ ერთ მუშას ყურადღებას არავინ აქცევს. სწავლა კი ძალიან სწყურია.

ინფ. ტონკა.

იურიდიული დახმარება

[illegible]

გრიბოედოვის ქ. სახლი № 45, სადაც ვცხოვრობთ უმრავლესად მუშები და ღარიბი მოსახლეობა, ეკუთვნის კერძო პირს ივანე შაბუნინს, რომელსაც აქვს სხვა კარგი შემოსავალი. ამ ყინვების დროს მოუვლელობის გამო წყლის მილები დასკდა, და ეს 15—20 დღე უწყლობის გამო ვწვალობთ მდგმურები. გთხოვთ გაგვიმარტოთ, სახლის პატრონმა უნდა შეაკეთოს თუ მდგმურებმა?

მუშკ. ილარ. კაციტაძე.

პასუხი:

ვინაიდან სახლი ეკუთვნის კერძო პირს, რომელსაც აქვს შემოსავალი სხვადასხვა წყაროებიდან, გახეთქილი მილების შეკეთება ევალება თვით სახლის პატრონს; თქვენ კი იხდით მხოლოდ არსებულ წესების თანახმად კანონიერ ქირას ბინით სარგებლობისათვის.

სიმართლეს სწერენ ჩვენი მუშები.
(პასუხი მუშკორ მკერვალის წერილის გამო).

„კომუნისტი"-ს მე-286 ნომერში სათაურით: „ბარბაროსი მობინადრეები გამოასახლეთ" მოთავსებულ წერილის შესახებ გაცნობებთ, რომ აღნიშნული წერილი სრულს ჭეშმარიტებას შეიცავს. იმ დროს, როდესაც არსებული ხელისუფლება იშვიათი მომჭირნეობით ეკიდება სახალხო ქონებას, რომლის დანიშნულება მშრომელი ხალხის კეთილდღეობით ხელის შეწყობაა, ზოგიერთი (საბედნიეროდ, ერთეული პირებია) დღემდე ვერ შეუგნია ასეთი ქონების ფასი და მნიშვნელობა და მის დაზარალებას განზრახ უწყობს ხელს. არც ერთი მდგმურისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ არსებული ბინის ქირა ვერ უძლებს სახლის შემოსავალთან დაკავშირებულ მიმდინარე ხარჯს და ალმასკომი იძულებულია შენობის შეკეთება სხვა წყაროდან აწარმოოს. ეს გარემოება დაჟინებით მოითხოვს ანგარიშის გაწევა-ს და თითეული მობინადრე თვით უნდა ჩაებას ამ სახალხო დოვლათის შენახვის საქმეში. დაუდევარი მდგმურების წინააღმდეგ სამართველოს ძალაუნებურად უხდება სასტიკი ზომების მიღება, ხოლო რამდენადაც მობინადრენი გულთან ახლოს მიიღებენ ასეთ მორიგებას, უკანასკნელი მყის აღიკვეთება.

კერძოთ მოქ. გოგიშვილის შესახებ გაცნობებთ, რომ მან იკისრა კიბის შეკეთება.

საინფორმაციო მაგიდის გამგე ვარდოსანიძე.

პროფკავშირებში
აფხაზეთის მიწა-ტყის მუშაკთა კავშირში

სატარიფო-ეკონომიური მუშაობა.

ურთიერთობა სამეურნეო ორგანოებთან ნორმალურია. კავშირი იღებს ზომებს შრომის ნაყოფიერობის გასადიდებლად. დადებულია 6 კოლექტიური ხელშეკრულება: მათი საშუალო ვადაა 4 ნახ. თვე. ხელშეკრულებები დადებულია შეფარდებით 1:8; პირველი ხარისხის საშუალო ხელფასი შეადგენს 11 მანეთს.

იმ წარმოებების რიცხვი, რომლებშიაც მუშაობენ კავშირის წევრები, უდრის 25, რომელთაგან 4 კერძოა და 21 სახელმწიფო. ყველა კონფლიქტები გადაწყვეტილია მუშების სასარგებლოთ.

კულტურული მუშაობა

კავშირის გამგეობასთან არსებობს ცენტრალური კულტკომისია; ამას გარდა ასეთი კომისიები არჩეულია ცალკე საბჭოთა მეურნეობებშიც. კულტფონდში შემოვიდა 561 მან., აქედან დახარჯულია 342 მან. 98 კ. არის სამკითხველო, გამოწერილია გაზეთები და ლიტერატურა. ჩატარებულია 18 კამპანია. გამოცემულია კედლის გაზეთი.

მუშაობა დაქირავებულთა შორის.

სხვადასხვა რაიონებში სულ შეკავშირებულია 550 მოჯამაგირე. არჩეულია რწმუნებულები, რომლებმაც მუშაობა უნდა აწარმოონ მათ შორის. მოჯამაგირეთა შორის 30 პროც. ქალებია, 70 პროც. კი—მამაკაცები. დაიწყო მუშაობა ურთიერთ დამხმარე სალაროს მოსაწყობათ. კავშირმა გადასინჯა მოჯამაგირეთა შრომის ხელფასის ნორმები, მაგრამ ჯერჯერობით ძალაში რჩება წინათ დაწესებული ჯამაგირები: მინიმუმი 15 მანეთი და მაქსიმუმი 30 მანეთი; ამასთანავე მათ აქვთ ბინა და საჭმელ-სასმელი.

მოჯამაგირეთა შრომის ხელფასის დაცვის მიზნით, დადებულია ინდივიდუალური შრომის ხელშეკრულებები კონფლიქტების რიცხვი შემცირდა 50 პროცენტით. სულ მოგვარებულია 45 საქმე და 50-ც გადაცემულია შრომის სასამართლოებში.

დამზღვევი კასის რწმუნებულთა კონფერენცია
დამზღვევი კასის გამგეობის ამოცანები

დამზღვევი კასის რწმუნებულთა კონფერენციამ ახალ ცენტრალურ გამგეობას დაავალა თავის უახლოეს მუშაობის დროს შეასრულოს შემდეგი ამოცანები:

1) იმ მიზნით, რომ დამზღვევი კასების მუშაობაში ჩაბმულ იქნენ მუშები და მომზადდეს დამზღვევ კასის მუშაკთა სათანადო კადრი, გამგეობის წევრთა რიცხვი უნდა გადიდდეს 25 კაცამდე.

2) განმარტივდეს ფულადი დახმარების გაცემის ტექნიკა.

3) გაძლიერდეს მუშაობა დასასვენებელ სახლების გასაკეთებლად და მათი სანატორიულ-ჰიგიენურ პირობების გასაუმჯობესებლად.

4) განმარტივდეს დაზღვეულ ავადმყოფთა სახლში მოვლა-ექიმობის სისტემა.

5) გაუმჯობესდეს და მოწესრიგდეს კბილის ექიმობა და საპროტეზო დახმარების საქმე.

6) მიღებულ იქნეს ზომები დავალიანების სალიკვიდაციოდ.

7) მოეწყოს დამზღვევ კასების პერიოდული ანგარიშის წარდგენა დაზღვეულთათვის.

8) მოეწყოს ჯანმრთელობის განყოფილებასთან რეგულიარული თათბირები.

9) გაძლიერდეს მუშაობა პროფესიონალურ სნეულებათა შესასწავლად.

10) შეიქმნეს ისეთი წესი, რომ დამზღვევი კასის ექიმების რეცეპტების მიხედვით დაზღვეულ ავადმყოფებს წამლები ეძლეოდეს ყველა აფთიაქებში.

11) გაძლიერდეს მუშაობა სოციალურ დაზღვევის შესახებ განათლების გასავრცელებლად და სიმულიაციასთან საბრძოლველად.

12) სარევიზიო კომისიის ერთი წევრი განთავისუფლებულ იქნას სხვა სამუშაოსაგან.

პროლეტარულ მწერალთა კავშირის გარშემო
შემცდარი ნაბიჯი
(პასუხად 14 ახალგაზრდას)

გაზ. „კომუნისტის" ა. წ. რვა იანვრის ნომერში მოთავსებულია „წერილი რედაქციის მიმართ" რომელსაც ხელს აწერენ სრული სახელების, გვარების და ფსევდონიმების გამოქვეყნებით თოთხმეტი ახალგაზრდა.

ეს ახალგაზრდები სთვლიან საჭიროთ პროლეტარულ მწერლობის ახალი ფრონტის (პროლემფის) შექმნას.

თოთხმეტი—საკმაო რიცხვია, რომ მართლა კარგი ძლიერი ფრონტი შეიქმნას, მაგრამ ვის წინააღმდეგ—საკითხავია!

ამ ახალგაზრდებს კი ჯერ-ჯერობით გაუხსნიათ ბრძოლის ფრონტი „დაღლილ" პროლეტარულ მწერალთა წინააღმდეგ (ალბათ ეს ფრონტი უფრო ადვილ გასარღვევათ მიაჩნიათ მათ თავიანთ ახალგაზრდა ძალღონისთვის და მიტომ მოუმართავთ აქეთ თავიანთი იერიში).

რომ საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირი ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე—ეს ცხადია და ყველაზე უფრო ცხადი იყო ეს თვით ამ კავშირის ხელმძღვანელებისათვის, რომლებსაც არსად და არასდროს არ გამოუთქვამთ ქება-დიდება თავიანთი ნამოღვაწარის გასაზვიადებლათ.

კავშირის სისუსტის მიზეზი კი არის პროლეტარული ნიადაგის უხეირობა ჩვენში, რომელზედაც ჯერ-ჯერობით, როგორც სჩანს, შეიძლება ასეთი „ნაყოფის" გაფურჩქვნა, როგორიც არიან თოთხმეტნი.

„ქარხნებს ვერ ახადეს სახურავიო",—უსაყვედურებენ ეს „ახალგაზრდები" „ძველ" პროლეტარულ მწერლებს,—ქარხნების სახურავის ახდა მათ ისე ადვილათ წარმოუდგენიათ ალბათ, როგორც რუსთაველის პროსპექტზე თავახდით სიარული როგორც ეს სჩვევიათ ზოგიერთებს.

ქარხნებს რომ თავი ახადო, ამისთვის საჭიროა თვით ამ ქარხნების არსებობა. არამც თუ ჩვენში, საბჭოთა კავშირის უდიდეს სამრეწველო რაიონებში და ქალაქებშიაც თავახდილი ქარხნები იძლევიან ხშირათ ნახევრათ სოფლიურ და ნახევრათ წვრილ ბურჟუაზიულ—მესაკუთრეობის სურათებს. პროლეტარულ მწერლებს უხდებათ თავიანთი კლასიური შემოქმედების გაშლა თანდათანობით მრეწველობის განვითარებასთან ერთად.

თქვენ კი გამოსულხართ და უსაყვედურებთ ჩვენ ძველ პროლეტარულ მწერლებს, რომ მათ ვერ ჩაიხედეს ქარხნის ყოფა-ცხოვრებაში და დაინახეს მხოლოდ საყვირები, დინამოები მილებიო.

კიდევ კარგი, რომ მათ ესენი დაუნახავთ მაინც, შეიძლება ზოგი მათგანი ქარხნებშიაც ყოფილან წლო- დაზგასთან, მაგრამ თქვენი თოთხმეტივე სახელების, გვარების,—და ფსევდონიმებისაც კი,—გადაკითხვა ნებას მაძლევს მე თამამათ ვსთქვა, რომ არც ერთი თქვენგანი ქარხანაში, ექსკურსიის გარეშე, არ ყოფილხართ და მისი კვამლით არ გისუნთქავთ.

თქვენ რომ მართლა ქარხნის შვილები ყოფილიყავით, თქვენი საბრძოლო ფრონტის გაშლას არ დაიწყებდით იმათ წინააღმდეგ, რომლებსაც, თქვენივე სიტყვებით, „ჰქონდათ მიღწევები, რომლებმაც, რაც არ უნდა იყოს, დაიწყეს საქმე, რომლებსაც ეკუთვნის, თუმცა სუსტი, მაგრამ მაინც პირველი ცდა პროლეტარული პოეზიის შექმნისა".

თუ „ისინი თავიანთი პოეტურ კაბინეტის ფანჯრებიდან შეეცადენ დაენახათ მუშა" და ამით „დაიღალენ" (აქ თქვენ ახალგაზრდულ ლოღიკას ორივე ფეხებით სიკოჭლე ემჩნევა), დაე, იჯდენ იქ მოსვენებით,—რადგან ცოტაოდენ მათ ნამოღვაწარზე არც თქვენ ყოფთ უარს,—და თქვენ გაშალეთ ბრძოლის ფრონტი სხვა მხარეზე. მაგრამ ალბათ შინაურ „დაღლილებზე" თავდასხმა უფრო გეადვილებათ.

ეცადეთ, ეცადეთ, ვინ იცის, იქნებ მეცადინეობამ უნაყოფოთ არ ჩაგიაროთ,—ამას მომავალი დაგვანახებს, მაგრამ რაც უნდა ეცადოთ, ვერავის ვერ დააჯერებთ, თუ კი ის ცოტაოდენ მარქსისტულად აზროვნებს, რომ „პროლეტარული მწერლები, რევოლიუციის ნებით კომპარტიაში მომხდარნი, არ იყვნენ მშრომელ მასსებიდან გამოსულნი". ისინი რომ მაშინ ვერც პროლეტარულ მწერლებათ იქნებოდენ ცნობილი და ვერც რევოლიუციის ნებით კომპარტიაში მოხდებოდენ—ერთიც და მეორეც არ ითვისებენ უცხო ელემენტებს,—ეს ყველასათვის აქსიომაა.

საქმენმა თქვენმა გამოგაჩინოს თქვენ კარგი იქნება, თუ კარგად დაიმახსოვრებთ ერთ კარგ ხალხურ ანდაზას: თავის ქება კიტრად ღირსო—კიტრი კაპეიკათაო.

ხ თ—ია.

წერილი რედაქციის მიმართ
(პასუხად თ. ჩქარეულს, ყ. მდივანს, ქ. ლორთქიფანიძეს, ვ. მაჭავარიანს, დ. რონდელს, კ. ეწრელს და სხ.

ოქტომბერმა დაამსხვრია ძველი ქვეყანა. პროლეტარიატი ქმნის ახალ ხელოვნებას. საქართველოში პროლეტარულ ხელოვნებას დიდი ისტორია არ აქვს. გასაბჭოების დღიდან ჩვენ ვხედავთ აურაცხელ მწერლებს, რომლებიც ცდილობენ ჭეშმარიტ პროლეტარულ მწერლობის შექმნას. ამათ შორის არიან უნიჭონიც, მაგრამ არიან ნიჭიერნიც, რომლებიც დღესაც ამაყად აფრიალებენ ქართულ პოეზიაში სისხლისფერ დროშას. რევოლიუცია ხელოვნებაში არ შეიძლება მოხდეს ერთი დაკვრით. ქართველ საზოგადოებას კიდევ დასჭირდება წლები, რომ თავი დაანებოს გრიშაშვილების ჰანგებს.

პროლეტარულ მწერალთა კავშირმა გააკეთა ბევრი რამ. ამ ცოტა ხნის განმავლობაში „მისი საქმიანობა" არ ამოიწურება „ორიოდე გაზეთის ან ჟურნალის" გამოცემით.

პროლეტარულ მწერალთა კავშირი ეწეოდა თავის საქმიანობას (გამომცემლობა თუ მოხსენებებს) მისი შესაძლებლობისა და პირობების მიხედვით. ყველა ის ვინც დღეს ჩვენში ცნობილია პროლეტარულ პოეტებათ მშრომელი მასსებიდან არიან გამოსულნი და არა „რევოლიუციის ნებით კომპარტიაში მომხდარნი". და თუ მათ „ვერ შესძლეს მუშის დანახვა, ქარხნის სახურავის ახდა და ყოფა-ცხოვრებაში ჩახედვა",—რაც სინამდვილეს არ შეეფერება—ეს იმას არ ნიშნავს რომ ბრძოლა დამთავრებულია და ამ ბრძოლაში პროლეტარული მწერლები დაიღალენ.

დაღლილნიც რომ იყვნენ ყოველი ახალგაზრდა თუ იდეოლოგიურად ამ „დაღლილ მწერლებთან" არის, უნდა ცდილობდეს მიშველებას და არა ბრძოლას მათ წინააღმდეგ ან მათ გარეშე.

ეს არა დაღლილი ხალხი თაკილობს რომ მოხდენ „ძალაუნებურად" (განა ეწიკებოდა ვინმე?) კავშირის წევრებათ. ეს დევ-გმირები თურმე კავშირთან ერთათ აწარმოებდა ბრძოლას მოპირდაპირეებთან, მაგრამ თურმე კავშირის ნაბიჯი იყო უძლური, კარჩაკეტილი და მათი მუშაობის შემაფერხებელი. წარმოუდგენელია, რომ კავშირმა ვინმეს დაუშალოს ნაყოფიერი შრომა პროლეტარულ პოეზიის სასარგებლოდ.

მაგრამ საქმე სხვანაირათ არის.

ეს არა დაღლილი „მწერლები" საჭიროდ სთვლიან ახალი ფრონტის შექმნას, როცა მათ ძველ ფრონტზედაც არაფერი გაუკეთებიათ და ყოველთვის ხელს უშლიდენ, დასცინოდენ კავშირის ნაბიჯებს. პროლეტარულ მწერალთა კავშირს არაფერიც არ დააკლდება მით, რომ ა ხალხმა, რომელიც „ძალაუნებურად" შემოვიდა კავშირში, სრულიადაც დასტოვოს იგი.

ჩვენ გვიკვირს თუ რა აქვს საერთო ა. მაშაშვილს ამ ჯგუფთან, რომელიც ახლა ახელს თვალებს და აწუნებს სხვების ნაყოფიერ მოქმედებას.

ჩვენ კავშირში დარჩენილ ახალგაზრდებს და საქართველოს პროლეტკულტის ლიტერატურულ სტუდიის სტუდენტებს, რომლებსაც არ გსურს „იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლა" დაღლილ მწერალთა გარეშე. ასეთი თქვენი მოქმედება მიგვაჩნია საზარალოდ ქართულ პროლეტარულ ხელოვნებისათვის და „ახალი ფრონტის შექმნის" წაგვირად შექმნილი ფრონტის დარღვევის დასაწყისად... ჩვენ ვრჩებით ძველ რიგებში და მოუწოდებთ ყველას ვისაც წრფელი გულით სურს ემსახუროს მწერლობას, შემოგვიერთდეს ჩვენ იმ დიად საქმის დასაგვირგვინებლად, რომელიც დაწყებულია საქართველოს გასაბჭოების დღიდან.

საქ. პროლეტ. მწერალთა კავშირის წევრნი რამოდენიმე ახალმწერლების და საქართველოს პროლეტკულტის ქართული ლიტერატურული სტუდიის სახელით.

დავით კობიძე, ვეჭერა ახელი.

განათლების ფრონტზე

საბავშო ბიბლიოთეკები

სოციალურ-აღზრდის მთავარ მმართველობამ მასწავლებელთა ყრილობის დასრულების შემდეგ დაურიგა დელეგატებს 7 წლიან შრომის სკოლებისათვის საბავშო ბიბლიოთეკები, შემდგარი 39 წიგნისაგან და ღირებული—17 მან.

სტუდენტების განთავისუფლება გადასახადისაგან

განათლების კომისარიატმა დაადგინა შესდგეს კომისია სახ. უნივერსიტეტის და ლენინის სახელობის პოლიტ. ინსტიტუტის სტუდენტთა წარმომადგენლებისაგან, ღარიბ სტუდენტთა 4 მან. გადასახადისაგან განსათავისუფლებლათ.

ფიზიკური კაბინეტი და ქიმიური ლაბორატორია

განათლების კომისარიატმა მაზრობლივ დაარიგა ფიზიკური და ქიმიური ლაბორატორიუმები, მეორე საფეხურის სკოლებისათვის.

სკოლების რაოდენობა

თბილისის მაზრაში ამ ჟამად ირიცხება 153 სკოლა 923 ჯგუფით.

ახალი სკოლები

გაიხსნა ახალი სკოლები რაჭის მაზრაში—7, თელავის—4, ბორჩალოს—19 და ლეჩხუმის მაზრაში—10 სკოლა.

დაჯარიმებულნი
ქალაქის ალმასკომის დადგენილებათა დარღვევისათვის

ალმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების გამგე ამხ. ხმალაძის მიერ 7 იანვარს, 1925 წელს დაჯარიმებული არიან შემდეგი პირები:

ქუჩაში უწესოების ჩადენის გამო: ხუთ-ხუთი მანეთით: პეტროსიანც გიგო, არაქელოვი მიხეილ, ფრუიძე გრიგოლ, ავაკოვ მიხეილ, მაკაროვი სელიმ, ჩიკვაიძე დიმიტრი, ქარცივაძე სერგო და ბაკურსკი.

ათ-ათი მანეთით: შაპოშნიკოვი პავლე, გოგნიევი ივან, მარტიროსიანცი ალექსი, ვარტანიანი ლევან.

თუ ჯარიმას არ გადაიხდიან, შეცვლილ იქნება 5—10 დღის დაპატიმრებით.

უწესო მიმოსვლის გამო: ფულიდი პავლოდ—100 მ. ან 2 თვით დაპატიმრება, ოჰანეზოვი დავით—5 მან., ფლოროვი ნიკოლოზ—5 მ., ობოლიძე ნიკოლოზ—5 მ.

ბუხრის მილის უსუფთაობის გამო: მილოვი ბარბარე—20 მ.

ეზოს უსუფთაობის გამო: ნაცვალიშვილი ნიკოლოზ—10 მ., ახნაზაროვი გეურქ—5 მ.

ვადაზე მეტად ვაჭრობისათვის: მინასოვი ალექსანდრე—15 მ., მამედოვი აბდულ—20 მ.

ექიმის მიერ შეუმოწმებელ ხორცის გაყიდვის გამო: დემეტრაშვილი გიორგი—10 მ., კაციშვილი გიორგი—15 მ.

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭო საინფორმ.-ცენტ.-განყოფილების კომპლექტი

მეცნიერება და ტეხნიკა

ფლეტნერის პრინციპზე დამყარებული გამოგონებანი

მოსკოვში ფლეტნერის აღმოჩენის პრინციპზე შინამრეწველებმა ძმებმა ტიხომიროვებმა გამოიგონეს ისეთი მანქანა, რომლის წყალობით ჩვეულებრივი ქარის წისქვილი იძლევა ქარის ძალის რამდენიმეჯერ უფრო მეტად გამოყენების საშუალებას.

რუსეთის მიწათ-მოქმედების კომისარიატის სასოფლო მეურნეობის მექანიზაციის სექცია მრავალ ცნობებს იღებს ასეთივე გამოგონებების შესახებ.

კერძოთ ინჟენერ ლევკოვი წინადადებას იძლევა დადგმული იქნეს ფლეტნერის სისტემის ცილინდრები, რათა მფრინავმა აეროპლანის მოტორის დაზიანების დროს მოახერხოს დედამიწაზე ფრთხილად დაშვება.

განსაკუთრებით საინტერესოა ექიმ გლობას გამოგონება, რომელმაც ჯერ კიდევ 1881 წ. გამოიგონა მანქანა რომელიც ახერხებდა გაფრენას ფლეტნერის სისტემის ცილინდრების საშუალებით. მის მიერ დამზადებული მოდელი მშვენივრათ ახერხებდა გაფრენას და ჰაერში გაჩერებას. თვითმპყრობელობის დროს ეს გამოგონება უყურადღებოდ დასტოვეს.

ექიმ გლობას გამოგონების შესახებ არის ამხ. ლენინის განკარგულება სახელმწიფო გეგმო კომისიის სახელზე, შეამოწმონ გამოგონება.

ამ ჟამად რუსეთის მიწათ-მოქმედების კომისარიატს განზრახული აქვს დააჩქაროს ამ გამოგონების გამოყენება.

ახალი სამხედრო ჰაეროპლანი

ინგლისის საავიაციო სამინისტრომ ააგო ახალი უზარმაზარი ჰაეროპლანი 1000 ცხენის ძალიანი მოტორით.

მთელი ჰაეროპლანი, გარდა ზოგიერთი ნაწილებისა, ლითონისგან არის დამზადებული. ჰაეროპლანი ორი სართულისაგან შესდგება. პირველ სართულში მოთავსებულია ტყვიისმფრქვეველები და მფრინავი. მეორე სართულში ჩალაგებულია ბომბები.

ჰაეროპლანს შეუძლია წაიღოს 434 ფუთი ტვირთი.

ამ ჰაეროპლანს შეუძლია გაიაროს 220 კილომეტრი საათში და წაიყვანოს 25 მგზავრი.



ჰაეროპლანი მოსაკეცი ფრთებით.

ექიმ ვორონოვის გამგზავრება აფრიკაში

რუსი ექიმი ვორონოვი, რომელიც ამ ჟამად პარიზში მუშაობს და რომელმაც მსოფლიო სახელი მოიხვეჭა თავისი ოპერაციებით ადამიანთა გასაახალგაზრდავებლად (სხვათა შორის ვორონოვი იუწყება, რომ მან გაახალგაზრდავა ლოიდ-ჯორჯი და კლემანსო), თავს ანებებს ადამიანთა გაახალგაზრდავების ცდებს და შეუდგა ცხოველთა გაახალგაზრდავების ცდებს. უკანასკნელი ცდები მან მოახდინა ცხვრებზე. გაახალგაზრდავებული ცხვრები იძლევიან 400—500 გრამით მეტ მატყლს, ვიდრე გაახალგაზრდავებამდი იძლეოდენ.

რომ შესაძლებელი იყოს საფრანგეთში ყველა ცხვრების გაახალგაზრდავება, ეს მისცემდა საფრანგეთს 10—12 მილიონ კილოგრამით მეტ მატყლს. მაგრამ ეს შეუძლებელია და ამიტომ ვორონოვი ისწავლის მიღებული თვისებების მემკვიდრეობით გადაცემის პრობლემას.

ამ რამდენიმე ხნის წინათ პროფ. რუმ და მეტალნიკოვმა პასტერის სახელობის ინსტიტუტში, პარიზში, გააკეთეს მოხსენება, რომ მათ მოახერხეს, ცხოველების მიღებული თვისებები გადაეცათ შემდეგი თაობებისათვის.

ასეთივე ცდების მოხდენა სურს ვორონოვს ცხვრებზე. ამ მიზნით ის მიემგზავრება აფრიკაში, სადაც მეცხვარეობა დიდ როლს თამაშობს საფრანგეთის ახალშენებში.

ქრონიკა

საბჭოების ყრილობისათვის.

— **სრ. საქ. საბჭოების ყრილობა.** საქ. ცაკმა დაადგინა სრ. საქ. საბჭოების მესამე ყრილობა მოწვეული იქნას 25 თებერვალს.

— **საბჭოების არჩევნებისათვის.** საქ. ცაკმა მიიღო დებულების პროექტი მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭოების არჩევნების ჩასატარებლათ.

დახმარება ხანძარისგან დაზარალებულთ

13 ოჯახს, რომლებიც ხანძარის დროს დაზარალდენ სამტრედიაში მეურნეობის აღსადგენათ მიეცა 13,300 მანეთი.

ქუთაისის მაზრის ექიმთა ყრილობა.

15 იანვრისათვის ქუთაისში დანიშნულია მაზრის ექიმთა ყრილობა.

მანდარინების გაგზავნა მოსკოვში.

ბათომიდან მოსკოვში გაიგზავნა 10 ვაგონი მანდარინა.

— **სათემო საბჭოები და აღმასკომები.** საქ. ცაკმა მიიღო დებულების პროექტი სათემო საბჭოების და აღმასკომების სისტემის შემოღების შესახებ.

— **საავადმყოფოების შესანახათ** მიმდინარე წელში თბ. ქალაქის საავადმყოფოების შესანახათ ქ. აღმასკომმა გადასდო 741,381 მან.

— საქართველოში ამ ჟამად არის 25 ექიმისათვის თავისუფალი ადგილი.

— **წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა.** 1-ლ ლეგიონში ამ ჟამად ირიცხება 341 წ.-კითხ. უცოდინარი; ყველა სწარმოებს მეცადინეობა მათთვის წ.-კ. შესასწავლათ.

— **ბიუჯეტის დამტკიცება.** საქ. ცაკმა დაამტკიცა ს. ს. ს. რ. 1924-25 წ. ბიუჯეტი და ხარჯთ-აღრიცხვა საბჭოთა მესამე ყრილობის მოსაწვევათ.

— **ტრამვაის სახელოსნომ** ელმაშტრესტს შეუკვეთა 300 ფ. სპილენძის მავთული ელექტრო-მაგნიტურ ღუზების საჭიროებისათვის.

— **მკითხველების რიცხვი.** გასულ დეკემბრის განმავლობაში ქალ. 9 ბიბლიოთეკაში აღრიცხულია 3,523 მკითხველი. აქედან—რუსები—1168, სომხები—1166, ქართველები—975.

— **მეთუნუქეების კოლექტივი.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაამტკიცა მეთუნუქეების შრომის კოლექტივი.

— **შრომის ბირჟის კომიტეტმა** დაადგინა დაამტკიცოს ქაღალდის პარკების (ტომრების) მკეთებელთა შრომის კოლექტივი; კოლექტივი შემდეგ დაამზადებს კონვერტებსაც.

— **შრომის დაცვის წიგნაკები.** საქ. შრ. სახ. კომისარიატის შრ. დაცვის განყოფილებამ დაადგინა ჩაატაროს წარმოება-დაწესებულებებში საკვირეული კამპანია შრომის დაცვის შესახებ გამოცემულ სავალდებულო წიგნაკების გასავრცელებლათ.

— **შრომის დაცვის** განყოფილებამ გადასწყვიტა ორ თვეში ერთხელ მოახდინოს აჭარის-წყალის ჰიდრო-ელსადგურის გამოკვლევა შრომის პირობების დასაცავათ.

— **ბზის ხეები.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ შედგინა გეგმა საქართველოში ბზის ხეების (მერქნის) ექსპლოატაციის შესახებ.

— **სოფლის მეურნეობისათვის.** საქ პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველომ დაამზადა დიდძალი სასოფლო-სამეურნეო შინაარსის წიგნები სოფლებში დასარიგებლათ.

— **ტრამვაის ახალი რონოდები.** იანვრის შუა რიცხვებში ტრამვაის სახელოსნო გამოუშვებს ახლად შეკეთებულ 3 მოტორიან რონოდს.

— **წყალის მიწოდება.** დეკემბერში ავჭალის წყალსადენმა ქალაქს მიაწოდა 34,303,780 ვედრო წყალი, გასულ თვესთან შედარებით—183,479 ვედრო მეტი.

— **საშუამავლო ბიურომ** დეკემბერში უფლებებში აღადგინა 123 უმუშევარი.

— **ტრაქტორები ამერიკიდან.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა ამერიკიდან გამოიწერა 45 ტრაქტორი.

— **უმუშევართა ხელახალი აღრიცხვა.** გონებრივ და კანტორის უმუშევართა საშუამავლო ბიურო 12 იანვარს მოახდენს ბუღალტერების, გამომძიებლების, გადამწერთა, გამგეთა, ეკონომისტების, კოოპერატორების, კორესპონდენტების და მეთვალყურეთა ხელ-ახალ აღრიცხვას ნომრების დასარიგებლათ.

— **სოფლის ნაწარმოების დამზადება.** წარმოკავშირი შეუდგა სოფლის ნაწარმოებთა დამზადებას, რისთვისაც გადასდო 1,725,000 მან.

— **აღ. საქ. სასოფლო-სამეურნეო** კოოპერაციაში ირიცხება ამ ჟამად 20,000 მეურნეობა.

— **ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება.** სამშაბათს, 13 იანვარს, საღამ. 8 საათზე საქართველოს მუზეუმის საუდიტორიო დარბაზში (კალოუბნის ქ. № 1) შესდგება საზოგადოების წლიური კრება; დღის წესრიგშია; 1) საზოგადოების საბჭოს წლიური ანგარიში; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევნები, 4) პრო. ა. შანიძის მოხსენება: „ქართული ზმნების ქცევათათვის“. დასწრება თავისუფალია.

— **შრომის კოლექტივებისათვის.** საქართველოს უმუშევართა შრომის კოლექტივების შესაქმნელათ ა | კ. სახელმწიფო გეგმათა სამმართველომ გადასდო 21,500 მან.

— **მეჩექმეების კოლექტივი.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაამტკიცა უმუშევარ მეჩექმეების კოლექტივი, რომელშიაც ჯერ-ჯერობით ითვლება 28 კაცი.

— **შრომის ბაზრის** განყოფილებამ შეადგინა შრომის კოლექტივების ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც დასამტკიცებლათ ამ დღეებში წარედგინება საქ. გეგმათა სამმართველოს.

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებულ ცნობაში იმის შესახებ თითქოს საქ. სახალხო კომის. საბჭომ დაადგინა 25 პროცენტი მისცეს ბათომის კომუნალურ მეურნეობას სანავთსადგურო გადასახადით აკრეფილ თანხებიდან—შეიპარა შეცდომა.

საქ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება აღნიშნულ 25 პროცენტის შესახებ ასეთია: „ბათომის კომუნალური მეურნეობის შუამდგომლობა ქალ. ბათომში აკრეფილ სანავთსადგურო გადასახადების 25 პროც. მის განკარგულებაში გადაცემის შესახებ უარყოფილ იქნეს, როგორც იურიდიულად სრულიად უსაფუძვლო“.

შემთხვევები

— **ქუდების ქურდის შეპყრობა.** 9 იანვარს შეიპყრეს მოქ. ალ. მირველაშვილი, რომელსაც ბრალდება მის [illegible] სავაჭროდან ქუდების მოპარვა.

— **ქურდი მოსამსახურე.** 8 იანვარს შეიპყრეს ქალი პოდრიაჩოვა, რომელსაც ბრალდება ელ. კაჭარავას თვის (ანასტასიევის ქ. № 13) 3 საათის მოპარვა.

— **ჯიბგირობა.** 8 იანვარს მოქ. ქიქიძე კოპალაძის რ. ს. ს. რ. ბანკში ჯიბიდან ამოაცალეს 80 მან.

— **ცეცხლი.** 10 იანვარს. ვერის ქუჩ. № 7 სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც სასწრაფოთ ჩააქრო ცეცხლისმქრობელმა რაზმმა.

— **ქურდობა.** 8 იანვ პლეხანოვის პრ. № 35 გაქურდეს ბირი კუზანსკის ბინა, წაიღეს 300 მან. ნივთები.

— ამავე დღეს გაქურდეს მუშტაიდში მდებარე ზაკაპოს დუქანი. წაღებულია 100 მან. წვრილმანი ნივთები.

— 9 იანვარს ფოთის ქ. № 22 მოქ. ტერზია ბერიძის ბინიდან მოიპარეს 157 მან. ტანსაცმელი.

— ამავე დღეს, პლეხანოვის პრ. № 76 გაქურდეს მოქ. [illegible] ალიბეგოვის ბინა, წაიღეს 310 მან. ნივთები.

წერილები პროვინციიდან

სად გაჰქრა კოოპერატივის ქონება

ს. წინარეხი (გორის მაზრა)

1918 წელს სოფელ წინარეხის გლეხობამ გახსნა კოოპერატივი, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევდა ამავე სოფლის მასწავლებელი ივანე გიუნაშვილი.

ამ პატარა სოფელში, სადაც სცხოვრობს 150 კომლამდე გლეხი კოოპერატივს სამასი წევრი ჰყავდა და მისი საქმეც კარგად მიდიოდა.

ვინაიდან სოფელში არ მოიძებნებოდა ისეთი ხალხი, რომლებიც კოოპერატივის გაძღოლას მოაერხებდენ, 1922 წლამდე ამ კოოპერატივის საქმეებს განაგებდა ზემოაღნიშნული გიუნაშვილი. 1922 წლის შემდეგ კოოპერატივის ქონება სადღაც გაჰქრა, დარჩა მხოლოდ ნაწილი კოოპერატივის ავეჯისა და ისიც ცვდება და დაიკარგება ვიღაც ვაჭრების ხელში.

1922 წლამდე იყო ეს საქმე ასე უყურადღებოთ მიტოვებული. 1922 წელს თებერვალში ამავე სოფლის საბჭოს წევრებმა მოითხოვეს კოოპერატივის ანგარიშები. როდესაც ამ საქმისათვის დანიშნული ამხანაგები მივიდენ გიუნაშვილთან და მოსთხოვეს კოოპერატივის ანგარიშები, მან ისინი გალანძღა და ისე გამოისტუმრა. შემდეგ გაიქცა კავთისხევში კოოპერატივის ინსტრუქტორ ამხ. მათიაშვილთან, რომელმაც „წინადადება“ მისცა სოფლის არჩეულ პირებს შეეჩერებიათ თავისი მოქმედება.

ამის შემდეგ მიცემული იქნება განცხადება გორის მაზრის კოოპერატიულ კავშირში, თხოვნით გამოეგზავნათ ინსტრუქტორი მდგომარეობის ადგილობრივ გამოსარკვევად. კავშირმა აღგვითქვა, რომ ჩვენი თხოვნა მოკლე ხანში იქნება დაკმაყოფილებული. დღემდის ეს დაპირება შესრულებული არ არის. სოფელ წინარეხის გლეხობა კი უკოოპერატივოთ დიდ გაჭირვებას განიცდის. სოფლად დათარეშობენ წვრილი სპეკულიანტები და ტყავს აძრობენ გლეხებს.

საჭიროა ამ ფაქტს ყურადღება მიექცეს და გამოირკვეს, თუ სად გაჰქრა კოოპერატივის ქონება.

გულშემატკივარი.

სკოლების მდგომარეობის გამოკვლევა

(წერილი სენაკიდან)

მაზრას უნდა ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა თავის სკოლების მდგომარეობაზე და არა თუ მაზრას, არამედ ყოველმა სკოლამ, ყოველმა დაწესებულებამ უნდა იცოდეს, თუ რა მდგომარეობაშია სწავლა-განათლება თავის მაზრაში. და აი სწორედ სენაკის მაზრის განათლების ინსპექტორმა სამაზრო სტატბიუროსთან ერთად განიზრახა სკოლების მდგომარეობის დაწვრილებით გამოკვლევა. უკვე შემუშავდა სათანადო ბლანკები, რომელნიც საჩქაროთ დაეგზავნა ყველა სკოლების გამგეებს. იანვრის 15 უნდა დამთავრდეს სკოლების გამოკვლევა.

ბ. უ.

საჭიროა მდ. რიონის ნაპირების გამაგრება

გურია (წერილი შუხუთიდან)

სოფ. შუხუთი შესდგება 470 კომლისაგან. ადგილობრივი მცხოვ. ხალხი მეტად ღარიბია, რაც მიეწერება მიწის უნაყოფობას მდ. რიონის ყოველ წლივ წალეკვის გამო. რამდენიმე ათეული წელია ლაპარაკობენ მდ. რიონის ნაპირების გამაგრებაზე, მაგრამ ჯერ არაფერი ჩანს. გასულ წელში ადგილობრივი ხალხი ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზაზე მთელი თუთხმეტ დღეობით მუშაობდა იმ მიზნით, რომ შემდეგ შეერთებული ძალით მდინარე რიონის ნაპირები გაემაგრებინა—და სწორეთ მთელი მდ. რიონის პირათ მდებარე სოფლები ამას მოელიან. ოზურგეთის სამაზრო ხელისუფლება, იქედია მიიღებს სათანადო ზომებს მდ. რიონის ნაპირების გამაგრების შესახებ. რის შემდეგ რამოდენიმე ათეულ სოფლებს მიეცემა საშვალება ხელშეუშლელათ აწარმოონ სასოფლო-სამეურნეო მუშაობა.

გ. იმნაშვილისა.

ელექტრო-წისქვილი ამუშავდა

(სენაკი)

სენაკის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებას აქვს ელექტრო-სადგური და ამ სადგურთან სახერხი ქარხანა და ელექტრო-წისქვილი. ელექტრო-სადგური სისტემატიურად მუშაობს და მის მუშაობას დაბრკოლება არა აქვს. მხოლოდ რამოდენიმე წლის წინეთ ახალ გეგმაზე აწყობის მიზნით შეჩერდა სახერხი ქარხნის მუშაობა და მაშინ ელექტრო-წისქვილის მუშაობაც შეჩერებულ იქნა. უკანასკნელ ხანებში სახერხი ქარხანა ამუშავდა.

3 იანვრიდან კი ადგილ. მეურნეობის განყ. ელექტრო-წისქვილიც აამუშავა და ამით დაუფასებელი სამსახური გაუწია ყველაზე მეტად სენაკის მშრომელ ხალხს.

მეთვალყურე.

რა კეთდება სოფლად

ს. ლეცაცხვაი (სენაკის მაზრა)

სოფ. ლეცაცხვაიში არსებობს 7 წლიანი შრ. სკოლა. სკოლა შენობის მხრივ მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იყო. 6 წელია ეს ერთი მინგრეულ სკოლის დარბაზში და ნაქირავებ სახლებში იყო მოთავსებული. დღეს შრომის და განათლების მოყვარე სოფელმა ღირსეულად მოაგვარა ეს საქმე. სკოლას სოფლის ცენტრში დაეთმო ორი დესეტინა მიწა და შიგ გაშენებულ იქნა ორი ხის დარბაზი. აქ დაუფასებელია შრომა და ენერგია ხალხის მოყვარე თემის საბჭოს თავ—რე ხარებავასი. ის კომისიასთან ერთად ერთგულად ხელს უწყობდა სკოლის მოთავებას, საკუთარი მეცადინეობით სკოლას ხალხის შეუწუხებლად შეაძინა მინები ფანჯრებისათვის. მასთან დიდ მადლობას და ნდობას უხადებს მადლიერი ხალხი და სკოლის პედაგოგიური შემადგენლობა კომისიის წევრ გ. გეგეჭკორსაც.

ადგილობრივი კომუჯრედი ქალაქში მყოფ ამხანაგებს ავალებს ამ სკოლის შემწეობას, რომლის მეთაურად თბილისში ასახელებენ კლ. გვალიას, მელ. თოფურიას და ბიქტ. ბაკურიას, ბათომში ბ. თოფურიას და დიმიტრის თოფურიას, სოხუმში ძმ. არტე და მაკარი გვალიებს.

ა. თ—ია.

წერა-კითხვის უცოდინარობა უნდა მოვსპოთ

ზედა-სიმონეთის თემი (შორაპნის მაზრა)

ზედა-სიმონეთის თემი შესდგება სამი სოფლისაგან. მცხოვრებლების რიცხვი დაახლოვებით 900-დი კომლი იქნება. წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლები აქ თემში შარშანაც არსებობდა, სადაც სწავლობდა რამოდენიმე ამხანაგი და წლის ბოლოს გამოცდები საუცხოვოთ ჩააბარეს. წელს ამ საქმეს მეტი სერიოზული ყურადღება ექცევა. თემში გაიხსნა ოთხი სალიკვიდაციო სკოლა, ერთი თვით ცენტრშია თემის სამმართველოსთან და სამი ამავე თემის სოფლებში: ძირი, ეწერი და სიმონეთი. სალიკვიდაციო სკოლებში დაიარებიან 15—50 წლამდე ქალები და კაცები. მეცადინეობა სისტემატიურათ მიდის, მხოლოდ ამ ბოლო ხანებში ცუდმა ამინდებმა და დიდმა თოვლმა შეუშალეს ხელი სწავლის საქმეს, ვინაიდან მსმენელების უმრავლესობას არა აქვს სახამთრო ტანსაცმელი და სკოლებშიაც არ არის სათბობი მასალა.

მ. მ—კაძე.

მოგვაწოდეთ ნავთი

დაბა საჩხერე (შორაპნის მაზრა)

დიდ გაჭირვებას განიცდიან როგორც დაბა, აგრეთვე მის ახლო-მახლო სოფლები ნავთის უქონლობის გამო. გლეხებს, რომლებიც 15 ვერსით არიან დაშორებული ბაზარზე ხშირათ, ნახავთ ამ უსაჭიროეს საგნისთვის მომავალს საჩხერის ბაზარზე, სადაც ხშირათ ვერ შოულობენ და ბრუნდებიან უკან. მოგვაწოდეთ ნავთი.

უ. გაბაძე.

მუხრანის რაიონის გლეხკომების კონფერენცია

ს. მუხრანი

29 დეკემბერს 1914 წ. საღამოს 5 საათზე გაიხსნა რაიონული კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ ყველა ამ რაიონში შემავალ სოფლების დელეგატები.

კონფერენციის დღის წესრიგში 8 საკითხი იყო დასმული. პირველი—საბჭოთა ხელისუფლების მიღწევანი ეკონომიურ დარგში—მოხსენება ამ საკითხის შესახებ გააკეთა პარტკომის მდივანმა ამხ. მამალაძემ, რომელმაც გააშუქა და აღნიშნა ჩვენი მიღწევანი.

გლეხკომის მნიშვნელობაზე ილაპარაკა ამხ. დარახველიძემ.

მოხსენება გააკეთა 12 დელეგატმა, რომლებიც აღნიშნავდნენ სასოფლო გლეხკომის წინსვლას. მოსმენილ იქნა აგრეთვე მოხსენება რაიგლეხკომის მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა ამხ. ბ. შანაზაროვმა აღნიშნა, რომ ძველი გლეხკომისაგან ხივსიერი ქონება არა მიგვიღია რა, ახალმა შემადგენლობამ დღიდან თავის არჩევისა მიაღწია შემდეგს: მარაგი შეჰქმნა 1531 მ. დახმარება არის გაცემული როგორც საქიმო აგრეთვე სხვადასხვა სახით 800 მ. გლეხკომს სავაჭრო დაწესებულება აქვს 3, 1 სასადილო, 2 საყასბო და 3 ფურნე. აქვთ სამი დესეტინა ვენახი, 2 წისქვილი, 53 ვედრო ღვინო. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

საბოლოვო სიტყვის შემდეგ რაიგლეხკომის მუშაობა ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად.

დამსწრე

საჭიროა საფოსტო განყოფილების გახსნა

ნოსირის თემი (სენაკის მაზრა)

ნოსირის თემი მდებარეობს ახალსენაკის მაზრაში აბაშის და სენაკის შუა, შესდგება ოთხი სოფლიდან. თემში მცხოვრები 800 კომლზე მეტია. თემში არ არის ტელეგრაფი, რის გამო ვერ ღებულობენ თავის დროზე ჟურნალ-გაზეთებს. ამანათების და წერილების გაგზავნა ხდება იშვიათ შემთხვევაში. რადგანაც თემში არ არის ფოსტა, უბრალო წერილის გასაგზავნათ უნდა მისდის რომელიმე პიროვნება ნახევარიდღით, რომ ჩავიდეს სენაკში და შეიძინოს საჭირო მარკა, ყველა ზემოაღნიშნულის მოსაგვარებლათ თემმა თხოვნით მიმართა სადაც ჯერი იყო, რათა გაეხსნათ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს საქმე უყურადღებოთ არის მიტოვებული.

ხკუპესპირელი.

ტობანიერის თემის სკოლის შენობა დაუმთავრებელია

(ქუთაისის მაზრა)

ეს თემი ქუთ. მაზრაში შედარებით სიდიდით და მცხოვრებთა რაოდენობით წინ სდგას. ამ თემში ცენტრის გარდა სხვა უბნებში ათამდე პირველი საფეხურის სკოლებია. ცენტრში კი არის ერთი მეორე საფეხურის—(უმაღ. 1-ლ დაწყ.). როგორც მოგეხსენებათ საერთოდ უნუგეშოდ მიტოვებულ თემების მდგომარეობა, ეს თემიც განიცდის საშინელ კრიზისს სასკოლო შენობების უქონლობის გამო. ცენტრს გარდა თითქმის ყველგან ნაქირავებ სახლებში არის მეცადინეობა. მაგრამ იმდენად გაზრდილია მოწაფეთა რიცხვი, რომ ვერ თავსდება—და ამისთვის მეცადინეობა სწარმოებს დილაობითაც და საღამოობითაც. ასეთი მდგომარეობა ძლიერ აფერხებს ერთის მხრივ სწავლის საქმეს,—მეორეს მხრივ კი გლეხები ყოველწლივ შეწუხებული არიან ამ ნაქირავებ ბინების ქირის გადახდებზედ. ამის გამო მრავალჯერ—ეწინაც ჰქონდათ გლეხებს საუბარი ამ მთავარი საკითხის მოსაგვარებლად, რათა ყოველწლივ მაინც არ შეეწუხებულიყვნენ მაიზედ როგორც ქირის, ისე სხვა საჭიროებისათვის. მაგრამ არ იქნა, რომ ამ საკითხს ბოლო მოღებოდა. დღეს-კი ამ თემის მცხოვრებლები მიუხედავათ ეკონომიურ სისუსტისა, გაბედეს შენობის აგება ცენტრში—და იქ მყოფი ხის შენობები გადატანილ უნდა იქნას უბნებში. მართლაც 1923 წლიდან დაიწყეს ორ სართულიან, 36 ოთახიან აგურის შენობის აგება. ათასობით მუშები ურმებით დასტრიალებენ ამ შენობას ირგვლივ, მაგრამ ეკონომიურ სიღატაკის გამო ამ ორი წლის განმავლობაში ჯერ კიდევ პირველი სართული არ დამთავრებულა. (ზამთრობით მუშაობა შეწყვეტილია).

გლეხები სთხოვენ მთავრობას გაუწიოს ყოველგვარი დახმარება ამ თემის მცხოვრებლებს, რათა მათ შესძლონ დაწყებული საქმის დამთავრება.

კოტე სულაბერიძე.

პროვინციის ქრონიკა

— **საფოსტო განყოფილებანი.** სოფ. ონტოფოში და მესათუმუხეთში (აბაშის რაიონი) გაიხსნა საფოსტო განყოფილებანი.

— **ქოხ-სამკითხველოები.** აფხაზეთის პოლიტგანათლების განყოფილება შეუდგა მაზრაში ქოხ-სამკითხველოების მდგომარეობის გამოკვლევას.

— **სიმინდის დამზადება.** ზუგდიდის მთ. კოოპერატიული ორგანიზაციები შეუდგენ სიმინდის დამზადებას.

— **სოფლის მეურნეობის განსავითარებლათ.** ბორჩალოს სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა მიმდინარე წლის განმავლობაში მეურნეობის განსავითარებლათ გლეხებს თავის დროზე და შეუფერხებლათ მიაწოდოს სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

— **უმუშევრობასთან ბრძოლა.** ქუთაისის ხელოსანთა საზოგადოებამ გადასწყვიტა დაარსოს უმუშევარ პარიკმახერთა არტელი.

— **გორის ადგილ.** მეურნეობის განყოფილებამ შეადგინა თავის მუშაობის 3 თვიური გეგმა.

— **ბრძოლა წ.-კ. უცოდინარობასთან.** იანვრის ბოლო რიცხვებში ქუთაისის თვითშრომელთა საზოგადოება ხსნის წ.-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლას.

— **სიმინდის მოსავალი.** 1924 წლის შემოდგომაზე, მუხრანის სახალხო მამულში მოვიდა 4.500 ფ. სიმინდი.

— **შულავერში** დაარსდა გლეხებისაგან სეტყვის წინააღმდეგ მებრძოლი არტელი-კომუნა.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„წინასწარმეტყველი“

ოპერის სიუჟეტი აღებულია ისტორიული [illegible] და წარმოადგენს გლეხურ მოძრაობის სურათს.

მოქმედება სწარმოებს [illegible] (იოჰან ლეიდენსკი). [illegible].

„წინასწარმეტყველი“ არ ეკუთვნის მეიერბერის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს; მასში არ არის არც ერთი [illegible] არც ერთი [illegible] ხასიათი (გარდა ფიდესისა—იოანის დედა). მრავალია ყალბი [illegible] ადგილები; [illegible] თვით მუსიკაც [illegible] სანტიმენტალიზმის გარდა რამოდენიმე მუსიკალური მომენტისა (იოანის სიზმარი, ცეკვა და ნაციონალური მარში).

ოპერა ლამაზად და კოლორიტულად არის დადგმული. კარგია დეკორაციები და მასიური სცენები.

შემსრულებელთა შორის პირველობა ეკუთვნის მოსინს (წინასწარმეტყველი). მისი მძლავრი ხმა საუცხოოდ [illegible] ამ პარტიას კარგი სცენიური გადმოცემა. [illegible] გმირი, გმირის გარეგნული გამოხატულება და დრამატიული მომენტები.

ტოვსტოლუჟსკაია—შეინი კარგია პირველ მოქმედებაში. აქ ბევრი ტემპერამენტი და [illegible]. სუსტია ვოკალური გადმოცემა.

მტკიცე ვერ არის მომღერალი მაზოვეცკაია ბერტას ლირიულ პარტიაში.

ქურავლიოვი სათანადოთ ვერ უდგება გრაფ ობერტალის პარტიის სცენიურ მხარეს.

კარგებია ბლაგოობრაზოვი, დემიანენკო და კურბატოვი. საუცხოოდ მღერის ბლაგოობრაზოვი. ბალეტი კარგად არის დადგმული. მაგრამ სამწუხაროდ, ორკესტრი აქ ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. სტოლერმანს მეტად ჩქარი ტემპი აქვს აღებული, ამას გარდა სპილენძის ინსტრუმენტები ახშობენ მელოდიას.

კარგად მღერის ყველგან გუნდი.

პ. ბ.

— „**აისი**“. ახალი კინო „აისი“, რომელიც უნდა გახსნილიყო 10 იანვარს. გაიხსნება 16 იანვარს პირველად მიდის „ქარიშხალის წინა დღეებში“. დადგმა მარჯანიშვილის.

— **ოპერაში**—დღეს წარმოდგენილი იქნება ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“.

„**ოქროს მამალი**“. მზადდება და ამ დღეებში ოპერაში წარმოდგენილი იქნება „ოქროს მამალი“.

— **დუროვი** დღეს ცირკში გაიმეორებს თავის გასტროლს გაფართოებული პროგრამით.

— „**ტარდში**“ დღეს ვოლხოვის მონაწილეობით დადგმული იქნება „სინაზე“.

— **მსახიობ მჭედლიშვილის იუბილე.** 20 იანვარს რუსთაველის თეატრში გაიმართება მსახიობ ივანე მჭედლიშვილის იუბილე, მისი სცენაზე [illegible]0 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად.

— **სანიტარული საღამო.** ორშაბათს, 12 იანვარს პლეხანოვის სახელობის კლუბში (ნაძალადევი) რკ. გზ. ჯანმრთელობის სამმართველოს სანიტარულ-განათლების ქ-გ ნყოფილება აწყობს საღამოს. წარმოდგენას „ლოთობა თუ ფხიზლობა“. პროგრამაში ადგილობრივ დუქნის და ტრაქტირის ცხოვრებიდან აღებული სცენები.

— **პროლემაფის წრეში** დღეს, კვირას, 11 იანვარს, დილის 9 საათზე კომკავშირის ცეკას შენობაში (რუსთაველის პრ. № 22) ჟურნალ „[illegible]“-ს რედაქციაში შესდგება ჯგუფ პროლემაფის არაჩვეულებრივი (ყარჩაკეტილი) კრება. კრების შემდეგ დასამტკიცებლად წაკითხულ და გარჩეულ იქნება პროლემაფის წევრის კარლო კალაძის (კაკი ეწრელის) დაწერილი ჩონჩხი პიესისთვის.

დღეს კინოებში:

— **არფასტო**—„აელიტა“ 1 და სერია.

— **სოლეი**—„აელიტა“ 1 და 2 სერია.

— **აპოლო**—„გრაფ მონტე-კრისტო“ 1 და 2 სერია.

— **თვითმფრინავი**—„ქალი მონტე-კარლოდან“ 1 და 2 სერია.

— **მინიონი**—„ლედი გამილტონ“.

— **ოაზისი**—„ქალი მონტე-კარლოდან“ მესამე სერია.

— **სოლეი**—„ბრძოლა მილიარდებისათვის“.

ბიბლიოგრაფია

გ. პლეხანოვი. სარწმუნოების შესახებ, სამი წერილი ის. ყალაქვაძის რედაქციით ნათარგმნი რუსულიდან.

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა. თბილისი 1924 წ.

სახელმწიფო გამომცემლობის გასულ წლის გამოცემათა შორის გ. პლეხანოვის წიგნი „სარწმუნოების შესახებ“ ერთი თვალსაჩინო მოვლენათაგანია. მასში თავმოყრილია 1909 წელში ჟურნალ „სოვრემიონი მირ“-ში დასტამბული წერილები სარწმუნოების შესახებ. თავის დროზე ეს წერილები მიმართული იყო, როგორც არსებითად საპოლემიკო ხასიათის, იმათ წინააღმდეგ, რომელთაც დაახლოვებით იმავე დროში დიდი სარწმუნოებრივი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვიეს რუსეთის ინტელიგენციის წრეებში. გ. პლეხანოვის აღნიშნული წიგნი ეკუთვნის მის ნაწერთა იმ ჯგუფს, რომელთაც ევალებოდა მარქსიზმის დაცვა სხვა და სხვა გვარ, როგორც გარეშე შემოტევისაგან, ისე „შინაურებშიაც“ ფეხმოკიდებულ რყევასა თუ „ღრმავების“ ტენდენციებისაგან, დასახელებული კრებული არ ღალატობს იმ საერთო ტონს, რომელსაც ატარებენ გ. პლეხანოვის ყველა თხზულებანი. ურყეველ ფაქტად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ პლეხანოვი თეორიულ-იდეოლოგიურ საკითხებზე საერთაშორისო მარქსისტულ ლიტერატურაში უძლიერესი მოაზროვნე და ყველაზე მომზადებული იყო. მართალია, როგორც ეს ერთ-ერთ ჩვენს რეცენზიაში აღნიშნული გვქონდა წინეთ, გ. პლეხანოვის ნააზრევში სავსებით არ იყო დაძლეული მეტაფიზიკურ მატერიალიზმის ნაშთები და ზეგავლენა, რომლებიც მის ნაწერებში საკვირველად სცოცხლობდენ დიალექტურ მატერიალიზმის გვერდით, მაგრამ მარქსისტულ თვალსაზრისის დაცვაში თეორიულ ფილოსოფიაში, ეთიკაში, ხელოვნებაში, რელიგიაში და სხ. იგი უბადლო და შეუდარებელი იყო.

ასეთივეა აქ დასახელებული კრებულიც. იდეიურად წიგნი სამ მომენტს შეიცავს: 1) მარქსისტულ სოციოლოგიის ნიადაგზე სარწმუნოების ბუნების დამყარებას და გარკვევას, 2) ამის მიხედვით მოწინააღმდეგეთა იდეოლოგიურ - მისტიურ შეხედულებათა დანგრევას და 3) თვით მარქსისტულ ოჯახში „ღრმავების, შეგუების და შერიგების“ ტენდენციებთან ბრძოლას.

პირველ შემთხვევაში მოცემულია დაწვრილებითი ანალიზი სარწმუნოების წარმოშობის წყაროსისა და მისი შემდგომი ჩამოყალიბება-განვითარების ფორმების. ანიმიზმი, როგორც გარკვეულ საწარმოო ურთიერთობაში შემუშავებული ორიენტაცია გარემოში, აი პირველი წყარო სარწმუნოების. ღმერთი, როგორც რელიგიურ მისწრაფებათა ცენტრალი მომენტი—აი მისი ატრიბუტი ანუ წარუკვეთელი ნიშანი.

მეთოდი, რომლითაც სარგებლობს გ. პლეხანოვი—სოციალ-გენეტიურია ე. ი. რელიგიის საკითხი ახსნილი და გაგებულია თავის გენეზისში, წარმოშობა-განვითარებაში სოციალ გარემოზე დამყარებით. განსაკუთრებით მკვეთრად არის ეს მომენტი გამოყენებული რუსეთის რელიგიურ მოაზროვნეთა შეხედულების გარკვევის დროს, სადაც სარწმუნოებრივ ნააზრევის ყოველი ხვეული დაკავშირებულია იმ სოციალ-პოლიტიკურ ატმოსფერასთან, რომელიც 1905 წ. რევოლიუციის დამარცხებას მოჰყვა. ამ პირობათა გათვალისწინებით არის გაშლილი და გაკრიტიკებული მერეჟკოვსკის, ჰიპიუსის, მინსკის და სხვ. რელიგიურ-მისტიური სწრაფვანი.

რაც შეეხება მარქსიზმთან ახლო მდგომ „მაძიებლებს“, მათ წინააღმდეგ გამოყენებულია ის ნიშანი რელიგიურ ძიებათა, რომელიც ზემოდ აღვნიშნეთ, როგორც რელიგიის შეუცილებელი ატრიბუტი; [illegible] პლეხანოვის მიხედვით, ცდა რელიგიაში ახალ, [illegible] შინაარსის ჩადების, რომლის მიხედვით თითქოს შეიძლებოდეს მისთვის „მისაღებლობის“ იერის მიცემა: მამა-ღმერთი თავისი ძველი ნიშნებით ყველგან წამოყოფს თავს, რადგან ასეთია რელიგიის ბუნება.

წიგნი თუმცა რუსეთის გარკვეულ წრეების ნააზრევს ეხება, მაგრამ მისი მნიშვნელობა უეჭველად უფრო ფართოა და მარქსიზმისა და რელიგიის ურთიერთობის საკითხს საკმაოდ ამოსწურავს.

თარგმანი საერთოდ დამაკმაყოფილებელია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგი ახალი ტერმინების შემოღების ცდას. მაგ. „ზენობითი“ მაქსიმალურის ნაცვლად და ბევრი სხვა.

შ. ნ.

ჩვენი ფოსტა

მარტვილის რაიონი (სენაკის მაზრა), **სოფ. ნახუნოუს ახალ. ლენინელების კომკავშირის უჯრედს:** თქვენგან გადმოგზავნილი გაზეთის ფული მივიღეთ 15 დეკემბ. 1924 წ. და ამ რიცხვიდან გეგზავნებათ გაზეთი ერთი თვით.

ქუთაისი საკაშვილს. გაზეთი გეგზავნებათ სისტემატიურად 1 იანვრიდან № 180-ით. მიმართეთ ფ.-ტ. განყოფილებას.

გურჯაანი. კიოსკი, **შიშნიაშვილს** „იზვესტია“ არ მიგვიღია.

გურჯაანი. **ილია ბეჟარაშვილს:** გაზეთი გეგზავნებათ სისტემატიურად; მიმართეთ ადგილობრივ ფოსტას.

ახალ-სენაკი რაიაღმასკომის **თანამშრომლებს:** გაზეთები გეგზავნებათ 1 იანვრიდან; მიმართეთ რკინის გზის კიოსკში ამხ. ესებუას.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 128

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს რეორგანიზაციის შესახებ.

საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სასამართლოს წყობილების დებულების სამოქმედოთ შემოღების შესახებ 52 ნომრით გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის შენიშვნისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ ა. წ. აგვისტოს 13-ს გამოცემული დადგენილების თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს ეწოდოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის მთავარი სასამართლო, რომელიც იმოქმედებს ოლქის სასამართლოს უფლებათა საფუძველზე.

2. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავარი სასამართლოს წევრებს დანიშნავს ამ ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. მთავარი სასამართლოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს აარჩევს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და დაამტკიცებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

3. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს შედგენილობაში შევა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ორი წარმომადგენელი, რომელთაც ექნებათ უზენაესი სასამართლოს წევრის ყველა უფლება.

4. უზენაესი სასამართლოს წევრი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქიდან მონაწილეობას მიიღებს უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიის სხდომაში ყველა იმ საქმის გარჩევის დროს, რაც საკასაციო წესით შემოვა სამხრეთ-ოსეთის სასამართლოების განაჩენზე და გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრისა და პროტესტის გამო.

5. სავალდებულოა, რომ უზენაესი სასამართლოს წევრი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან დაესწროს უზენაესი სასამართლოს პლენუმს იმ საქმის თაობაზე, რაც განხილულ იქნება სამხრეთ-ოსეთის სასამართლო დაწესებულებაში, და იმ საკითხის განხილვის დროს, რაც აღიძვრის ამა დაწესებულების სასამართლო პრაქტიკაში.

6. უზენაესი სასამართლოს წევრს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან აარჩევს ამ ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და დაამტკიცებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმ სრ კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის მდივანი—ს. თოდრია.

დადგენილება № 7

საქ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1925 წლის იანვრის 3-ს

„სპეც-განაკვეთების მიმღებ პირებთა შრომის ხელფასის შესახებ“

ვინაიდან ბევრ დაწესებულება-წარმოებას არ წარმოუდგენია შრომის სახ. კომისარიატში განცხადება სპეციალისტებზე შრომის ხელფასის გაცემისათვის განსაკუთრებული სპეც-ფონდის მიღების შესახებ, ამიტომ საქ. შრომ. სახ. კომ. ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სახელმწიფო, სამეურნეო, კოოპერატიულ და სხ. წარმოება-დაწესებულებათა სათავეში მდგომ ყველა პირს წარმოადგინონ ორი კვირის ვადამდე, დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა, განცხადებანი სპეც-ფონდებზე, სპეც-ფონდების განმსაზღვრელ კომისიაში, შრომ. სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ ფორმების მიხედვით.

2. დამტკიცებულ სპეც-ფონდების საფუძველით დასდონ ხელშეკრულება სპეც-განაკვეთის მიმღებ პირთა და ასეთების ხელის მოწერიდან 7 დღის განმავლობაში წარმოადგინონ აღსანუსხავად შრომის კომისარიატში და მის ადგილობრივ ორგანოებში.

3. ამ დადგენილების დამრღვევისათვის დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული სისხლის სამართლის წესით, როგორც შრომის კანონების დამრღვევნი.

საქ. შრომ. ს.ხ. კომ. ამიქაძე.
საერთო საორ. გან. გამგე ვ. კვირიკაშვილი.
სატ. საკონ. გან. გამ. მ.-გ. მუსამჩიკოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **კომკავშირის თბილისის კომიტეტი** წინადადებას აძლევს ყველა ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს—ორშაბათს, 12 იანვარს, საღამოს 6 საათზე გამოცხადდენ კომიტეტში:

ორლოვი ვილიამონ, კოგანი გერმან, მჭედლიშვილი იოსებ, ქავთარაძე ბენედიქტ, ვასილაშვილი ვალერიან, ბაბა რიზაკულიევ, პერუიანი არფიკ, მაგლიპოვსკი იური, შიტსლატ პავლე, ბზიშილი ნიკოლოზ, ცინცაძე მიხეილ, ლამაკინ ალექსანდრე, ანიჩენკოვი ვლად., ჭანტურიძე მიხეილ, ალიევი მამედ, გალუსტიანი გუკას, ეპელბაუმი მინა, აბახაძე პეტრე, არუთინოვი მკრტიჩ, კაუფმანი ემილ, პეტროსიანი სურენ, ივანოვი ვასილ, აკოფჯანოვი რუბენ, ნალბანდიშვილი ანტონ, სარგეევი ალექსი, პონამარიოვი ევგენი, გეგელია ლეონ, ტერ-მკრტჩიანც აშოთ, ნერსესოვი სარქის, შაგრელიანი არტაშ, მხითაროვი გიორგი, გუგუშვილი სპირიდონ, კისელევი ისაკ, აბრამოვი საკ, ვართანიან ვაღარშაკ, ტერ-სარქისოვი სტეფან, ჩიქოვანი მიხეილ, პოპოვი ბორის, არაქელოვი სარქის, იუდინ ვალენტინ, კუბახიძე კ., არუთინოვი სერგო, ტერ-სიმონოვი საშენ, ზიმანსკი მიხეილ, თოფურიძე შალვა, ერემეევი მიხეილ, ვარნაზოვი არმაღეის, აირაპეტოვი ჰაიკ, სისუევა ე., სარქისოვი აბრამ, მინასბეკოვი ავაქ, შენემანი ალექსი, მუნტიკოვი გიორგი, გვათუა შალვა

მდივანი მეთონიძე.

— **თბილ. კომ. საორგანიზაციო განყოფილება** წინადადებას აძლევს ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგებს, რომლებიც დაბადებული არიან 1899, 1900 და 1901 წლებში 24 საათის განმავლობაში გამოცხადდენ სამაზრო სამხედრო კომისარიატში აღრიცხვაზე ასაყვანად:

ნაბიჭვრიშვილი ალექსი, სოფიანიდი ქრისტეფორე, კალანდაძე ვასილი, ხუბიტოვი გიორგი, მაიგონენკო ფედორ, ფაფალაშვილი დავით, პერიხანიანი გიორგი, ზაპრუდსკი ფედორ, თარხანოვი გიორგი, ჩიქვილაძე ილია, ასიტოვი არტურ, მელქონიან აგოპეს, მათეოსიანც მარტიროს, გარბულოვი ალ., გოთუაძე შალვა, ხანთაძე ბაგრატ, არზრუმანოვ მნაცაკან, მერიშვილი იოსებ, გრიქუროვი სოლომონ, ხორაშვილი ივ.ნ, მარქაროვი ოჰანეს, სუხაევი ფედორ, ედირამშვილი ვასილ, ბახუტაძე მიხეილ, დავიდოვი ივან, ეჯიაშვილი ალექსანდრე, იოსიშვილი ეფრემ, შაინოვ ვლადიმერ, დონსაძე გრიგოლ, კიკოევი ნიკოლოზ, ნეფარიძე სილოვან, ქარუკიანი გიორგი, ახპეტლოვი პეტრე, გოგიჩაიშვილი არისტარხ, გალუსტოვი ლიუდვიგ, თოდოდარიოვი აბრამ, კიზირია სერაფიონ, ქოჩიაშვილი ელენე, მეტრეველი ილარიონ, ჩიმაკაძე ალექსანდრე, ბასიაშვილი ივან, კარაპეტოვი ვლადიმერ, ბალიაშვილი ალექსი, თაური გიორგი, სუმბ.კ. ალექსანდრე, ქასაევ გიორგი, ხომერიკი კირილ, იარონის ედუარდ, ლასენკო ალექსანდრე, არუთიანან მიკირტიჩ, შავკაციშვილი იოსებ, ზუბიეროვი ივ.ნ.

— ცენტრალურ პარტკლუბში მოეწყო გერმანულ ენის შესასწავლი წრე. ჩაწერა შეიძლება კლუბში ყოველდღე 15 იანვრამდე, საღამოს 6—8 საათამდე.

კლუბის გამგეობა.

— სამშაბათს, 13 იანვარს, დილის 10 საათზე, პროფკავშირების დიდ დარბაზში შესდგება **თათბირი** კომკავშირელებისა, წითელარმიელებისა და მუშათა კლუბების ყველა გამგებისა.

დღის წესრიგში წამოყენებულია საკითხი: „ლენინის გარდაცვალების [illegible] თავის ჩატარება კლუბებში“.

თათბირზე მოწვეულ არიან რაიკომების კულტგანყოფილებათა გამგეები.

თბილ. კომ. საგ.-საპროპ. განყოფილება.

— **თბილ. კომ. აღმრიცხველ-გამანაწილებელი განყოფილება** წინადადებას აძლევს ამხ. არხიმანდრიტოვს, მალაშკოს მ. და მოგილაძე ლონგინოზს—გამოცხადდენ აღ.-გამ. განყოფილებაში ამხ. საკოვთან.

აღმრიცხ.-გამნაწ. განყოფილება

ეროვნული

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ვანო შვილებით: ბიჭუნა და ოთარით, დედა სალომე ძმები: გიორგი, ბიჭიკო, ვალოდია, რძლები ლიზა და ბაბილინა შვილით და ნადია, დეიდაშვილი ნურა (ვოლიანსკაიას ასული) მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებს და ნაცნობთ გარდაცვალების ერთი წლის შესრულებას უდროვოთ დაკარგულ მათთვის დიდათ ძვირფასი და დაუვიწყარი

გულიკო გელქანი-ჩაკვეტაძისას

რომელიც დასაფლავებულია ქ. ახალ-სენაკში.

№ 70 1—1

დამწუხრებული მამა ვლადიმერ მიხეილის ძე, დედა სოფიო ალექსანდრეს ასული, შვილები იასონ, ტეიმურაზ, გიორგი, თამარა ჯავახიშვილები, ალექსანდრა ვლადიმერის ასული, სიძე პარმენ ზოსიმეს ძე ბოკუჩავა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

მიხეილ ვლადიმერის ძის ჯავახიშვილის

სულის მოსახსენებლად კვირას, 11 იანვარს 12 საათზე ვერაზე ნიკოლოზის ეკლესიაში

№ 71 1—1

ახლად გარდაცვალებულის

სტუდენტ გიორგი (ჟორჟიკა) ზაალიშვილის

მშობლები: ოლღა და ნიკო ზაალიშვილები და მახლობელნი დიდ მადლობას უცხადებენ ყველა იმათ, ვინც მათი შვილის ტრაგიკულად გარდაცვალებისა გამო მწუხარება გაუზიარეს მშობლებს და მახლობლებს.

69 1—1

დამწუხრებულნი: მეუღლე აგრაფინა ყირიმის ასული, შვილები კულუ, თამარა, შალვა და ტიტიკო, და აგრაფინა (ციცუ) ქმარ-შვილით, ძმა ალექსანდრე ცოლშვილით, ძმისშვილები მელიტონი (ბახუ), სევერიანე, ჯვებე ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ მათი საყვარელი

მიხა კოხტას ძე გვიჩიას

გარდაცვალებას. დასაფლავების და გამოთხოვების დღე დანიშნულია კვირას, 11-ს იანვარს ქ. ფოთში.

76 1—1

სახელმწიფო დრამა

დღეს, 11 იანვარს

„მზის დაბნელება საქართველოში“

№ 620 1—1

მსახიობთა ქართული დრამა ამხანაგობა

1924—25 წ. სეზონი

მუდმივი ქართულ თეატრის არსებობის 75 წლ. თავის ალსანიშნავად

რესპუბლ. სახალხო არტისტის

ვასო აბაშიძის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება: ა. ცაგარელი.

რაც გინახავს, ვეღარ ნახავ

კომედ. 3 მოქმედ.

რაც არ მერგება, არ შემერგება

ვოდ. 1 მოქმედ. ვ. გუნიასი. ნ. 616 1—1

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველდღე.

სახალხ. თეატრის თეატრი ოთხშაბათს, 14 იანვარს

დადგმა აკ. ფალავასი და ა. ანდრონიკაშვილისა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 11 იანვარს

„დაისი“

ნის. 611 2—2

სახელმ. ოპერის ადმინისტრაცია

ამით აუწყებს ყველა იმ პირთ, რომელთაც მიცემული აქვთ სეზონის ბილეთი და კონტრამარკები (გარდა მთავრობის და სახ. განათ. კომისარიატის ლოჟებისა), რომ

20 იანვრამდე სწარმოებს

ხელახალი რეგისტრაცია სეზონის ბილეთებისა

ვინც 20 იანვრამდე ხელახლად არ გაატარებს რეგისტრაციაში თავის ბილეთს, ასეთი **გაუქმდება**

ნის. 621 1—1 სახ. ოპერის ადმინისტრაცია.

კოოპერატიული საზ. „კახეთი“-ს გამგეობა

ამით აცხადებს, რომ თანახმად გამგეობის დადგენილებისა ქვით. № 204 მის მიერ

დარღვეულია ხელშეკრულება

არტელ „შრომას“-თან

რომელიც ეწეოდა ექსპლოატაციას ჩვენი საზოგადოების სახელის

კოოპერატიული სასადილოსი

თავისუფლების მოედანზე ყოფილ თამამშევის ქარვასლაში, 1925 წლის 5 იანვრიდან მას არავითარი დამოკიდებულება აღნიშნულ სასადილოსთან არა აქვს.

ნის. 623. 1—1

გამგეობა.

გაზეთების ხელისმომწერლების საყურადღებოთ

ცხადდება შემდეგი:

1) მისამართები უნდა იყოს სწორათ და გარკვევით დაწერილი.

2) ყოველგვარი ცნობის მისაღებად აუცილებლივ საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მიცემულ ქვითრის ასლი, წინააღმდეგ შემთხვევაში კანტორა არავითარ ცნობას არ მისცემს დაინტერესებულ პირთ.

3—2 კანტორა.

1910—XV წლიწადი გამოცემისა მეხუთმეტე XV—1925

მიიღება 1925 წ. ხელისმოწერა

სამხატვრო-სათეატრო-სახელოვნო სურათებიან ჟურნალ

„თეატრი და ცხოვრება“-ზე

1910 XV წლიწადი გამოცემისა XV 1925

სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებლობით და საუკეთესო თანამშრომელთა მონაწილეობით

იუმორისტული განყოფილებით

წლიური ხელისმომწერნი მიიღებენ

„თეატრი და ცხოვრება“-ს კვირეულად—52 №-ს პიესების კრებულს „ცხოვრების სარკე“-ს 4 №-ს

ვისაც სურს უფასო პრემია „ცხოვრების სარკე“ მიიღოს, იანვრის გასვლამდე უნდა მოაწეროს ხელი. „ცხოვრების სარკე“ ცალკე გასასყიდათ არ გამოვა. მხოლოდ წლიურ ხელისმომწერთ დაურიგდებათ. წლიურად—10 მან., ნახევარი წლით—6 მან.,—ხელისმოსაწერი ფულის შეტანა ნაწილ-ნაწილ შეიძლება: ხელისმოწერის დროს—3 მ., აპრილის 1-ს—2 მ., მკათათვის 1-ს—2 მ., ოქტომბრის 1-ს 3 მ., **ხელისმოწერა** მიიღება: რედაქციაში—თბილისში სასახლის ქ. № 5, მეორე სართული, შესავალი ძველი ქართული თეატრის (ახალი კლუბის მხრივ), ფოსტით—თბილისი, სასახლის ქ. № 5, რედ. „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს. რედაქცია ღიაა დილის 9—3 ს., ნაშუადღევს 5—7 ს.

პასუხისმგებელი ხელმძღვანელი კოლეგია

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი

ნის. 627—4—1

1910—XV წლიწადი გამოცემისა მეხუთმეტე XV—1925

ს.მ.უ.ს ს.ს.ს.რ.

ზომა-წონის პალატა

ამით აცხადებს, რომ ყველა საზომ-საწონები, რომლებიც სავაჭროებში და სამრეწველოებში იხმარებიან (სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში, ორგანიზაციებში და წარმოებებში) უნდა იქნენ დადაღულნი, ზომა-წონის პალატის მიერ, თანახმად კანონისა.

ყველა საზომ-საწონები იდაღება 2 წლის ვადით.

1925 წელში უნდა დადაღულ იქნეს ყველა საზომ-საწონები, რომლებიც არ დადაღულან 1924 და 1925 წლის დაღით.

ს.მ.უ.ს. ზომა-წონის პალატაში საზომ-საწონების გასინჯვისთვის წარსადგენათ ქ. თბილისისთვის ცხადდება შემდეგი ვადები:

1-ლი და მე-2 სამილიციო რაიონებისთვის—იანვარი 1925 წლ.
მე-3, მე-4, მე-5 „ „ —თებერვალი „
მე-6, მე-7, მე-8 „ „ —მარტი „
მე-9, მე-10, და მე-11 „ „ —აპრილი „

1925 წლ. მაისიდან დეკემბრამდის გასინჯვა იწარმოებს ს. ს. ს. რ. პროვინციებში და ა.-კ. რკინის გზებზე, მათთვის ცალკე გამოცხადებულ ვადების მიხედვით.

ის წარმოებანი და პირნი, რომელნიც აღნიშნულ ვადის განმავლობაში არ წარმოადგენენ თავიანთ საზომ-საწონებს, იქნებიან მიცემულნი პასუხისგებაში კანონის თანახმად.

ნ. 619 2—1 ს.ს.ს.რ. ზომა-წონის პალატის უფროსი **ვ. გოცირიძე.**

შრომის ინვალიდთა

სასადილო

ოჯახური სადილი 2 კერძი=45 კაპ.
შრომის ინვალიდთათვის=30 კაპ.
2—5 საათამდე.

მთელი დღე უკრავს მუსიკა. ღვინო ყველა ფირმების ფასი 60 კ.—1 მ. ბოთლი. ვღებულობთ ყოველგვარ შეკვეთებს როგორც სადილის, ისე ვახშმისას დაკლებულ ფასებში.

ნ. № 563—8—2

რუსთაველის და კრწ. ... ქ. კუთხე

გლეხის ცენტრალური სახლის მმართველობა

ამით აცხადებს, რომ 1925 წლის 16 იანვრის, ნაშუადღევს 12 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

შეჯიბრება დახურულ კონვერტებში ამავე სახლში ელექტრონის განათლების მოწყობაზე.

1. მონაწილეობის მიღება ვაჭრობაში შეუძლიათ როგორც სახელმწიფო საამშენებლო დაწესებულება-ორგანიზაციების წარმომადგენელთ, ისე არსებულ მუშათა კოლექტივებს და კერძო პირებს.

2. ვაჭრობის მონაწილეები, გარდა სახელმწიფო საამშენებლო დაწესებულება-ორგანიზაციებისა, ვალდებულნი არიან ვაჭრობის დაწყებამდე წარმოადგინონ 10 პროც. მათ მიერ წარმოდგენილ მუშაობის ფასისა.

3. დაწერილებითი ცნობების მიღება შეიძლება გლეხის ცენტრალურ სახლის გამგისაგან ყოველდღე, დილის 9 საათიდან ვიდრე ნაშუადღევის 3 საათამდე შემდეგი მისამართით: ვოლოდარსკის ქუჩა № 11 (ყოფილი სასტუმრო „ლონდონი“).

620 1—1 გლეხის ცენტრალური სახლის გამგე **დ. ნასარიძე.**

ქ. თბილისის ელექტრონთა მომწესრიგებელი სამმართველოს

(ე. მ. ს-ი.)

ახალ, დაბალ ძაბვის სამფაზიან ქსელის გასაწყობათ ესაჭიროება

1) 8.500 ცალი ელმწერის ტიპის მუხის ან ნაძვის ბოძები სიგრძით 12-დან 10,5 მეტრისა.

2) 80.000 ცალი ამბოხი (კოსტილები) ზომით სიგრძე 110 მილ. შუაჭრით 12 მილ.

3) 30.000 კილოგრ. მოთუთიავებელი (ცინკ. ამოვლ.) მავთული ზომით შუაჭრით 4 მილ.

4) 1.854 ტონა (115.000 ფუთამდე) რკინის გზის ნახმარი რონები (სალემითი ტიპი № 4 ა.)

5) 60.000 ცალი 2-რ კისერა ელმწერის ტიპის განმხოლი.

6) 60.000 ცალი ელმწერის ტიპის რკინის კაკვები (წესფართი მხარის ჭრა 19 მილიმ. წონით 1,1 კილ.)

7) 256.000 კილო (16.000 ფუთამდე) სხვა და სხვა ზომის ხარისხის თითბრის სადენი, ჯირგინები.

ამ განცხადებით დაინტერესებულ ორგანიზაციებს, ტექნიკურ პირობებთან და გეგმებთან გასაცნობათ შეუძლიათ **მიმართონ** ქ. თბილისის ელექტრონთა მომწესრიგებელ სამმართველოს **წინადადებით** შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი თავისუფლების მოედანი ე. მ. ს-ი.

ელექტრონთა მომწესრიგებელ სამმართველოს

გამგე **აფანასიევ**

1—1 ნ. № 624.

ინსტრუქცია

ქალაქ თბილისის და მისი მაზრის მუშათა, წითელარმი-მიელთა და გლეხთა დეპუტატების გადასარჩევად

1. ქ. თბილისის და მისი მაზრის მუშათა, წითელარმიელთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს არჩევნებში მონაწილეობას იღებენ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი მოქალაქენი, მიუხედავათ სქესისა, მუდმივი ბინადრობის, ქვეშევრდომობის, ეროვნების, სარწმუნოების და სხვ., რომელთაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდათ 18 წელი.

ა) ყველა ისინი, რომელნიც თავს ირჩენენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომით როგორც მაგალითად: მუშები და მოსამსახურეები ყოველგვარ სახისა და კატეგორიისა, რომელნიც მუშაობენ სამრეწველო-სავაჭრო დაწესებულებებში, სასოფლო მეურნეობაში, შინა-მრეწველნი (რომელიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან), მუშათა არტელების წევრნი, პროფკავშირთა უმუშევარნი წევრები.

ბ) წითელარმიელები და სამხედრო მოსამსახურენი, რომელნიც იმყოფებიან საგარნიზონო სამსახურში და მუდმივ სცხოვრობენ ქ. თბილისში და მის მაზრაში.

გ) ის მოქალაქენი, რომელნიც ეკუთვნიან ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებს და რომელთაც დაჰკარგეს შრომის უნარი, დასახიჩრებული მეომრები და სხვა.

დ) პროფკავშირების წევრთა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები.

ე) უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლენი.

2) ვერ აირჩევენ და არც შეიძლებიან არჩეულ იქნან, თუნდაც ეკუთვნოდენ რომელიმე ზემო ჩამოთვლილ კატეგორიას:

ა) ის პირნი, რომელნიც მიმართავენ დაქირავებულ შრომას მოგების მიზნით.

ბ) ის პირნი, რომელნიც სცხოვრობენ არა შრომის შემოსავლით (როგორიცაა, მაგალითად, კაპიტალის პროცენტებით, წარმოებათა შემოსავლით, ქონების შემოსავლით და სხვ.)

გ) კერძო მოვაჭრენი და სავაჭრო-საკომერციო შუამავლები.

დ) ბერები, საეკლესიო და სარწმუნოებრივ კულტების სასულიერო მოსამსახურენი.

ე) ყოფილი მეფის პოლიციის, დამცველ განყოფილებათა და ჩამოვარდნილ მთავრობის ყოფილ განსაკუთრებულ რაზმის მოსამსახურენი და აგენტები.

ვ) ის პირნი, რომელნიც სათანადო წესით ცნობილნი არიან სულით ავადმყოფებათ ან ჭკუაზე შეშლილნი და აგრეთვე ის პირნი, რომელნიც ვისიმე მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან.

ზ) ის პირნი, რომელნიც გასამართლებულნი არიან ანგარებითი და სამარცხვინო ბოროტ-მოქმედებისათვის და მიესაჯათ სასჯელი კანონით, ან სასამართლოს განაჩენით.

3. თბ. მუშათა, წითელარმიელთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოში წარმომადგენლობის ნორმა შემდეგია.

ყოველ 200 ამომრჩეველზე—ერთი დეპუტატი.

შენიშვნა: 1. წარმოებანი, რომელშიაც ითვლება 50—200 მომუშავემდე, აგზავნიან ერთ დეპუტატს; 200 ზევით კი, ერთ დეპუტატს ყოველ 200 სულზე.

შენიშვნა: 2. უკეთუ 200 ზევით ზედმეტი რიცხვი უდრის ან აღემატება 100, იმ შემთხვევაში ირჩევა ზედმეტათ ერთი დეპუტატი.

შენიშვნა: 3. წარმოებანი, რიცხვით 50 სულზე ნაკლები, ერთდებიან საერთო არჩევნებისათვის.

4. საბჭოთა და კერძო დაწესებულებათა მოსამსახურეების შორის არჩევნები სწარმოებს საზოგადო კრებებზე, რომელთაც მართავენ პროფესიონალური კავშირები (მაგ., საბჭოთა მოსამსახურეების კავშირი და სხვა) წარმომადგენლობის ნორმა 200 გამოცხადებულზე ირჩევენ 1 დეპუტატს.

5. პროფკავშირის წევრებისა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის წარმომადგენლობის ნორმა არის 200 შეკრებილთაგან დეპუტატი.

6. უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლენი ირჩევენ შემდეგი ნორმით—200 შეკრებილი 1 დეპუტატს.

7. შინა-მრეწველები—200 შეკრებილი 1 დეპუტატს.

8. უმუშევრები—კავშირის წევრები 200 შეკრებილზე—1 დეპუტატს.

9. ინვალიდები: 200 შეკრებილზე 1 დეპუტატს.

10. თბ. მაზრაში არჩევნები მიმდინარეობს თანახმად საბჭოების, ყრილობების და ალმასკომის არჩევნების დებულებისა.

11. დეპუტატების არჩევნები სწარმოებს საზოგადო კრებებზე:

ა) მუშები, მოსამსახურეები, რკინისგზელები და სხვა სამრეწველო სავაჭრო წარმოებებში (ფაბრიკებისა, ქარხნების, სამრეწველოების, სახელოსნოების) და სამსახურში.

ბ) წითელარმიელები ბრიგადებსა, პოლკებსა, ცალკე კომანდასა და ბატალიონებში (საბჭოს ხელახალი არჩევნების საგარნიზონო კომისიის ჩვენებით).

გ) საბჭოთა მოსამსახურენი, წვრილ მრეწველობის მუშები შინა-მოსამსახურეები და სხვები სათანადო პროფკავშირების მიერ გამართულ საერთო კრებაზე.

დ) პროფკავშირების წევრთა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები საზოგადო კრებებზე და რაიონებში.

ე) უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეები—სტუდენტთა საზოგადო საერთო კრებებზე.

ვ) შინა-მრეწველები—სამაზრო საქალაქო საარჩევნო კომისიის მიერ მოწვეულ საზოგადო საერთო კრებებზე.

ზ) უმუშევრები—სათანადო პროფკავშირების მიერ მოწვეულ საერთო კრებებზე

თ) ინვალიდები, ინვალიდების საზოგადო კრებებზე.

12. არჩევნებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევათ არსდება სამაზრო, საქალაქო, სარაიონო და საგარნიზონო-საარჩევნო კომისიები, მუშათა რაიონებისა და წითელ-არმიისათვის, და აგრეთვე სათემო კომისიები თბილისის მაზრის საბჭოთა გადასარჩევათ.

13. საარჩევნო კომისიები არსდებიან:

ა) რაიონული—ხუთი პირისაგან.

დ) საგარნიზონო—ხუთი პირისაგან.

შენიშვნა: ქ. თბილისი იყოფა ოთხ საარჩევნო უბნად, თბილისის მაზრა იყოფა თემებათ სამაზრო საქალაქო საარჩევნო კომისიის ჩვენებით.

14. სამაზრო საქალაქო საარჩევნო კომისია ხელმძღვანელობს ყველა არჩევნებს, უშვებს ინსტრუქციებს, ნიშნავს არჩევნების ვადას და დღეს, აუქმებს ან უარყოფს არჩევნების წარმოებას, იხილავს განცხადებებს და პროტესტებს, იძლევა დროებით მანდატებს, არიდებს საარჩევნო კრებების ოქმების ფორმებს და არჩევნების დამთავრებისას აწვდის ყველა მასალებს საბჭოს მიერ არჩეულ სამანდატო კომისიას.

15. რაიონული და საგარნიზონო საარჩევნო კომისიები ხელმძღვანელობას უწევენ არჩევნებს ადგილობრივ, წინასწარ არკვევენ თვითეულ წარმოებაში, სამხედრო ნაწილში, ამომრჩევლობის რაოდენობას, ხელმძღვანელობენ მუშების, მოსამსახურეების და სხვა გარეთიანებას შეერთებულ არჩევნებისათვის, ადგენენ საარჩევნო კრებების ოქმებს და თავიანთი დასკვნით გზავნიან თბილისის სამაზრო საქალაქო საარჩევნო კომისიაში.

16. დეპუტატების არჩევნები ხდება საარჩევნო კომისიის წევრის ან მისი რწმუნებულის დასწრებით.

17. დეპუტატების არჩევნები ხდება საჯაროთ საზოგადო კრებებზე ხელის უბრალო აწევით.

18. არჩევნების შედეგების შესახებ სდგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საარჩევნო კომისიის წევრი, ან მისი რწმუნებული და საერჩევნო კრების პრეზიდიუმი.

19. არჩევნების დროს მუშაობის წარმოება სწყდება იმ შემთხვევის გარდა, თუ მუშაობის შეჩერება ტექნიკურ მოსაზრებით შეუძლებელია.

20. საარჩევნო კრება არის კანონიერი და სრულუფლებიანი, თუ მასზე მონაწილეობას ღებულობს ამომრჩევლების საერთო რაოდენობის არა ნაკლები ორი მესამედისა.

21. უკეთუ დაწესებული კვორუმი არ შესდგება, მოწვეულ იქნება განმეორებით კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვლება დამსწრეთა რაოდენობის მიუხედავად.

22. სამაზრო საქალაქო საარჩევნო კომისიაში შედიან ამხანაგები: სუხიშვილი, მაჩაიძე, მესხი, სვანიძე, ასრიბეკოვი, მჭედლიძე, დვორიანოვი, სიხარულიძე, ალავერდოვა და კორძახია.

23. საგარნიზონო საარჩევნო კომისიაში შედიან ამხანაგები: დვორიანოვი, სიხარულიძე, ბაბია, ფროლენკოვი და გუბინი.

24. პირველ რაიონის საარჩევნო კომისიაში შედიან ამხანაგები: ქავთარაძე, ვაშაკიძე, თვარელიძე, ბიბილეიშვილი და ქორქოლაძე

25. მეორე რაიონის საარჩევნო კომისიაში შედიან ამხანაგები: მელაძე, ფარნიევი, ნაზაროვი, მიხაილოვა და ეგიახაროვი.

26. მესამე რაიონის საარჩევნო კომისიაში შედიან ამხანაგები: ვართაპეტიანი, ჯაფარლი, ენუქიძე, ქააანი და კუდიკოვი.

27. მეოთხე რაიონის საარჩევნო კომისიაში შედიან ამხანაგები: სტურუა გ., მორჩილაძე, ოკუჯავა შ., ამერიძე და გეგეჭკორი (ახალკომკავშირიდან).

სამაზრო საქალაქო საარჩევნო კომისია მოთავსებულია თბილისის ალმასკომის შენობაში (თავისუფლების მოედანი).

საარჩევნო კამპანია იწყება მაზრაში იანვრის 15-დან და ქალაქ თბილისში თებერვლის 1-დან.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარე **სუხიშვილი.**

ნის. 625. 1—1 მდივანი **წეხი.**

ა. კ. ფ.-ტ. სახალხო კავშირის სამმართველო

აცხადებს

სამხატვრო

შეჯიბრებას

თბილისის გადამცემ რადიო-სადგურის შენობის პროექტის წინამოს (ფასადის) შედგენაზე.

ხელოვნების მიხედვით **წინამო უნდა იყოს შედგენილი ქართულ ეროვნულ ყაიდაზე** (სტილზე) და ეთანხმებოდეს შენობის გეგმას და ტექნიკურ მოთხოვნილებებს, რომლის შესახებ ცნობები შეიძლება მიიღოთ ფ.-ტ. ოლქის რადიო საინსპექტორო ნაწილში (რუსთაველის პროსპ. № 43).

წინამო უნდა იყოს წარმოდგენილი ნახაზის სახით, მასშტაბით არა ნაკლებ 1 | 84-სა, ფანქარის ან ფერადის საშუალებით და ხელმოწერილი პირობითი (რაიმე ფსევდონიმით). მასთან ერთად უნდა იქნეს წარმოდგენილი დაბეჭდილი კონვერტი იმავე ფსევდონიმის წარწერით, რომელშიაც უნდა იყოს მოთავსებული სახელი, მამის სახელი და გვარი პროექტის შემდგენისა და აგრეთვე მისი სწორი მისამართი.

უკანასკნელი ვადა ნახაზის წარმოდგენისა დანიშნულია მიმდინარე წლის 25 იანვარს.

ორ უკეთის ნახაზში, მსაჯულების (ჟიურის) გადაწყვეტით, მიეცემა ჯილდო 1-ში—150 მან. და 2-ში—100 მანეთი.

ნის. 588 2—1

ფოტოგრაფი მესხიშვილი

ილებს ყოველგვარ ფოტოგრაფიულ სამუშაოს
აგრეთვე ადიდებს სურათებს ხელოვნებათ იაფად
პლეხანოვის პრ. № 80 ნ. 398 5—5.

დაიკარგა კვიტანცია № 872, მოცემული „გოს ვესის“ მიერ არტირო ზ. კალიტაძის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 75 1—1

დაიკარგა ლომბარდის ბილეთები № 10498, № 12407, № 10372, ჩაითვალოს გაუქმებულად. ოლღა შარაბიძე. 73 1—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 644, ალექსი პატიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 57 1—1

დაიკარგა საწევრო წიგნაკი № 1422 და დაზღვევის ბარათი ერმალაი ბაჩუნაშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 77 1—1

დაიკარგა დამზღვევი კასის წიგნაკი რკ. გზ მე-3-მე საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის ანა ერმალოზის ასულის ვეფხვაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 74 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 29614 სოფიო ნიკოლოზის ასული ავაქაშვილის სახელზე და ორ ბავშვის მეტრიკული მოწმობები: ვერა ავაქაშვილი—4 წლისა და ვ ლიკო ავაქაშვილი—2 წლის ჩაითვალოს გაუქმებულად. 7

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული ს. მ. უ. ს. ცენტრალური რკინის გზის განყოფილებიდან მუშა გიორგი ქიტუაშვილის ვაჟის გრიგოლ გიორგის ძე ქიტუაშვილის სახელზე № 1071, ჩაითვალოს გაუქმებულად. 68

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დიატერმია

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებით ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 დან—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205. 25—10

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

25—2

კერძო

გინეკოლოგიური და ქირურგიული

საავადმყოფო

თერაპევტიული განყოფილებით

სტაციონალურ ავადმყოფთა, გარდა გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს.

ამბულატორული მიღება მეანობაში და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.

სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13

ცნობების მიღება: ექიმი შახნაზაროვის ტელეფონით № 7—14—4.

ნის 372—100—24

ექიმი

ს. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი).

ავადმყოფების მიღება 9-დან დილის 12 საათამდე და 4-დან საღამოს 7 საათამდე, ქალების—2-დან 4-დე.

ელისაბედის ქუჩა, № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

3033 25—22

ექიმი

ზ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის, ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალერიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი. ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23

2746 13—11

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მუსხი

ბავშვთა და მოზრდილთა შინაგან, ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობანი.

ელექტრო-სინათლით საექიმო კაბინეტი. მიღება დილით 10—12 საათამდი, საღამოს 5—7 საათ. გარდა უქმე დღისა.

პლეხანოვის პრ., № 111 (ყოფ. მიხეილის ქუჩა), ბინა 2.

№ 2969 25—6

ექიმი

პ. რ. ვართანოვი

სიფილისი. კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.

მიღება: დილით 9—10 ს. სა. 5—7 ს.

მისამართი: სურამის ქ. № 9. კუთხე სადგურის ქუჩისა. რკინის გზის სამმართველოს მახლობლათ.

25—23

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

№ 3203. 25—17